აბაშიძე შვიმერს აუდიენციას სთხოვს A2
კანონიერების კულტურა A6
ავტომობილი B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
სამშაბათი, 16 დეკემბერი, 2003 წელი. №324 (536)
ფასი 50 თეთრი

დიდი იმედების დრო

ეკა კვესიტაძე
სტენოგრაფი

ინტერვიუ პრეზიდენტ კარტერის უშიშროების საბჭოს წევრთან, წლების განმავლობაში "რენდ კორპორეიშენის" წამყვან სპეციალისტთან, ისტორიკოს პოლ ჰენზესთან.

- თქვენი აზრით, როგორ შეიძლება შეცვალოს საქართველოში მომხდარმა "ვარდების რევოლუციამ" ქვეყნის მომავალი?

- ახლა დიდი იმედების დრო დადგა. მაგრამ, იმედთან ერთად ბევრმა პრობლემამაც მოიყარა თავი, რომელიც ახალი ლიდერებისაგან სწრაფ და ეფექტურ გადაჭრას ითხოვს.

პირველ რიგში, აუცილებელია, რომ საპრეზიდენტო არჩევნები კარგად ჩატარდეს, რაც ერთ თვეში საკმაოდ ძნელი მისაღწევი იქნება. შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს მთავრობა და ჩატარდეს ახალი საპარლამენტო არჩევნები, ანუ ძალიან ბევრი საქმეა გასაკეთებელი.

ამასთან ერთად, უზარმაზარია ის შესაძლებლობები, რომელიც ახლა ქვეყნის წინაშე გაიხსნა. ქართველი ხალხისთვის ეს ახალი დასაწყისია, რაც სათანადოდ უნდა იქნეს გამოყენებული. საქართველოს ისტორიაში ახალი ეტაპი პირველად დამოუკიდებლობის მოპოვებისას დადგა, თუმცა პირველმა პრეზიდენტმა ვერ შეძლო მაშინდელ გამოწვევებს გამკლავებოდა. ახალი შანსი კიდევ ერთხელ გაჩნდა მას შემდეგ, რაც ქვეყანას სათავეში შევარდნაძე ჩაუდგა. თავისი ერის ისტორიაში შევარდნაძემ იმ ეტაპზე ნამდვილად დადებითი როლი შეასრულა, თუმცა შემდეგ მისმა პოლიტკამ ჩიხში შეიყვანა და განვითარების გზას აცილა ქვეყანა.

შევარდნაძის პოლიტიკიდან წასვლა ძალიან პოზიტიური მოვლენა იყო, სხვა შემთხვევაში კიდევ წელიწადნახევარი უნდა დაკარგულიყო მისი წასვლისა და ახალი საპრეზიდენტო არჩევნების მოლოდინში, ანუ ისევ უძრაობის პერიოდი გაგრძელდებოდა.

ახლა კი ყველაფერი გაცილებით უკეთესადაა და ყველაფერი მზადაა ახალი, რადიკალური ცვლილებებისათვის.

- რას შეცვლის ეს მოვლენები საქართველო-ამერიკის ურთიერთობაში და ზოგადად რამდენად შეცვლის ის დასავლეთის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ?

გაგრძელება A3 გვერდზე

წინასწარი რეგისტრაცია დაიწყო

გუშინ საქართველოში ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესი დაიწყო. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭიაბერაშვილმა თბილისის რამდენიმე საარჩევნო უბანში თავად გააკონტროლა ამ პროცესის მიმდინარეობა და შემოვლის შემდეგ განაცხადა, რომ **"პროცესი დაწყებულია და მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, იგი წარმატებით დასრულდება".**

საგულისხმოა, რომ გუშინ არ გახსნილა ყველა საუბნო საარჩევნო კომისიები. ეს ეხება როგორც თბილისს, ასევე რეგიონებსაც. ამასთან, ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესის შეფერხება იმანაც გამოიწვია, რომ გუშინ ბევრმა საუბნო საარჩევნო კომისიამ, დაკომპლექტების შემდგომ, პირველი სხდომა გამართა, რამაც რეგისტრაციის პროცესის შეფერხება გამოიწვია.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შეამოწმა საბურთალოსა და კრწანისის რაიონის რამდენიმე საარჩევნო უბანი. საერთო სურათით თუ ვიმსჯელებთ, გუშინ ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესი აშკარა შეფერხებით მიმდინარეობდა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ, ამის მიუხედავად, ამომრჩევლები საარჩევნო სიაში ყველა წესის დაცვით გაატარეს.

როგორც ცესკო-ს თავმჯდომარე აცხადებს, აუცილებელია, საუბნო საარჩევნო კომისიებმა დღეიდან სრულფასოვანი მუშაობა დაიწყონ. მისივე თქმით, ასევე საჭიროა, რომ ამომრჩეველმა თავისი სარეგისტრაციო ნომერი დაიმახსოვროს, რათა არჩევნებზე სიაში საკუთარი თავის პოვნა ამ ნომრის მიხედვით კომისიის წევრებს გაუადვილდეთ.

გაგრძელება A2 გვერდზე

მოსკოვიდან დაბრუნებული უშიშროების მინისტრი სტაბილიზაციას გვპირდება

ინგა ალავიძე

ექვსი თვის წინ მოსკოვში დაკავებული ქისტი კრიმინალის შოთა ჭიჭიაშვილის ექსტრადიცია უახლოეს ხანში მოხდება. ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილე ირაკლი კოტეტიშვილი შოთა ჭიჭიაშვილს თბილისში რამდენიმე დღეში გაძლიერებული ბადრაგით, საიდუმლო ვითარებაში ჩამოიყვანს. ცნობილი კრიმინალის ექსტრადიციასთან დაკავშირებით რუსეთისა და საქართველოს სპეცსამსახურების ხელმძღვანელებმა შეთანხმებას რამდენიმე დღის წინ, ვალერი ხაბურძანიას მოსკოვში ვიზიტისას მიაღწიეს.

გაგრძელება A7 გვერდზე

მოსკოვიდან დაბრუნებულმა მინისტრმა ბრიფინგი გამართა.

"მე ტყუილი არ მითქვამს"

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთმა რუსთაველმა ახალგაზრდამ საშობაო საქველმოქმედო აქციის ორგანიზება და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლის აღსაზრდელების დახმარება გადაწყვიტა. ბავშვთა სახლში მისულ ახალგაზრდას, რომელიც ამავდროულად "თავისუფლების ინსტიტუტის" ომბუდსმენიცაა, ბავშვებმა გული გადაუშალეს და უამბეს, თუ როგორც სცემდა მათ დირექტორი გაზის "შლანგით" და როგორ უმალავდა შემოწირულობის სახით შესულ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. გიორგი ჩალაძის მიერ მიწვეულმა ჟურნალისტებმა ემოციურად და მწვავედ გააშუქეს ბავშვების მონაყოლი, რამაც შოკში ჩააგდო განათლების სამინისტრო, რომელიც ამ ბავშვთა სახლის ერთადერთი კურატორია.

მაია მოსიაშვილი

განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის ინტერნატულ დაწესებულებათა და ბავშვთა უფლებების დაცვის სამმართველოს უფროსის, ირინა ფიფიას განცხადებით, განათლების სამინისტროში უკვე შეიქმნა კომისია, რომელიც რუსთავის ბავშვთა სახლში არსებულ პრობლემებს შეისწავლის.

"იმ ინფორმაციით, რაც გადმოიცა, შეძრულები ვართ. ორი ის ფიზიკური ხელყოფის ფაქტს, თუმცა ამას მაინც გამოძიება სჭირდება," - განუცხადა "24 საათს" ირინა ფიფიამ.

გაგრძელება A2 გვერდზე

რუსთავის ბავშვთა სახლის შენობა ნასახლარს უფრო ჰგავს. იქ უცხოური გრანტით დაფინანსებული რემონტი მიმდინარეობს. პროექტი შენობის ცარიელი ფლიგელის გარემონტებას, იქ ბავშვების გადაყვანას და შემდგომ მეორე ფლიგელის მოწესრიგებას ითვალისწინებდა, რაც არ მომხდარა. ბავშვთა სახლის დირექტორი ირინა იმერლიშვილი აცხადებს, რომ მშენებლებმა თვითნებურად(?!) დაიწყეს **"ეს განცხადება შს მინისტრმა გააკეთა, რომელიც ინფორმაციას ფლობს. უშიშროების საბჭოს სხდომაზე პრეზიდენტისგან მივიღეთ მითითება გადამოწმდეს ეს ინფორმაცია და გავატაროთ ოპერატიული ღონისძიებები,"** - განაცხადა ჯემალ გახოკიძემ. თუმცა, უშიშროების საბჭოს სხდომის დაწყებამდე დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ავთანდილ იოსელიანმა დაადასტურა შს მინისტრის განცხადება. მისი ინფორმაციით, ქვეყანაში კრიმინოგენურ სიტუაციას გარკვეული შიდა ძალები ძაბავენ და სწორედ ისინი აპირებენ ტერაქტების სერიალის დაგეგმვასაც.

გაგრძელება A3 გვერდზე

დესტაბილიზაციის საფრთხეს ძალოვანები სხვადასხვაგვარად აფასებენ

ბაქოდან დაბრუნებულმა საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა გუშინ, საღამოს, უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვია. ქართველემა ძალოვანებმა ნინო ბურჯანაძეს ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური სიტუაციის, ძირითადად, დღის მანძილზე მომხდარი ფაქტების შესახებ დეტალური ინფორმაცია ჩააბარეს და გასატარებელი ოპერატიული გეგმის შესახება ისაუბრეს.

ხათუნა ჯანგირაშვილი

"მოსალოდნელია მასობრივი აფეთქებები," – უშიშროების საბჭოს შემდეგ ჟურნალისტებისთვის გამართულ მოკლე ბრიფინგზე განხილვის საგანი შს მინისტრის გია ბარამიძის ეს განცხადება გახდა. თუმცა, ძალოვანებმა ჟურნალისტებთან საუბრისას ინფორმაციის დაკონკრეტებისგან ტრადიციულად თავი შეიკავეს. აღმოჩნდა, რომ მიუხედავად განცხადებებისა, ქვეყანაში საგანგაშო არაფერია. უშიშროების საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ჯემალ გახოკიძე შს მინისტრის განცხადება ფაქტობრივად, უარყო, თუმცა, განაცხადა, რომ

"ეს განცხადება შს მინისტრმა გააკეთა, რომელიც ინფორმაციას ფლობს. უშიშროების საბჭოს სხდომაზე პრეზიდენტისგან მივიღეთ მითითება გადამოწმდეს ეს ინფორმაცია და გავატაროთ ოპერატიული ღონისძიებები," – განაცხადა ჯემალ გახოკიძემ. თუმცა, უშიშროების საბჭოს სხდომის დაწყებამდე დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ავთანდილ იოსელიანმა დაადასტურა შს მინისტრის განცხადება. მისი ინფორმაციით, ქვეყანაში კრიმინოგენურ სიტუაციას გარკვეული შიდა ძალები ძაბავენ და სწორედ ისინი აპირებენ ტერაქტების სერიალის დაგეგმვასაც.

გაგრძელება A3 გვერდზე

რკინიგზის 15-კაციანი სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებულია

თამარ ივანიძე

გია ხუხაშვილი – დამოუკიდებელი ექსპერტი, ნინო ზურაშვილი – ჟურნალისტი, "60 წუთი", ალეკო დანელია – ექსპერტი სატრანსპორტო საკითხებში, ალექსი თოფურია – იურისტი, "სილქროუდ ჯგუფის" წარმომადგენელი, ენვერ მოისწრაფიშვილი – ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ალეკო ჩაგელიშვილი – "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ნიკოლოზ ხუჭუა - მემანქანე, რკინიგზელი, ბექა კვარაცხელია – "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია", გია ცაგარელი – მსოფლიო ბანკის კონსულტანტი, დილარ შენგელია – ექსპედიტორთა ასოციაცია, ტრასეკა-ს კოორდინატორი – ბოდო როსინგი და მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი, რომლის ვინაობა, ჯერჯერობით, უცნობია. ასეთია შპს "საქართველოს რკინიგზის" 15-კაციანი სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა, რომელმაც ამ სახელმწიფო საწარმოს მუშაობის გამჭვირვალეობა უნდა უზრუნველყოს და რომელიც გუშინ სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ წარუდგინა ჟურნალისტებს.

საბჭოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, საქმიანობის "გამჭვირვალეობის" უზრუნველყოფის გარდა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე გახსნილი საჯარო ტენდერის ჩატარებაა. დღეისთვის საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობას რამაზ გიორგაძე ასრულებს.

გაგრძელება A4 გვერდზე

სადამის ტყვეობის მეორე დღე

ლევან ღირსიაშვილი



ერაყის ყოფილი დიქტატორის სადამ ჰუსეინის დაპატიმრება კვლავ ნომერ პირველ სიახლედ რჩება. აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა გუშინ ჟურნალისტებს აცნობა, რომ ჰუსეინს გამომძიებლებისთვის ჯერ არავითარი ინფორმაცია არ მიუწოდებია. **"ის გამოძიებასთან არ თანამშრომლობს იმ კუთხით, რაც მის მიერ ჩვენების მიცემას ან მსგავს საკითხებს შეეხება,"** - განაცხადა პენტაგონის შეფმა და დასძინა, რომ სადამი ძალზე დამჯერედ და დამყოლად იქცევა. მისი თქმით, სადამ ჰუსეინს ჟენევის კონვენციის შესაბამისად, როგორც სამხედრო ტყვეს, ისე ეპყრობიან. რაც შეეხება სადამის მომავალ ბედს, რამსფელდი აცხადებს, რომ ეს უმაღლეს დონეზე გადასაწყვეტი საკითხია. **"არავინ აპირებს მის გადაცემას ვინმესთვის, ვიდრე არ დაიწყება პროცესი, რომელიც ყველასათვის მისაღები და ადეკვატური იქნება,"** - დასძინა რამსფელდმა.

გაგრძელება A5 გვერდზე

თავდასხმა დაღესტანში

9 რუსი მესაზღვრე მოკლეს გუშინ ჩეჩენმა მებრძოლებმა დაღესტნის ცუნტინის რაიონში მომხდარი თავდასხმის დროს. 4 ადამიანი მძევლადაა აყვანილი.

რამდენიმე შეიარაღებულმა ჩეჩენმა გაიტაცა მანქანა გაზ-24, რომლითაც რუსულ სასაზღვრო საგუშაგოს ჩაუქროლა. მესაზღვრეები მანქანას გამოედევნენ და გზაზე ჩასაფრებულ მებრძოლებს წააწყდნენ. მეამბოხეებმა ყველა მესაზღვრე მოკლეს, მეთაურს კი თავი მოაჭრეს.

"მოკლულია 11 ოკუპანტი და დაჭრილია, სულ ცოტა, 9 აგრესორი," – იუწყება ჩეჩნური ვებსაიტი "კავკაზცენტრი".

მას შემდეგ, რაც მესაზღვრეების დახოცვის ამბავი გავრცელდა, რაიონში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. მილიციისა და ომონის ჯარებმა ყველა გზა გადაკეტეს და ჩეჩნების გასანადგურებლად სპეცოპერაცია დაიწყეს.

მეამბოხეები, რომელთა რაოდენობაც, სხვადასხვა წყაროების ცნობით, 25-დან 60-მდე მერყეობს, სოფელ შაურში შეიჭრნენ და ადგილობრივი საავადმყოფო დაიკავეს.

გაგრძელება A5 გვერდზე

პოლიტიკა

პარლამენტის "ამორტიზებას" მოქმედი სპიკერიც აღიარებს

მოქმედი სპიკერი გიგი წერეთელი აღიარებს, რომ "ამჟამინდელი პარლამენტი მორალურად მოძველდა და დეპუტატების ხილვა ხალხს აღარ ახარებს". "ამორტიზებულობის" განცდა, ეტყობა, თავად პარლამენტარებსაც გაუჩნდათ.

A2

ეკონომიკა

დეკემბერში ბიუჯეტი მხოლოდ ერთი თვის ხელფასებსა და პენსიებს გასცემს

ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ახალ ტრადიციას ამკვიდრებს და ჟურნალისტებს ანგარიშს ყოველი კვირის დასაწყისში გამართულ ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე აბარებს. გუშინდელ ბრიფინგზე კვლავ დადასტურდა, რომ ბიუჯეტი, პრაქტიკულად, ისევ კატასტროფულადაა გარღვეული.

A4

უცხოეთი

ბაქოში პრეზიდენტი ალიევი დაკრძალეს

თანამედროვე აზერბაიჯანის არქიტექტორად წოდებული ჰეიდარ ალიევი ბაქოში გუშინ პომპეზურად დაკრძალეს. 80 წლის პრეზიდენტი აშშ-ში გარდაიცვალა და მისი ცხედარი კლივლენდიდან გუშინწინ ჩაასვენეს ბაქოში.

A5

სამართალი

ქართული კრიმინალური დაჯგუფებები გერმანიასა და ავსტრიაში განსაკუთრებული ტექნოლოგიით მუშაობენ

ავსტრიაში მოქმედმა ქართულმა კრიმინალურმა დაჯგუფებამ ავსტრიის პოლიციას სერიოზული საფიქრალი გაუჩინა. ავსტრიასა და გერმანიაში იმპორტირებული ქართული კრიმინალის გასანადგურებლად პოლიცია სერიოზულ ღონისძიებებს გეგმავს.

A7

საზოგადოება

აფხაზეთის სახალხო დამცველის წუხილი

საქართველოში მიმდინარე "გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, 16-დღიანი აქციის" ფარგლებში, "მრგვალი მაგიდა" გაიმართა. აფხაზეთის სახალხო დამცველმა შემაშფოთებელი განცხადება გააკეთა.

A8

ამინდი

თბილისი	14
ქუთაისი	17
ბათუმი	18
სოხუმი	14
ფოთი	17
თელავი	13
ზუგდიდი	16
გორი	11
ახმეტა	13
ჭიათურა	13
გაგრა	13
სამტრედია	17

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.0900
ევრო	2.5540
გირვანქა სტერლ.	3.6387
რუბლი	0.0711

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 კანონიერების კულტურა
B1 ომბუდსმენი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ავტომობილი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

აბაშიძე შვიმერს აუდიენციას სთხოვს

მერი კახიანი
ვენიდან

საქართველოს წარმომადგენლობას ევროსაბჭოში ისევ არ გააჩნია ოფიციალური შეტყობინება ცოტნე ბაკურიას სტრასბურგში ოფიციალური ვიზიტის თაობაზე. ამ დღეებში კი მოსალოდნელია, რომ თავად აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე, საკუთარი თხოვნის საფუძველზე, ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ვალტერ შვიმერს შეხვდეს. ამ შესაძლო შეხვედრის ორგანიზება ასლან აბაშიძესა და საქართველოში ევროსაბჭოს გენერალური მდივნის წარმომადგენელს პლამენ ნიკოლოვს შორის კვირას გამართული საუბრის შედეგად გადაწყდა.

ხვალ სტრასბურგს საქართველოდან 30-კაციანი დელეგაცია ეწვევა, რომლის შემადგენლობაშიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლებიც არიან. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ევროსაბჭოს სემინარში თემაზე - " არჩევნებთან დაკავშირებული სასამართლო დავები". სემინარს, რომელიც 2 დღეს გასტანს, დაესწრებიან ლადო ჭანტურია, ჯონი ხეცურიანი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, მალხაზ კაკაბაძე, კახა სიხარულიძე, თინიკო ხიდაშელი და სხვები.

მედია მეზვრიშვილს შემცვლელი გამოუჩნდა

ზვიად რუაძე
კახეთიდან

გუშინ თელავის გამგებლის თანამდებობა "გაერთიანებული დემოკრატების" აქტიურმა წევრმა გელა კირვალიძემ დაიკავა. თუმცა დღემდე ამ მეტად სახარბიელო ვაკანსიის ხელში ჩაგდება "ტრადიციონალისტების" რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელს გოჩა მამაცაშვილსაც სურდა. იგი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის გადაწყვეტილებას აპროტესტებს. "მიუხედავად იმისა, რომ მე მიშა სააკაშვილს დიდ პატივს ვცემ, ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ საქართველოში ვარდების რევოლუცია კი არა, სკამების რევოლუცია მოხდა," - ასე აფასებს ახალი მთავრობის მიერ დაწყებულ საკადრო ცვლილებებს გოჩა მამაცაშვილი. თავად გელა კირვალიძე კი, რომელმაც დაკისრებული მოვალეობის შესრულება უკვე დაიწყო, აცხადებს, რომ არ აპირებს იმ შეცდომების გამეორებას, რომლებიც ძველ მთავრობის დროს ხდებოდა. "მე იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, ვისაც საქართველოს მშენებლობა და კეთილდღეობა სურს," - აცხადებს თელავის გამგებელი. უნდა აღინიშნოს, რომ გელა კირვალიძე მოქალაქეთა კავშირის დაფუძნების დღიდან პარტიის და მედეა მეზვრიშვილის ერთგული მხარდამჭერი იყო. ძველ მთავრობას კი იგი მას შემდეგ განუდგა, რაც საქართველოში რეალური ოპოზიცია დაინახა. "მე როცა დავრწმუნდი, რომ ხელისუფლება ხალხის ინტერესებს იგნორირებას უკეთებდა, შევედი მეზვრიშვილთან და ვუთხარი, რომ მისი გუნდიდან გავდიოდი. ამის შემდეგ გავწევრიანდი "გაერთიანებულ დემოკრატებში", - აცხადებს კირვალიძე. მიუხედავად ამისა, თელაველები გელა კირვალიძეს მაინც უნდობლობას უცხადებენ. თავად თელავის გამგებელი კი ხალხის გულის მოგებას პენსიების და ხელფასების დროულად გაცემით და ენერგოკრიზისის დაძლევით ცდილობს. მანამდე კი კირვალიძე საკადრო ცვლილებების განხორციელებას გეგმავს.

გურჯაანში პრეზიდენტის საარჩევნო კამპანია დაიწყო

გუშინ გურჯაანის რაიონში პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერთა შტაბმა დაიდო ბინა. შტაბის ხელმძღვანელად რაიონის სპირტის ქარხნის სს "კახალკოს" დირექტორი ნუგზარ სარჯველაძე დაინიშნა. შტაბში 12 ადამიანია გაწევრიანებული და იქ გახსნილ ცხელ ხაზზე ამომრჩეველს არჩევნებამდე ყველანაირ ინფორმაციას მიაწვდიან. *24 საათი*

"მე ტყუილი არ მითქვამს"

პირველი გვერდიდან

იმ ოთახებში მუშაობა, სადაც ბავშვები ცხოვრობდნენ და ისინი ცივ ზამთარში ღამის ღია ცის ქვეშ დარჩნენ.

ბავშვთა სახლის აღსაზრდელების ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ჰუმანიტარული გზით შესული მეორადი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი მათ დირექტორს ჩაკეტილი აქვს, ბავშვები კი ფეხშველები და ნახევრადშიშველნი დადიან. ამ ინფორმაციას, ისევე როგორც ცემის ფაქტს, სამართალდამცველები გამოიძიებენ. რაც შეეხება განათლების სამინისტროს, მისმა კომისიამ მუშაობა უკვე დაიწყო. გაკეთდა პირველი დასკვნაც - აქ ბავშვებისათვის ცუდი კი არა, არანაირი პირობები არ არსებობს.

სამინისტროსთან არსებულმა არასრულწლოვანთა საქმეების საკოორდინაციო საბჭომ რუსთავის ბავშვთა სახლში მონიტორინგი ორი კვირის წინ დაასრულა. როგორც საბჭოს წარმომადგენელი გიორგი გვენცაძე აცხადებს, იქ იგივე მდგომარეობაა, რაც წელიწადნახევრის წინ - არადამაკმაყოფილებელი. **"განათლების სამინისტროში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი პუნქტია ბავშვთა სახლების ოპტიმიზება. დღეისათვის ამგვარ სახლებში, დაახლოებით, 5 ათასი ბავშვი ცხოვრობს და აქედან მხოლოდ 8 პროცენტია ისეთი, რომელთაც არავინ ჰყავთ. უფრო დიდ ნაწილს ორივე მშობელი ჰყავს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა შემცირდეს მათი რაოდენობა და უნდა გაიზარდოს ხარისხი,"** - განუცხადა "24 საათს" გიორგი გვენცაძემ. წელიწადნახევრის წინ ჩატარებული მონიტორინგის შესახებ ინტერნატულ დაწესებულებათა სამმართველოს უფროსმა გუშინ შეიტყო, რაც თავისთავად ბევრ კითხვას აჩენს და განათლების სამინისტროს პასუხისმგებლობას კიდევ უფრო ზრდის.

... 12 წლის ლევანი 8 წელია რუსთავის ბავშვთა სახლში ცხოვრობს. სწორედ მან გაბედა და ტელეკამერების წინ თქვა - დირექტორი გვცემსო. გუშინწინ მას ეს გაბედული ნაბიჯი არასამთავრობების მოუწონეს, გუშინ კი საკუთარმა დედამ საქვეყნოდ მატყუარა და ცუდი უძახა.

"დირექტორს რომ ეცემა, დანარტყამი დაეტყობოდა. ისე, რომ დააშავებს ბავშვი, უნდა წამოარტყა და უნდა გაუწყრე. მეც ვცემ და ირინა მასწავლებელსაც ნება მივეცი. თქვენ არ იცით, რა მატყუარაა ეს, მადლობის მაგიერია?! ახლაც მოდი და ჭამე აქ," - ნაცნობ-უცნობის თვალწინ ქოქოლას აყრიდა ლევანს დედა, მაია გელაშვილი, რომელსაც მეორე ბავშვიც ამ ბავშვთა სახლში ჰყავს მიბარებული და მათ მხოლოდ შაბათ-კვირას ნახულობს. **"ტყუილი არ მითქვამს, არც არავის დავურიგებივარ,"** - გაბზარული ხმით ამბობდა კედელს მიყუდებული ბიჭი დაგლეჯილი ტანსაცმლითა და შეშფოთებული თვალებით. რა გზას დაადგებიან მომავალში პატარა ლევანი და მისი მეგობრები ბავშვთა სახლიდან - სიმართლის თუ სიცრუის, ეს იმაზეა დამოკიდებული, გამოიჩენენ თუ არა უფროსები საჭირო გულისხმიერებას მათდამი.

პარლამენტის "ამორტიზებას" მოქმედი სპიკერიც აღიარებს

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტი კვორუმს ბიუროზეც ვეღარ აგროვებს.

მოქმედი სპიკერი გიგი წერეთელი აღიარებს, რომ **"ამჟამინდელი პარლამენტი მორალურად მოძველდა და დეპუტატების ხილვა ხალხს აღარ ახარებს".** "ამორტიზებულობის" განცდა, ეტყობა, თავად პარლამენტარებსაც გაუჩნდათ და ამიტომ, ისინი საკანონმდებლო ორგანოს სათოფეზე აღარ ეკარებიან. შესაბამისად, კვორუმის პრობლემა თავს იჩენს არა მარტო პლენარული სხდომების, არამედ ბიუროს ჩატარების დროსაც. და ეს მაშინ, როდესაც რიგი ფრაქციების გაუქმების გამო, კვორუმის ზღვარმა საგრძნობლად დაიწია.

ბიუროს სხდომის ჩატარებისთვის საჭირო დეპუტატების აუცილებელ მინიმუმს გიგი წერეთელმა ვერც გუშინ მოუყარა თავი. ამიტომ, სხდომაზე გამოცხადებულმა რამდენიმე დეპუტატმა რაიმე გადაწყვეტილების მიღება ვერ შეძლო. ისინი ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხზე მხოლოდ აზრთა ურთიერთგაზიარებით დაკმაყოფილდნენ.

მორალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გარდა, პარლამენტის ნორმალურ ფუნქციონირებას ფინანსური სირთულეებიც უშლის ხელს.

"საბეჭდი ქაღალდის შესაძენად ფინანსთა სამინისტროს მიზე-

რული თანხა უნდა გადმოერიცხა, მაგრამ ამის გაკეთება დღემდე ვერ მოხერხდა", - აცხადებს გიგი წერეთელი.

დეპუტატების ასეთ "გაუსაძლის ყოფას" მალე მოეღება ბოლო: კონსტიტუციის თანახმად, საშემოდგომო სესია დეკემბრის მესამე პარასკევს, ანუ 19 დეკემბერს დაიხურება.

მანამდე კი დეპუტატებს მაინცადამაინც არ დატვირთავენ. გიგი წერეთლის თქმით, თუ მნიშვნელოვანი საკითხები არ იქნება განსახილველი, პლენარული სხდომები არ ჩატარდება. "მნიშვნელოვანის" კატეგორიას მოქმედი სპიკერი საარჩევნო კანონმდებლობას, საბიუჯეტო საკითხებს და საკადრო გადაწყვეტილებებს მიაკუთვნებს.

ბიუროს გუშინდელ ვერშემდგარ სხდომაზე დეპუტატები მხოლოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ პლენარული სხდომა ხუთშაბათს, 18 დეკემბერს გაიმართოს.

ოზურგეთში ხელისუფლების გადაწყვეტილებას აპროტესტებენ

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

ცნობა გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულად ქ. ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის ვახტანგ გოლიაძის დანიშვნის შესახებ ადგილობრივი "ნაციონალებისა" და პოლიტიკური გაერთიანება "ბურჯანაძე-დემოკრატების" წევრთა მძაფრი რეაქცია გამოიწვია. გოლიაძე "ახალი მემარჯვენეების" ხელდასხმით მოხვდა საკრებულოში და სწორედ ეს იყო ხსენებული პოლიტიკური ძალების მრისხანების მიზეზი. ისინი, ასევე, არაორაზროვნად აცხადებენ, რომ გოლიაძე ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის, ივანე ჩხარტიშვილის თანაკლასელია და გაპოლიტიკოსებულ ბანკირს ხელისუფლებაში თავისი კაცი მოჰყავს, რათა მშობლიურ რაიონში სრული ჰეგემონია დაამყაროს.

ოზურგეთელი "ნაციონალებისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთმა ჯგუფმა, რამდენიმე პენსიონერის თანხლებით, გურიის მხარის ადმინისტრაციის შენობას მიაშურა ხუთჯვრიანი დროშების ფრიალით და შესასვლელის ბლოკირება მოახდინა. აქვე გამართულ ხანმოკლე, მაგრამ მღელვარე დე ემოციურ მიტინგზე ხმამაღლა ითქვა, რომ საბოლოო მიზანია შევარდნაძის ხელისუფლების სრული დემონტაჟი, ყოფილი ხელისუფლების ნარჩენების შენარჩუნება დეკორაციებისა და ფასადის ცვლილებებით, მათთვის მიუღებელია. მიტინგზე, აგრეთვე, ითქვა, რომ ზემოხსენებული საკადრო დანიშვნა, სავარაუდოდ, არ იყო შეთანხმებული მიხეილ სააკაშვილთან, რომელიც უკრაინაშია, და იმედოვნებენ, რომ მისი ჩამოსვლის შემდეგ პოლიტიკური და ისტორიული სამართლიანობა აღდგება.

მოპიკეტებმა მიტინგზევე მიიღეს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ისინი ადმინისტრაციის შენობის პიკეტირებას გააგრძელებენ და ახლად მოვლენილ გუბერნატორს შენობაში არ შეუშვებენ.

სამუშაო ადგილის მომსახურე საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინერი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს სამუშაო ადგილის მომსახურე საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინრის თანამდებობის დასაკავებლად. სამუშაო ადგილის მომსახურე IT ინჟინერი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ იმუშავებს.

სამუშაოს აღწერა
სამუშაო ადგილის მომსახურე IT ინჟინერი პასუხისმგებელია ოფისში მომუშავე პერსონალის დახმარებასა და ტრეინინგზე სხვადასხვა სახის პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფის მოხმარების კუთხით, როგორიცაა Microsoft Windows 2000, Microsoft Office 2000 Professional, მათ შორის Word, Excel, Power Point და MS Access.

მოვალეობები და პასუხისმგებლობა
IT ინჟინრის ზოგადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:
- კომპანიის უსაფრთხოების მართვის სისტემის განხორციელება და დაცვა, უსაფრთხოების მაღალი კულტურის დამკვიდრება.
- მომხმარებლებისთვის MS Office 2000-ისა და იმ სხვადასხვა პროგრამული პაკეტების მოხმარების სწავლება, რომელთაც ოფისის პერსონალი იყენებს.
- სამაგიდო საოპერაციო სისტემისა და ადგილობრივად ინსტალირებული პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურება.
- კლიენტის გამოყენებითი პროგრამის ინსტალირება, ტესტირება, კონფიგურირება და შენახვა უკანასკნელად დამტკიცებული ვერსიით.
- ახალი და არსებული პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფის გადაადგილება, ინსტალირება და კონფიგურირება საჭიროებისამებრ ყველა სამუშაო ტერმინალზე.
- სატელეფონო ქსელის და სხვა სატელეკომუნიკაციო აპარატურის, მაგალითად ოფისის ტელეფონების შესახებ სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება.
- სამუშაო სადგურებზე საოპერაციო სისტემების საწყისი ჩატვირთვა, ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი და მოგვარება.
- ჯგუფის წევრების დახმარება გამოყენებითი სისტემებით სარგებლობაში და ოფიციალური და არაოფიციალური ტრეინინგების ჩატარება.
- მომხმარებლების დახმარება ავტომატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში და საჭიროებისამებრ სხვა ჯგუფებთან კოორდინირება.
- მითითებისამებრ პროცედურების, ინსტრუქციების, დოკუმენტაციის და საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშების მომზადება.
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობები.

გამოცდილება და განათლება
სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:
- სულ მცირე 3 წლის გამოცდილება ავტომატიზაციის სფეროში
- ქართული - მშობლიური ენა, ინგლისური და რუსული ენების უმაღლეს დონეზე ფლობა
- სერტიფიკატი Microsoft-ის პროგრამულ უზრუნველყოფაში
- თვითმოტივაცია, სამშენებლო პროექტის დინამიკურ ატმოსფეროში მუშაობის და დაწესებული მოთხოვნების ალღოს აღების უნარი
- დადებითი პირადი თვისებები და ურთიერთობის დამყარების შესანიშნავი უნარი
- პროექტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, დამატებითი სამუშაოს შესრულებისთვის მზადყოფნა
- სისტემატურად მოწოდებული ტექნიკური ინფორმაციის ათვისების და ეფექტურად გამოყენების უნარი
- **თვითკონტროლი, პასუხისმგებლობა და ავტორიტეტი:** სისტემატიზირებულ და ყოველდღიური ზედამხედველობის გარემოში მუშაობის უნარი.
- **ზეგავლენა:** პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე.
- **სამუშაოს კომპლექსურობა:** სხვადასხვა დიაპაზონის და კონტექსტის მქონე დავალებების შესრულება სხვა თანამშრომლებთან ხშირად მიმართვის გარეშე.
- **აუცილებელი უნარ-ჩვევები:** შესასრულებელი სამუშაოსადმი რაციონალური და ორგანიზებული მიდგომა. საკუთარი სამუშაოს დაგეგმვის, გრაფიკზე აყვანის და კონტროლის უნარი. კოლეგებთან და ზედამხედველებთან ეფექტური კავშირის დასამყარებლად საკმარისი ზეპირი და წერილობითი ურთიერთობის უნარი.
- **საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციფიკის ცოდნა:** IT ინჟინერმა უნდა გაიაროს საწყისი მომზადება მის სამუშაოსთან დაკავშირებული მეთოდიკის, პროცედურების, საშუალებების, მოწყობილობის და სტანდარტების ეფექტურად გამოყენების მიზნით.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2003 წლის 29 დეკემბერი, ორშაბათი.**
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38
"ბი-პი ჯორჯია"
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
კადრების დეპარტამენტი

ორი სიტყვით

თბილისი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს მოქალაქეებმა გამარტივებული სავიზო რეჟიმით მოსკოვში პირველი რეისი უკვე განახორციელეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ თბილისში ჩამოვიდა ევროკავშირის დელეგაცია, რომელსაც სამხრეთ კავკასიის საკითხებში სპეციალური წარმომადგენელი ჰეიკი ტალვიტიე ხელმძღვანელობს. ვიზიტი გაცნობით ხასიათს ატარებს. დაგეგმილია ტალვიტიეს შეხვედრები პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძესთან, სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი ბარამიძესთან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" და "ტრადიციონალისტთა კავშირი", დაუზუსტებელი ინფორმაციით, ერთიან კოალიციაში გაერთიანდებიან. ედპ-ს გენერალური მდივანი ბაჩუკი ქარდავა და "ტრადიციონალისტთა" ლიდერი აკაკი ასათიანი დღეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფისში ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ და სამომავლო თანამშრომლობის დეტალების შესახებ ოფიციალურ განცხადებას გააკეთებენ. თუ რა ფორმით წარიმართება მათი თანამშრომლობა, მხარეები ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თედო ჯაფარიძე ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით მოსკოვს ეწვევა. საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი კონსულტაციებს გამართავს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ეროვნული უშიშროების საბჭოსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

შეხვედრების დროს განხილული იქნება ორი ქვეყნის ურთიერთობათა მთელი სპექტრი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი საზოგადოებრივი შტაბი შეიქმნა, რომელსაც პარლამენტარი გერმანე ფაცაცია თავმჯდომარეობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსი, ბრიგადის გენერალი დიმიტრი ლეჟავა აცხადებს, რომ 2004 წელს დაგეგმილია საქართველოს არმიის რიცხოვნობის შემცირება ათასი სამხედრო მოსამსახურით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აშშ-მ საქართველო დაუშვა კონკურსზე, რომლის გამარჯვებულებთანაც ერაყის აღდგენასთან დაკავშირებით კონტრაქტები გაფორმდება, - იტყობინება საინფორმაციო სააგენტო მედია-მაქსი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსთვის" ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ მოლოდინაშვილი მიიჩნევს, რომ 4 იანვარს საქართველოში "ფსევდოსაპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს სასაზღვრო უწყების სარდლის ვალერი ჩხეიძის განცხადებით, დაღესტნის ცუნტინის რაიონში ჩეჩნეთის ტერიტორიიდან ბოევიკთა შეჭრასთან დაკავშირებით, ქართველ მესაზღვრეებს მუდმივი კონტაქტები აქვთ რუს კოლეგებთან. მისი თქმით, ბოევიკთა ჯგუფი დაღესტანში საქართველოს ტერიტორიიდან არ გადასულა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ ხელახალი საპარლამენტო არჩევნები საქართველოში რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაინიშნოს და აუცილებლად 2004 წლის გაზაფხულის პირველივე კვირას ჩატარდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ სახელმწიფო მინისტრს ზურაბ ჟვანიას და აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს შორის შესაძლო მოლაპარაკებები შედეგიანად დასრულდება და ორივე მხარეს ეყოფა გონიერება, რათა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით კომპრომისები გამონახონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ სახელმწიფო კანცელარიის წინ საპროტესტო აქცია გამართეს გოჩა ფიფიას მხარდამჭერებმა. ისინი ეროვნული თანხმობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გურამ აბსანძისგან 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ზუგდიდის საარჩევნო ოლქში გოჩა ფიფიას გამარჯვების აღიარებას ითხოვდნენ. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმება აშშ-ს მთავრობის მიერ ერაყის ყოფილი მმართველის სადამ ჰუსეინის დაპატიმრებას.

"ერაყის ყოფილი დიქტატორის სადამ ჰუსეინის დაპატიმრება ხელს შეუწყობს ერაყში დემოკრატიული პროცესების განვითარებას და წაადგება ქვეყნის შიგნით სტაბილურობასა და მშვიდობას", - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლბაია, საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად, შოტლანდიაში კავკასიის სახელმწიფოების პარლამენტების საინიციატივო ფორმატის მორიგ შეხვედრაზე დასასწრებად გაემგზავრა.

საპარლამენტო ინიციატივის მიზანია სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა დაახლოება და ევროპასთან ინტეგრაციის ხელშეწყობა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ხვალ "ლეიბორისტული პარტიის" ხელმძღვანელები პარტიის ოფისში ეუთო-ს დელეგაციას უმასპინძლებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ახალციხე. გუშინ, საკუთარი განცხადების საფუძველზე, ახალციხის რაიონის გამგებელმა დავით მეტრეველმა თანამდებობა დატოვა. გუშინვე სამცხე-ჯავახეთის რწმუნებულმა ნუგზარ პარუნაშვილმა ახალციხის რაიონის გამგებლის პოსტზე სოფელ კლდის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე მინდია დევნოსაძე თავად წარადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ოთხჯერ ნასამართლევი, სენაკელი მამუკა ბრეგვაძე პოლიციელებმა მეხუთედ - ავტომანქანის გატაცების ბრალდებით დააკავეს. ბრალდების თანახმად, ბრეგვაძემ გუშინ ავტობაზრის (დიღომი) მიმდებარე ტერიტორიიდან "მერსედესის" მარკის ავტომანქანა მოიპარა. პოლიციელებმა "მერსედესი" მფლობელს დაუბრუნეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიციელებმა დააკავეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, ყაჩაღობაში ბრალდებულები, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი დავით მეგრელიშვილი, კახა მაისურაძე, გია ჯაშიაშვილი და გიორგი ბერულავა. დაკავებულებს ბრალად ედებათ ავთანდილ სიპაშვილზე თავდასხმა. ამ უკანასკნელს იარაღის მუქარით გასტაცეს ფული და პირადი ნივთები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. წყნეთში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მაღაზიაში, ამავე მაღაზიის მეპატრონის მერაბ ზაალიშვილის ჯანმრთელობის დაზიანების ბრალდებით პოლიციელებმა ზაზა სულაძე დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, სულაძემ, სხვა ორ ბოროტმოქმედთან ერთად, რომლებიც მიმალულნი არიან, ზაალიშვილი დანით თავის არეში დაჭრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები - იმედი გვალია და გია გაგნიძე გაქურდვის მცდელობის ფაქტზე დააკავეს. ისინი მუხიანში მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი ბინის კარს ტეხდნენ.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები, სხვა დამნაშავეებთან ერთად, მორგებული გასაღების გამოყენებით შეიჭრნენ იამზე ჩერქეზიას, რუბინა საზაგულოვას და ციალა გუჯეჯიანის ბინებში, საიდანაც გაიტაცეს ფული, ძვირფასი ნივთები, ვიდეო-აუდიო აპარატურა და სხვ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქურდული ტრადიციების მიმდევარი კახაბერ კალმახელიძე იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დააკავეს თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციელებმა.

კალმახელიძის დაკავების ოპერაცია სუხიშვილის ქუჩაზე ჩატარდა. მისგან ამოღებულია უნომრო პისტოლეტი „ვოლტრა-პროფიონალი“ ერთი მჭიდითა და სამი ვაზნით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში, რუსთაველის გამზირზე ჩადენილი ძარცვის ბრალდებით პოლიციელებმა ორი არასრულწლოვანი - გიორგი ზაზუნაშვილი და გიორგი ნოზაძე დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, მათ, ორ სხვა არასრულწლოვანთან ერთად, რუსთაველის გამზირზე 13 წლის დუდა გვენცაძეს გასტაცეს მობილური ტელეფონი და 5 ლარი. **მედია-ნიუსი**

პუტინი რადიკალურ ცვლილებებს გვპირდება

ბურჯანაძე მომავალ კვირას მოსკოვში გაემგზავრება

პუტინმა ისარგებლა შემთხვევით და ნინო ბურჯანაძე მოსკოვში მიიწვია.

ვერიკო თევზაძე

გუშინ, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს ბაქოში, რესპუბლიკის სასახლეში მას შემდეგ შეხვდა, როცა პუტინმა ალიევის დაკრძალვის სამგლოვიარო ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო. ეს იყო ხანმოკლე, დეკლარაციული შეხვედრა, ყოველგვარი სამუშაო რეჟიმისა და კონკრეტული საკითხების განხილვის გარეშე. საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის განცხადებით, პუტინმა გამოხატა კეთილი ნება და მზადყოფნა იმისათვის, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა რადიკალურად შეიცვალოს სასიკეთო მიმართულებით.

გუშინვე კანცელარიაში მასმედიისთვის კომენტარი გააკეთა მოქმედი პრეზიდენტის პრესმდივანმა გიორგი არველაძემ: **"ეს იყო ძალიან თბილი და კეთილგანწყობილი შეხვედრა. ორივე ქვეყნის პრეზიდენტებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს თავიანთი განწყობა იმის შესახებ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ახალი ეტაპი უნდა დაიწყოს, ის პრობლემები, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში დაგროვდა, ახალ რაკურსში გადაწყდეს."**

ჯერ კიდევ ნინო ბურჯანაძისა და ვლადიმირ პუტინის სატელეფონო საუბრის შემდეგ გადაწყდა ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტი. გუშინ პუტინმა შემთხვევით ისარგებლა და საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი კიდევ ერთხელ მიიწვია რუსეთის დედაქალაქში.

ნინო ბურჯანაძე მოსკოვში მომავალ კვირას გაემგზავრება. ამ ვიზიტზე უამრავი საკითხი განიხილება, მათ შორის, აფხაზეთისა და სამხედრო ბაზების პრობლემები. რასაკვირველია, ბურჯანაძე და პუტინი რუსეთსა და აჭარას შორის გამარტივებულ სავიზო რეჟიმზეც იმსჯელებენ.

გიორგი არველაძის ინფორმაციით, მრავალ საჭირბოროტო საკითხთა შორის, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტები ორ ქვეყანას შორის ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმებასა და რატიფიცირების დაჩქარებაზე იმსჯელებენ.

გუშინვე ნინო ბურჯანაძე უკრაინის პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმასაც შეხვდა. მათ საკმაოდ ხანგრძლივად ისაუბრეს საქართველოსა და უკრაინას შორის არსებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე და გამოთქვეს მზადყოფნა იმისა, რომ ეს ურთიერთობები მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

დიდი იმედების დრო

ვირველი გვერდიდან

- ქვეყნის ხელისუფლებაში მშვიდობიანი გზით განხორციელებული ცვლილებები საქართველოს ურთიერთობას დასავლეთთან გაცილებით უფრო მჭიდროს გახდის. ევროპასა და ამერიკაში ხალხი უკვე დაღლილი იყო შევარდნაძით. ლიდერები, რომლებიც ძალაუფლებაში ძალიან დიდხანს რჩებიან, შეცდომების დაშვებას იწყებენ. და საჭიროა, ისინი ძალაუფლებას ჩამოშორდნენ. მსოფლიოში ამის ბევრი მაგალითი არსებობს.

შევარდნაძემ მიიღო გონივრული გადაწყვეტილება და გადადგა. იმედი მაქვს, რომ ის კომფორტულად იგრძნობს თავს ახალ ამპლუაში, დარჩება საქართველოში და მემუარებს დაწერს.

- ამ ეტაპზე, როცა ქვეყანაში უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი და ამისათვის არანაირი ფინანსური რესურსი არ არსებობს, რამდენად დიდი იქნება ამერიკის ხელისუფლების მხრიდან გაწეული დახმარება?

- მე არ შემიძლია ახლა ხელისუფლების სახელით ვილაპარაკო, მაგრამ მე, როგორც ამერიკელს, იმედი მაქვს, რომ ამერიკა საქართველოს მაქსიმალურ დახმარებას აღმოუჩენს. მითუმეტეს, რომ ახლა ამისათვის ძალიან ხელსაყრელი დროა.

ფაქტია, რომ ამერიკის ხელისუფლებამ უკვე გამოხატა დახმარების სურვილი. ამაზე მიუთითებს პაუელისა და რამსფელდის განცხადებები, ამერიკის ოფიციალურ პირთა დელეგაციის ვიზიტი თბილისში.

არა მგონია, რომ ამ მომენტში უფრო მეტი რამის გაკეთება იყო შესაძლებელი. ამერიკამ საკმაოდ სწრაფი რეაქცია მისცა იმას, რაც საქართველოში მოხდა. რევოლუციის შემდეგ, ჯერ მხოლოდ ორ კვირაზე ცოტა მეტი დრო გავიდა.

- რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საკმაოდ კონსტრუქციული როლი შეასრულა რევოლუციის დღეს, თუმცა არავის აქვს იმის ილუზია, რომ რუსეთი საქართველოს მიმართ თავის პოლიტიკას შეცვლის. მით უმეტეს, მოსკოვის ბოლოდროინდელ ნაბიჯებს თუ გავითვალისწინებთ. როგორ გგონიათ, რისი მიღწევა სურს დღეს რუსეთს საქართველოსთან?

- არა მგონია, რომ იმ მომენტში იგორ ივანოვს შეეძლო, სხვა ტაქტიკა აერჩია. შესაძლოა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იმისათვის ჩამოვიდა საქართველოში, რომ ასლან აბაშიძესა და შევარდნაძეს შორის შეთანხმების მიღწევისათვის შეეწყო ხელი, უბრალოდ მას ამის გაკეთების საშუალება აღარ მიეცა.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ივანოვმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა პუტინმა, რომელიც ამ მოვლენებს შორიდან აკვირდებოდა, ძალიან აგრესიული კომენტარი გააკეთა.

მე მგონია, რომ უახლოეს მომავალში რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში იგივე დარჩება. რუსეთის მთავარი პრობლემა არის ის, რომ მოსკოვში არ არსებობს საერთო სტრატეგია, რომელზეც პოლიტიკური ელიტის ერთი ნაწილი მაინც შეთანხმდებოდა.

რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში უფრო ნოსტალგიას ემყარება, ვიდრე რაციონალურ გათვლებს. რუსეთს უნდა, რომ კავკასიაში ძველი გავლენა აღიდგინოს. ის უკმაყოფილოა იმით, რომ ეს გავლენა აღარ აქვს, თუმცა არც ის იცის ზუსტად, როგორ დაიბრუნოს ძველი სტატუს ქვო.

- ანუ რუსეთი დღეს ახალი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემად და გამოწვევად რჩება?

- საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უნდა შეძლოს ძლიერი, თავის თავში დარწმუნებული, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება. ახალმა მთავრობამ მაინცადამაინც ბევრი არ უნდა იდარდოს რუსეთზე. ისინი რუსეთთან ურთიერთობაში გაცილებით უკეთეს პოზიციაზე იდგებიან, თუ მათ უკან ძლიერი საქართველო იქნება.

- რაც შეეხება აჭარას, რომელიც ამ ეტაპზე ახალი ხელისუფლებისთვის ყველაზე მთავარ პრობლემას წარმოადგენს. როგორ უნდა იქნეს ეს პრობლემა დაძლეული, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა აბაშიძე რუსეთის აშკარა მხარდაჭერით სარგებლობს?

- ეს მართლაც ძალიან რთული და უხერხული საკითხია. მე იმედს ვიტოვებ, რომ აბაშიძეს ეყოფა გონიერება, ითანამშრომლოს ახალ ხელისუფლებასთან. რადგან თუ ამას არ გააკეთებს, ის არა მარტო ქვეყანას, არამედ პირადად თავის თავსაც დიდ პრობლემებს შეუქმნის.

ძველი პოლიტიკის გაგრძელების შემთხვევაში მან შეიძლება ისეთი სიტუაცია შექმნას, როცა თანდათანობით დაკარგავს ძალაუფლებას. თუ მას ძალაუფლების შენარჩუნება უნდა, ახალ ხელისუფლებასთან უნდა ითანამშრომლოს და თავი დაანებოს სულელურ მანევრებს არჩევნებთან დაკავშირებით.

თუ მას არ უნდა საპრეზიდენტო არჩევნებში იყაროს კენჭი, ეს მისი არჩევანია, მაგრამ აჭარაში არჩევნები უნდა ჩატარდეს.

თუმცა, საბოლოო ჯამში, ჩვენ არ ვიცით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს იგი, რადგან არ ვიცით, რითი დაბრუნდა მოსკოვიდან.

- ნოემბრის მოვლენების შემდეგ საქართველომ დასავლეთის დიდი ყურადღება მიიპყრო, როგორ გგონიათ, გაგძელდება თუ არა ასეთი ინტერესი მომავალშიც?

- საქართველომ აჩვენა, რომ სიცოცხლისუნარიანი, ჯანსაღი საზოგადოება ჰყავს, რომელსაც შეუძლია, თავისი პრობლემები მოაგვაროს.... ეს ძალიან კარგი ნიშანია. ეს საქართველოს ხდის იმის ღირსად, რომ დასავლეთმა მხარი დაუჭიროს და ინვესტიციებით დაეხმაროს.

- ბოლო პერიოდში საქართველო მაინცადამაინც არ იყო მიმზიდველი უცხოური ინვესტიციებისთვის. რამდენად შესაძლებელია, რომ ეს ტენდენცია შეიცვალოს?

- ეს ტენდენცია უკვე იცვლება. საქართველო ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით არასოდეს ყოფილა უიმედო მდგომარეობაში. ჩვენ დღეს მოვისმინეთ ქართველი ბიზნესმენების გამოსვლა, რომლებიც წარმატებულად საქმიანობენ საქართველოში. თუმცა ჩვენ, რა თქმა უნდა, უკეთეს გარემოს ვისურვებდით ბიზნესისათვის, რაც უფრო მეტ ინვესტიციებს მიიზიდავს და ეკონომიკის ნაყოფიერებას გაზრდის. იმედია, რომ ამის ნიშნები მალე გამოჩნდება.

გიორგაძის მხარდამჭერები აბოხდნენ

გიორგაძის მხარდამჭერები ცდილობდნენ, კამერებს მორიდებოდნენ.

იგორ გიორგაძის მომხრეებმა გუშინ ცესკო-ს შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართეს და ექსმინისტრის რეგისტრაციაში გატარება მოითხოვეს. "კონსერვატიული (მონარქისტული) პარტიის" ლიდერმა თემურ ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ ე.წ ვარდების რევოლუციის შემდეგ, ქვეყანაში რეალურად არაფერი შეცვლილა და საქართველოს ედუარდ შევარდნაძე თავის სამ შვილთან – საკაშვილთან, ჟვანიასთან და ბურჯანაძესთან ერთად კვლავ მართავს. თემურ ჟორჟოლიანმა დღეს ცესკო-ს თავმჯდომარეს ზურაბ ჭიაბერაშვილს "მეორე ნანა დევდარიანი" უწოდა, რომელიც, მისი თქმით, წინა თავმჯდომარის მსგავსად, ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს.

თემურ ჟორჟოლიანი ირწმუნება, რომ გიორგაძის მხარდამჭერთა აქცია კონსტიტუციურ ფარგლებს არ გასცდება, თუმცა პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და მანამდე გასტანს, ვიდრე ცესკო იგორ გიორგაძეს, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატს რეგისტრაციაში არ გაატარებს.

ინტერ-პრესი

დესტაბილიზაციის საფრთხეს ძალოვანები სხვადასხვაგვარად აფასებენ

ვალერი ჩხეიძის მტკიცებით საქართველოს საზღვრები საიმედოდაა დაცული.

ვირველი გვერდიდან

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ, გუშინწინ, პანკისის ხეობაში, შემდეგი განაცხადა: **"თბილისში იგეგმება რამდენიმე ტერორისტული აქტი, მათ შორის საცხოვრებელი კორპუსების აფეთქებაც, რასაც, სავარაუდოდ, მსხვერპლი უნდა მოჰყვეს."**

კოლეგების საგანგაშო ინფორმაციას არ ეთანხმება უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია. ქართული სპეცსამსახურის ხელმძღვანელი ინფორმაციას თბილისში მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ არ ფლობს. მეტიც, უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ ბრიფინგზე თქვა, რომ უახლოეს პერიოდში ვითარების დაძაბვა მოსალოდნელი არ არის. პირიქით, მინისტრი ირწმუნება, რომ მისი უწყება ფლობს ოპერატიულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, ქვეყანაში არსებული დაძაბული სიტუაცია უნდა განიმუხტოს.

კიდევ ერთი მთავარი საკითხი, რომელზეც უშიშროების საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს, ეროვნული შერიგების კომისიის შექმნა და მის თავმჯდომარედ გურამ აბსანძის დანიშვნა იყო. შერიგების კომისიას დაევალა 10 დღის ვადაში უშიშროების საბჭოს წარუდგინოს შემუშავებული გეგმა და შემოსარიგებელ პირთა სია. გარდა ამისა, დავალება მიიღო გენერალურმა პროკურორმაც, რომელმაც უნდა გადახედოს "განაწყენებულთა" ძველ საქმეებს.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ კატეგორიულად უარყო რუსეთის მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია, დაღესტნის ინციდენტში "ქართული კვალის" არსებობის შესახებ. ვალერი ჩხეიძის თქმით, ეს ინფორმაცია გადამოწმების შემდეგ თავად რუსეთმაც უარყო. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოს საზღვრების დაცვა, განსაკუთრებით ყვარლის, თუშეთის, ომალოს მონაკვეთზე, გაძლიერებულია და თითქმის გამორიცხულია მისი უკანონოდ გადაკვეთის შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე იარაღის გამოყენებით ეცდება საზღვრის გარღვევას, ქართველი მესაზღვრეები მას ცეცხლით უპასუხებენ.

წინასწარი რეგისტრაცია დაიწყო

ვირველი გვერდიდან

საკმაოდ რთულია დღეს იმის თქმა, ამომრჩეველთა რა რაოდენობა მივა საუბნო საარჩევნო კომისიებში რეგისტრაციის გასავლელად, თუმცა ისიც ცხადია, რომ მოსახლეობის პოლიტიკური აქტიურობა ამჟამად საკმაოდ მაღალია. როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში "24 საათს" განუცხადეს, აქტიურია არა მხოლოდ დედაქალაქისა და დიდი ქალაქების ამომრჩეველი, ასევე მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც რაიონებში ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, კომისიაში მიაჩნიათ, რომ წინასწარი რეგისტრაციის პროცედურას ამომრჩეველთა საკმაოდ მაღალი პროცენტი გაივლის.

შეგახსენებთ, რომ საუბნო საარჩევნო კომისიები, ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების მიზნით, მოქალაქეთა რეგისტრაციას 15-დან 21 დეკემბრის ჩათვლით განახორციელებენ, 21 დეკემბრიდან 27 დეკემბრის ჩათვლით კი სიების დაზუსტება მოხდება.

24 საათი

ცხინვალი მოლაპარაკებებისთვის მზად არის

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ საქართველოს ახალ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების გაგრძელებასთან დაკავშირებით მზადყოფნა გამოთქვა. მოლაპარაკებები ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტის შედეგების დარეგულირებას შეეხება.

საქართველოში 4 იანვრის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისთანავე, "საჭიროა მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომა საქართველოს კანონიერად არჩეულ ხელისუფლებასთან, რათა პროცესი არ დამუხრუჭდეს", - განაცხადა ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარემ სტანისლავ კოჩიევმა.

მისი თქმით, "პირადად მზადაა მოლაპარაკებებში მონაწილეობისათვის პარლამენტთა სპიკერების დონეზე".

კოჩიევმა არ გამორიცხა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის საქართველოს ახალ პრეზიდენტთან დიალოგი, "თუ 4 იანვარს არჩეული პრეზიდენტი ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების კურსის შესახებ დეკლარირებას გააკეთებს". **პრაიმ-ნიუსი**

ღარიბაშვილი ბჭობს

პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი ქართლოს ღარიბაშვილი მიიჩნევს, რომ გავრცელებული მოსაზრება, თითქოს ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილს არ ჰყავს ალტერნატივა, "დემოკრატიის შეურაცხყოფაა" და მიმართულია პრეზიდენტობის სხვა კანდიდატების "დათრგუნვისაკენ". როგორც ღარიბაშვილი აცხადებს, პრეზიდენტობის კანდიდატების "დათრგუნვის" მეთოდს ექს-პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც იყენებდა 1995 და 2000 წლების არჩევნებზე, თუმცა მასზე ეს ხერხი არ მოქმედებდა. ღარიბაშვილის აზრით, მას სააკაშვილზე "ნაკლები პოპულარობის კოეფიციენტი" არ აქვს. პრეზიდენტობის კანდიდატის თქმით, სააკაშვილს და სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიას მხოლოდ არჩევნების გაყალბების და ამ გზით ხელისუფლებაში მოსვლის გამოცდილება აქვთ. **პრაიმ-ნიუსი**

ჟურნალისტებს ბიზნესზე წერას ასწავლიან

პრესკონფერენცია "მარიოტში"

იური ლუგაშიძის ფოტო

დღეიდან იწყება და ათი დღე გაგრძელდება ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლებისთვის მოწყობილი სემინარი ბიზნეს და ეკონომიკურ ჟურნალისტიკაში. სემინარებს, რომელიც სასტუმრო "მერიოტში" ჩატარდება, ფონდი "ევრაზია" და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებელი კომპანია "ბი-პი" დააფინანსებს. სემინარებზე საუბარი იქნება ბიზნეს და ეკონომიკური სტატიების წერის მეთოდებსა და საშუალებებზე. სემინარი ჟურნალისტებს მოუთხრობს სტატიების წერის ტექნიკის, დოკუმენტაციის მოპოვება-გამოყენების და მოცემულ სფეროში წამყვან პირებთან ინტერვიუს აღების შესახებ, ბიზნესისა და ეკონომიკის ძირითად საკითხებზე. ტრენინგებს ჩაატარებენ უცხოელი და ქართველი ექსპერტები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ინვესტიციებს და ინვესტიციური გარემოს შექმნის პროცესების გაშუქებას.

სემინარების მონაწილეები მოამზადებენ სტატიებს, რომლებიც გამოქვეყნდება პრესაში. სტატიები და მათი ავტორები კი მონაწილეობას მიიღებენ კონკურსში, გამარჯვებულები დასაჩუქრდებიან. მომავალში ამგვარი სემინარები რეგულარული გახდება.

24 საათი

"თელასი" "სახელმწიფო ელექტროსისტემის" წინააღმდეგ

"თელასის" "რაოელი" მენეჯერები "სახელმწიფო ელექტროსისტემით" კვლავ უკმაყოფილონი არიან. კომპანიაში აცხადებენ, რომ "ელექტროსისტემა "თელასის" ქვესადგურების უკანონო შეზღუდვას აგრძელებს. "ძირითადად, ელექტროენერგიის მიწოდება უწყდება გლდანის, მუხიანის, თემქის, ნაძალადევის, ვარკეთილის, ვაზისუბნის, ისინისა და სამგორის მოსახლეობას," – წუხან თბილისის ენერგოდისტრიბუტორები და ამის გამო პასუხისმგებლობას "ელექტროსისტემას" აკისრებენ, რომელიც, მათი განცხადებით, ვერ უზრუნველყოფს რუსეთიდან "თელასის" მიერ შემოტანილი ელექტროენერგიის თბილისისათვის მიწოდებას.

"თელასში" მიიჩნევენ, რომ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი ავრცელებს არასწორ ინფორმაციას, თითქოს "თელასი" პიკის საათებში ზედმეტ ელექტროენერგიას ხარჯავს.

"კომპანია "თელასი" ოფიციალურად აცხადებს, რომ სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. დღეისათვის "თელასის" პიკური მოთხოვნა ოფიციალური განაცხადის შესაბამისად 530 მგვტ-ია," – აზუსტებენ "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში.

24 საათი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლები კვლავ გაიფიცნენ

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა რამდენიმე მონაკვეთზე ისევ შეჩერებულია. როგორც სააგენტო „მედია-ნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, გუშინ, დილიდან, გაფიცულებს ახალციხის მონაკვეთის მუშებიც შეუერთდნენ.

გაფიცვა გუშინ, დილით, რუსთავში დაიწყო, მოგვიანებით კი სპარეტსტო აქციაში ჯანდარას, თეთრიწყაროსა და მარნეულის მონაკვეთებზე დასაქმებული მუშები ჩაერთნენ.

მუშები აცხადებენ, რომ ამ პროექტში დასაქმებულ საქართველოს მოქალაქეებს კონტრაქტორები საათში ერთ ლარს უხდიან, როცა უცხოელი მოქალაქეები ათჯერ მეტ საზღაურს იღებენ. ხელფასების გაზრდასთან ერთად, გაფიცულები ქართული ადმინისტრაციის შეცვლასა და მივლინების თანხების სრულად, გამოქვითვის გარეშე გაცემას ითხოვენ.

დღეს გაფიცულებთან სამშენებლო კონტრაქტორი კომპანია „სპი კაპაგ - პეტროფაგის“ წარმომადგენლები მივიდნენ, მოთხოვნები მოისმინეს, თუმცა კონკრეტული დაპირებები არ ყოფილა. მუშები ოპერატორ კომპანია „ბი-პი“-ს ხელმძღვანელობასთან და ქვეყნის ხელისუფლებასთან შეხვედრას ითხოვენ.

გუშინვე ამ თემასთან დაკავშირებით მორიგი კომენტარი გააკეთეს "BTCco"-ში. **"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე დასაქმებულ მუშახელთან კონტრაქტები კარგა ხანია გაფორმებულია, ამიტომ რის საფუძველზე ითხოვენ ისინი ხელფასის გაზრდას, ჯერჯერობით, უცნობია".** - განაცხადეს "BTCco"-ში ინტერ-პრესს.

კომპანიაში აღნიშნავენ, რომ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს მილსადენის მშენებლობაზე დასაქმებულთა მიერ დაწყებული გაფიცვა პროექტის დაუფინანსებლობას უკავშირდება, მცდარია. "პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით პრობლემები არ არსებობს. მშენებლობაში "BP"-ის კონტრაქტორი "პეტროფაკი" ამჟამად გაფიცულებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და ცდილობს, გაარკვიოს, რა საფუძველს ემყარება გაფიცულთა მოთხოვნა," - განაცხადეს "BTCco"-ში.

საახალწლოდ მშენებლობაზე დასაქმებულთათვის "BP"-მ ბონუსების სახით 4 ლარი გამოყო. თითოეული დასაქმებული საახალწლოდ ერთ სამუშაო საათზე დამატებით 4 ლარს მიიღებს.

24 საათი

ჰუსეინის დაკავებამ ნავთობის ფასი შეამცირა

ანი გახარია

ექსპერტთა ვარაუდით, სადამ ჰუსეინის დაკავება საკმაოდ დიდ გავლენას იქონიებს მსოფლიო ბაზარზე. ეს მოსაზრება ჯერ კიდევ გუშინ გამოითქვა, დღეს კი ფაქტი სახეზეა. ლონდონის საერთაშორისო ნავთობის ბირჟაზე ერთი ბარელი ნავთობის ფასი 7,5%-ით შემცირდა და 29,62 დოლარი შეადგინა. როგორც ექსპერტები აცხადებენ, ჰუსეინის დაკავება გავლენას იქონიებს ქვეყანაში სტაბილურობის დამყარებაზე და დადებითად აისახება ეროვნული ნავთობის წარმოების აღდგენაზე. იმედოვნებენ, რომ ნავთობის ექსპორტი ომამდე არსებულ მასშტაბებამდე გაიზრდება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასის კლება დადებითად იმოქმედებს შეერთებული შტატების ეკონომიკაზე და გაამყარებს დოლარის პოზიციას. მსოფლიო ბაზრის დადებითმა რეაქციამ გუშინვე შეუწყო ხელი დოლარის კურსის გამყარებას სხვა მსხვილ ვალუტასთან მიმართებაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საგრძნობლად დაეცა ოქროს ფასი. ტოკიოს საფონდო ბირჟაზეც დაფიქსირდა ცვლილებები - აქციების ფასი საგრძნობლად იმატებს. ყველაზე დადებითად მიმდინარე მოვლენები იმ კორპორაციებზე აისახა, რომლებიც საზღვაო ტრანსპორტის წარმოებით, საჰაერო გადაყვანებითა და საბანკო საქმით არიან დაკავებულნი.

ორი სიტყვით

თბილისი. ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტს" კონსულტაციებს სპეციალური საბჭო გაუწევს. სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის დავით კირვალიძის ბრძანებით, "სამტრესტთან" 16-კაციანი მუდმივმოქმედი საბჭო შეიქმნება, რომელიც დეპარტამენტს გადაწყვეტილებების მიღებაში კონსულტაციებით დაეხმარება. საბჭო, ძირითადად, მეწარმეებითა და მეცნიერებით დაკომპლექტდება. საბჭოს მუშაობაში ქართული ღვინის კომპანია "GWS"-ის გენერალური დირექტორი გიორგი მშვიდობაძეც მიიღებს მონაწილეობას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მომავალი წლიდან სამინისტროებისა და უწყებების სპეცსახსრები სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე აკუმულირდება. ფინანსთა მინისტრის განცხადებით, სპეცსახსრები საკუთარ გამგებლობაში მხოლოდ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს დარჩება, რომლებიც პროგრამულ დაფინანსებაზე გადავლენ და როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციები, აღარ იმოქმედებენ. **მედია-ნიუსი**

რკინიგზის 15-კაციანი სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებულია

ᲘᲮᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

რკინიგზელთა ახალი მეთვალყურეები.

ბურჭულა ბახტაძის ფოტო

სავარაუდოდ, ერთ კვირაში გამოცხადდება ტენდერი რკინიგზის დეპარტამენტის დირექტორატის წევრთა კანდიდატურებზე, დაახლოებით ერთ თვეში კი, წარმოდგენილი იქნება კონცეფცია რკინიგზის რეორგანიზაციის შესახებ.

რკინიგზის მართვის ახლებური მოდელი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რკინიგზის, არამედ ზოგადად - სახელმწიფო საწარმოების მართვის მომავალის განსაზღვრის თვალსაზრისით.

როგორც გუშინ სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, მსგავსი რეორგანიზაციები დაიწყება ფოთის პორტში, მადნეულში, ავიაციის დარგში და სხვა სახელმწიფო საწარმოებში.

ხელისუფლების ეს ნაბიჯი, ზურაბ ჟვანიას განცხადებით, კორუფციის დაძლევისკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი უნდა იყოს.

გუშინვე სახელმწიფო მინისტრის ბრიფინგის პარალელურად გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტში გუშინდელი დღიდან ცხელი ხაზი ამოქმედდა. ცხელი ხაზის ნომრებია - 95-25-27, 56-42-27. როგორც "ინტერ-პრესს" რკინიგზის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის თანაშემწემ კონსტანტინე ნინიძემ განუცხადა, ცხელი ხაზის საშუალებით საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება ექნება, მისთვის უწყებაში შექმნილი ბარიერი მოაგვაროს.

მისივე განცხადებით, ცხელი ხაზის გახსნა იმანაც განაპირობა, რომ რკინიგზის მუშაობა უფრო გამჭვირვალე იყოს და მოსახლეობას ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა წინააღმდეგობის გარეშე შეეძლოს.

გარდა ამისა, რკინიგზის დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანელობამ დეპარტამენტის შენობის ფოიეში სპეციალური ყუთი დადგა. ამიერიდან მოსახლეობას და უწყების თანამშრომლებს საშუალება ექნებათ, სურვილებითა და პრეტენზიებით უშუალოდ მიმართონ ხელმძღვანელობას.

დეკემბერში ბიუჯეტი მხოლოდ ერთი თვის ხელფასებსა და პენსიებს გასცემს

ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ახალ ტრადიციას ამკვიდრებს და ჟურნალისტებს ანგარიშს ყოველი კვირის დასაწყისში გამართულ ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე აბარებს.
გუშინდელ ბრიფინგზე კვლავ დადასტურდა, რომ ბიუჯეტი, პრაქტიკულად, ისევ კატასტროფულადაა გარღვეული, ფინანსთა მინისტრი კი საბაჟო და საგადასახადო სამსახურების პირველი პირების შეცვლის შემდეგ "შუა რგოლების" პასუხისმგებლობის წამოწევას იწყებს:

თამარ ივანიძე

როგორც ნოღაიდელმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, იგი არ აპირებს ბიუჯეტის შესრულების მიზნით თვის ბოლო დღეებს დაელოდოს და იმ საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელებს, რომლებსაც გეგმის შესრულების მაჩვენებელი ამ დროისთვის დაბალი აქვთ, თანამდებობების დატოვება ელით.

"საქართველოს მასშტაბით მხოლოდ 11 საგადასახადო ინსპექციის მუშაობით ვარ კმაყოფილი; კერძოდ, გეგმის შესრულების მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია დედოფლისწყაროს, საჩხერის, ფოთის, წალენჯიხის, გორის, რუსთავის, მარნეულის, ლანჩხუთის, ბორჯომის, ვაკე-საბურთალოსა და მსხვილ გადამხდელთა ინსპექციებში. გეგმის შესრულების მაჩვენებელი მაღალია აჭარაშიც, თუმცა ამ შემთხვევაში კმაყოფილი მაშინ ვიქნები, როცა სახელმწიფო ბიუჯეტი აჭარიდან კუთვნილ თანხებს მიიღებს," - ამბობს ნოღაიდელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა დანარჩენი სამსახურის ხელმძღვანელმა ან ჯიბეები უნდა ამოიბრუნოს და სხვასაც ამოუბრუნოს, ან ბარგი ჩაალაგოს.

ნოღაიდელი "გაუგებარ გეგმებზეც" საუბრობს - **"ერთ-ერთი რაიონის საგადასახადო ინსპექციამ სრულიად გაუგებარი გეგმა წარმომიდგინა. ამ რაიონში რეგისტრირებული ერთი არქეოლოგიური სამსახურიდან ინსპექცია თვეში 120 ათას ლარს ელოდება, ხოლო 81 რეგისტრირებული რესტორნიდან 60 ათას ლარს. თავის მოტყუებას არ ვაპირებ!"** - განაცხადა ნოღაიდელმა. მისი თქმით, ანალოგიური მდგომარეობაა საბაჟო სამსახურებშიც.

ამასთან, ამიერიდან ფინანსთა მინისტრის მიერ საბაჟო და საგადასახადო ინსპექტირებისათვის შესასრულებელ აუცილებელ წესებს კიდევ ერთი დაემატება - კერძოდ, როგორც ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ განაცხადა, იკრძალება საბიუჯეტო დავალიანების მქონე სახელმწიფო საწარმოთა აქტივების რეალიზაცია მათ მიერ გეგმის შესრულების მიზნით.

ნოღაიდელი ამ პრაქტიკას „ფარულ პრივატიზაციას“ უწოდებს და ამ ახალი წესის შემოღებით ეწინააღმდეგება მის რეალურ განხორციელებას.

ხაზინაში კი მდგომარეობა ასეთია - მიმდინარე წლის 8-12 დეკემბერს ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზებული რესურსებიდან ფინანსთა სამინისტრომ ოქტომბრის თვის შრომის ანაზღაურების დასაფინანსებლად თავდაცვის, უშიშროებისა და იუსტიციის სამინისტროებისთვის 2 257 300 ლარი გასცა. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდს ტრანსფერის სახით 3 151 300 ლარი გადაერიცხა, ოქტომბრის თვის ლტოლვილთა შემწეობებისთვის კი 3 321 ათასი ლარი გაიცა.

ფინანსთა მინისტრი ამბობს, რომ იგი არ აპირებს მოსახლეობის მოტყუებას და აცხადებს, რომ დეკემბერში საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულები და პენსიონერები მხოლოდ ერთი თვის კუთვნილ თანხებს მიიღებენ.

რაც შეეხება არჩევნებს - "24 საათი" უკვე წერდა იმის თაობაზე, რომ ძველმა ხელისუფლებამ ახალს ვალად დაუტოვა გასული არჩევნების დასაფინანსებელი თანხები. ნოღაიდელი აცხადებს, რომ **"რაც შეეხება 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის გასაცემი დავალიანების დაფარვას, ამას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როცა საჭირო თანხები გვექნება".**

სამაგიეროდ, 4 იანვრის არჩევნების დაფინანსებას საფრთხე ნამდვილად არ ელის - იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ცესკო-ს დაფინანსება დაიწყო. როგორც ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა, თანხები ბიუჯეტიდან გადაირიცხება, თუმცა, რეალურად, არჩევნების დასაფინანსებლად საჭირო სახსრებს ევროკავშირი გაიღებს.

2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი კი ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა პარლამენტიდან გამოიტანა და თაროზე შემოდო. იგი მომავალი წლის ბიუჯეტის ახალ პროექტს ამუშავებს, რომელიც შემოსავლების კუთხით წლევანდელზე ამბიციური იქნება.

"ნაერთი ბიუჯეტის პარამეტრების განხილვა ფინანსთა სამინისტრომ უკვე დაიწყო. ამ კვირაში კონსულტაციებს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და ეროვნულ ბანკთან გავმართავთ, პროექტის პირველ ვარიანტს კი მთავრობაში განსახილველად 20 დეკემბრისთვის წარვადგენთ," - განაცხადა ნოღაიდელმა.

პროექტზე მუშაობის პროცესი თებერვლამდე მაინც გაგრძელდება, რადგან ამ დროისთვის გაიკვეთა, რა ოდენობის თანხას უნდა ველოდოთ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან.

"რაოსა" და "გაზპრომის" მარშრუტი დნესტრისპირეთში

მაია ურუშაძე

სამიოდე დღეში "რაო ეეს როსიი" და "გაზპრომი", სავარაუდოდ, მოლდოვას უმსხვილესი თბოელექტროსადგურის მფლობელები გახდებიან. მოლდოვას "სრესის" აქციათა 100 პროცენტის მფლობელის ვინაობა 19 დეკემბერს დასახელდება. ბუნებრივია, "რაოსა" და "გაზპრომის" ალიანსის მისი ხელში ჩაგდების ყველაზე მეტი შანსი აქვს. სადგურის აქციათა 100-პროცენტიანი პაკეტის სასტარტო ფასი 27 მილიონი დოლარია. მისი გაყიდვა აუქციონის გზით იგეგმება, თუმცა უცნობია, მონაწილეობს თუ არა ამ აუქციონში სხვა ვინმე, მთავარი პრეტენდენტის გარდა.

მართალია, ამჯერად რუსულმა ენერგოგიგანტებმა ტრადიციას ვითომ უღალატეს და უმსხვილესი ელექტროსადგურის შესყიდვა ნაღდი ფულით განიზრახეს (და არა ვალების ანგარიშში, როგორც ეს ტრადიციულად ხდებოდა ხოლმე), ახალი შენაძენი "რაო"-"გაზპრომის" ალიანსისთვის მაინც მომგებიანია: ის რუსულ მხარეს როგორც ფინანსურ, ასევე პოლიტიკურ დივიდენდებს მოუტანს. ექსპერტთა ვარაუდით, გარიგების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, რუსული მხარე ორმაგად მოგებული დარჩება. იმის გარდა, რომ რუსეთი რეგიონზე ენერგოკონტროლს მოიპოვებს და აღმოსავლეთ ევროპისა და თურქეთის ენერგობაზრისაკენ გაიკაფავს გზას, აუქციონზე გადახდილი თანხებით მოლდოვა "გაზპრომის" 500-მილიონიანი ვალის გასტუმრებასაც დაიწყებს. სადგურის მოდერნიზაციის შემთხვევაში, დამატებით გაზს სადგურს "გაზპრომი" მიყიდის, ხოლო "რაო" სადგურის მუშაობის შედეგად კუთვნილ დივიდენდებს მიიღებს.

საქმე ისაა, რომ მოლდოვის თბოელექტროსადგური, ჩვენი "თბილსრესისა" არ იყოს, რუსულ გაზზე მუშაობს. მის წილად ჰიდროენერგოპოტენციალით არცთუ ისე მდიდარი მოლდოვის გენერაციის 86 პროცენტი მოდის. ამჯერად სადგურზე 12-დან მხოლოდ სამი ენერგობლოკი მუშაობს. "რაოელი" და მოლდოველი ექსპერტების ერთობლივი გათვლებით, მისი სრული სიმძლავრით ამუშავებას 100 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია სჭირდება. სადგურის მიერ გამომუშავებული დენის მიწოდება შესაძლებელია აღმოსავლეთ ევროპისა და თურქეთისათვის, რომელთა ენერგობაზრების ათვისებაზეც რუსეთს, დიდი ხანია, თვალი უჭირავს.

სადგურის რუსეთის ვალებში გაქვითვაზე საუბარი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ წამოიწყეს მოლდოვასაგან "განკვეთილმა" დნესტრისპირელებმა, მაგრამ მაშინ ოფიციალურმა მოლდოვამ სადგურის გაყიდვის საკითხი დაამუხრუჭა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო სამსახური

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 8-12 დეკემბრის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 9 562.7 ათასი ლარი

1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 833.1 ათასი ლარი:
■ ***სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯები - 833.1 ათასი ლარი;***
2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 8 729.6 ათასი ლარი;
■ **სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდი - 3 151.3 ათასი ლარი:**■
საპენსიო ტრანსფერ - 1 888.0 ათასი ლარი;
■ ***უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა სოციალური დახმარება - 1 200.0 ათასი ლარი;***
■ ***რეგრესული პენსიები - 63.3 ათასი ლარი;***
■ **ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო (ლტოლვილთა ოქტომბრის თვის შემწეობა) - 3 321.0 ათასი ლარი;**
■ **საბიუჯეტო ორგანიზაციების ოქტომბრის თვის შრომის ანაზღაურება - 2 257.3 ათასი ლარი:**
■ ***თავდაცვის სამინისტრო - 1 330.3 ათასი ლარი;***
■ ***უშიშროების სამინისტრო - 554.2 ათასი ლარი;***
■ ***იუსტიციის სამინისტრო - 372.8 ათასი ლარი;***
სულ ხარჯი: 9 562.7 ათასი ლარი
1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 833.1 ათასი ლარი:
■ ***სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯები - 833.1 ათასი ლარი;***
2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 8 729.6 ათასი ლარი

თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1 **ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge**

მოკლედ

აშშ საქართველოს მიმდინარე ხარჯებისთვის 6 მლნ დოლარს გამოუყოფს

აშშ საქართველოს მიმდინარე ხარჯებისთვის 6 მლნ დოლარს გამოუყოფს. როგორც ყოველდღიური გაზეთი "კომერსანტი" იუწყება, ამის შესახებ კვირას, ვაშინგტონში, აშშ-ს ადმინისტრაციის მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომლის ვინაობა არ სახელდება.

გარდა ამისა, ჩინოსნის თქმით, აშშ-მ გადაწყვიტა 5 მლნ. დოლარის ოდენობის მარცვლეული გაუგზავნოს საქართველოს. კიდევ 5 მლნ დოლარს საქართველოს ევროკავშირის ქვეყნები გამოუყოფენ. როგორც ცნობილია, ამის თაობაზე დეკემბრის დასაწყისში ევროკავშირის ქვეყნებმა მაასტრიხტის შეხვედრაზე მოილაპარაკეს.

როგორც გაზეთი წერს, აშშ-ს ადმინისტრაციის თანამშრომელმა საქართველოს ერთ-ერთ ძირითად პრობლემად კორუფცია დაასახელა. მისი თქმით, ბოლო 10 წლის განმავლობაში აშშ-მ საქართველოში 2,3 მილიარდი დოლარი დახარჯა, მაგრამ **"ვერ გაუგია, ჰუმანიტარული დახმარების ნაწილი სად წავიდა".**

"ჩვენ ახლახან პატიოსნად ვუთხარით ბატონ სააკაშვილს, რომ თუ ამ ნაწილში, ასევე გადასახადების აკრეფის ნაწილში რეფორმები არ დაჩქარდა, კონგრესი საქართველოს საჭირო სახსრებს არ გამოუყოფს," - აღნიშნა ჩინოსანმა.

აშშ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების გაანგარიშებით, მათ 30-50 მილიონი დოლარი სჭირდებათ. ამერიკელთა შეფასებით კი, ეს თანხა 20 მლნ დოლარის მიდამოებში მერყეობს. **ინტერ-პრესი**

სატრანსპორტო საწარმოები რეგულირების გადასახადს გადაიხდიან?!

სატრანსპორტო საწარმოები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობენ, რეგულირების ახალ გადასახადს გადაიხდიან. ამის შესახებ ბრძანება გამოსცა საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ გია შენგელიამ.

ბრძანების მიხედვით, სატრანსპორტო საწარმო, რომელიც მგზავრთა საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ გადაყვანას ახორციელებს, თითოეული ავტომობილის ყოველ სამუშაო დღეზე 1 ლარის ოდენობის რეგულირების საფასურს გადაიხდის. ის საწარმო კი, რომელიც მგზავრების ქვეყნის შიდა არარეგულარულ საავტომობილო გადაყვანას ახორციელებს - 1,5 ლარს.

საერთაშორისო სატვირთო-საავტომობილო გადაზიდვით დაკავებული საწარმო რეგულირების საფასურს - თითოეულ ნებართვაზე 530 აშშ დოლარს გადაიხდის. საწარმო, რომელიც სახიფათო ტვირთების საავტომობილო გადაზიდვას ახორციელებს, რეგულირების საფასურის სახით თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე 120 ლარს გადაიხდის.

სატრანსპორტო სექტორში რეგულირების საფასურის სახით გადახდილი თანხა მთლიანად საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის ანგარიშზე ჩაირიცხება. ადმინისტრაცია კი მიღებულ შემოსავალს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაანკარგავს. **ინტერ-პრესი**

დღეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობის საკითხებს ლონდონში განიხილავენ

დღეს და ხვალ ლონდონში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის დირექტორთა საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართება. როგორც სააგენტო „მედია-ნიუსს“ ბაქო-ჯეიჰანის პროექტის ოპერატორ კომპანია „ბი-პი“-ს საქართველოს წარმომადგენლობიდან აცნობეს, სხდომაზე ძირითადად განიხილება ნავთობსადენის მშენებლობის მიმდინარეობის საკითხები.

დღის წესრიგშია პროექტის დაფინანსებისთვის კრედიტების გამოყოფის საკითხიც. ამაზე ლონდონში პროექტის აქციონერები კომერციული ბანკების წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელებენ. განიხილება შეთანხმებათა პაკეტი, რომელიც კომერციული ბანკების მიერ ნავთობსადენის მშენებლობისთვის 1,6 მილიარდი დოლარის სესხის გამოყოფას ითვალისწინებს. ამ დოკუმენტს ბაქოში, იანვრის მეორე ნახევარში, 30-მდე კომერციული ბანკი მოაწერს ხელს.

სესხების გამოყოფას კრედიტორები 2004 წლის პირველ კვარტალში დაიწყებენ. **მედია-ნიუსი**

სოხუმში აფხაზეთის ბიუჯეტის 2004 წლის პროექტს განიხილავენ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის 2004 წლის ბიუჯეტი, სავარაუდოდ, 15 მილიონ დოლარს შეადგენს. სოხუმის ხელისუფლების მთავრობამ პრეზიდენტ არძინბას განსახილველად 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წარუდგინა. ბიუჯეტის პროექტით, შემოსავლები 432 მილიონი რუსული რუბლით დაიგეგმა, ხარჯები 451 მილიონ რუსულ რუბლს შეადგენს, დეფიციტური ბიუჯეტის შევსებისთვის ლომის წილი საბაჟო შემოსავალზე მოდის და 172 მილიონ რუსულ რუბლს შეადგენს.

ბიუჯეტის პროექტი ფიზიკური პირებისგან - საშემოსავლო გადასახადის სახით 72 მილიონი რუსული რუბლის, ბანკებისაგან და ორგანიზაციებიდან 25 მილიონი რუსული რუბლის ამოღებას ითვალისწინებს. აფხაზეთის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის 2004 წელს 49,17 მილიონი რუსული რუბლი დაიხარჯება, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისთვის - 139 მილიონი რუსული რუბლი, მეცნიერებაზე - 11,8 მილიონი, მედიის ხარჯებზე - 9 მილიონი, აქედან ადგილობრივი ტელევიზიისთვის - 6,1 მილიონი.

ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 95,7 მილიონის გამოყოფას სამართალდამცველი, სასამართლო და პროკურატურის ორგანოებისთვის. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები 40 მილიონი რუსული რუბლით დაფინანსდება.

საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებული აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ლონდერ ცაავას ინფორმაციით, დევნილობაში მოქმედი აფხაზეთის სტრუქტურების ბიუჯეტი უკანასკნელი 5 წლის მანძილზე 6-7 მილიონ ლარს შეადგენს. აქედან ტრანსფერის სახით საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის სტრუქტურებს 5-5 მილიონ ლარს გამოუყოფს, 1,5-2 მილიონი ლარით აფხაზეთის ბიუჯეტს კი თავად აფხაზეთიდან დევნილი ფიზიკური პირები და ორგანიზაციები ავსებენ. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

ნეპალი. გასულ შაბათ-კვირას, ჰიმალაებში განლაგებულ პატარა სამეფოში, უსაფრთხოების ძალებსა და მემარცხენე მაოისტურ დაჯგუფებებს შორის მომხდარი შეტაკების შედეგად, სულ მცირე, 70 ადამიანი დაიღუპა. კატმანდუდან 360 კილომეტრით დაშორებით, ამბოხებულთა რაზმი სამხედრო პატრულს დაესხა თავს, რის შემდეგაც სამხედროებმა მაოისტების ბაზაზე მიიტანეს იერიში და რამდენიმე ათეული მებრძოლი გაანადგურეს. შეტაკებები ქვეყნის სხვადასხვა წერტილებშიც მოხდა. მაოისტური მოძრაობა მეზობელი ჩინეთის რევოლუციური იდეებით საზრდოობს და ნეპალის კონსტიტუციური მონარქიის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებს. 1996 წლის შემდეგ ამ ბრძოლას 8 ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ბოლო დროს მხარეებს შორის მოლაპარაკებები მიდიოდა, თუმცა მაოისტებმა ისინი აგვისტოში ჩაშალეს.

■ ■ ■

პაკისტანი. კვირას პაკისტანის პრეზიდენტი ფერვეზ მუშარაფი მასზე მომხდარ თავდასხმას გადაურჩა. ერთ-ერთ ქალაქში არსებული პრეზიდენტის რეზიდენციიდან მომავალი მუშარაფის ავტოკოლონის სიახლოვეს ნაღმი აფეთქდა. განსაკუთრებით კოლონის ბოლოში მიმავალი მანქანა დაზიანდა, ხოლო მანქანაში მჯდომი ოთხი პიროვნება დაიჭრა. თავად მუშარაფი არ დაშავებულა. ეს უკვე რიგით მესამე თავდასხმაა პაკისტანის პრეზიდენტზე მას მერე, რაც მან 1999 წელს სამხედრო გადატრიალების გზით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ გახშირებული თავდასხმების უკან ისლამისტური ძალები უნდა იდგნენ. ალ-ქაიდასა და ავღანელი თალიბების წინააღმდეგ ბრძოლაში მუშარაფმა, პაკისტანის მოსახლეობის უარყოფითი განწყობის მიუხედავად, ამერიკელებს დაუჭირა მხარი, რითაც ისლამისტური დაჯგუფებების რისხვა გამოიწვია.

■ ■ ■

პოლონეთი. პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა ლეშეკ მილერმა, რომელმაც ესპანელ კოლეგასთან ერთად, ევროკავშირის კონსტიტუციის მიღება, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახადა, სამშობლოში დიდი ქება დაიმსახურა. მილერს ოპოზიციაც კი უკრავდა ტაშს მისი მყარი პოზიციის გამო, თუმცა იქვე აღნიშნავდნენ, რომ მთავრობის მეთაურმა მხოლოდ საკუთარი მოვალეობა შეასრულა და ქვეყნის ინტერესები მკაცრად დაიცვა. ევროპაში კი პოლონეთის პოზიციის სიმკაცრეში "უაზრო სიჯიუტეს" უფრო ხედავენ და მიიჩნევენ, რომ ვარშავას ეს ნაბიჯი შეიძლება ძვირი დაუჯდეს. საუბარია იმ დახმარებებსა და ერთობლივ პროექტებზე, რომელშიც ლომის წილი პოლონეთის მეზობელ გერმანელებს აქვთ, რომლებიც პოლონეთის პოზიციამ ყველაზე მეტად გააღიზიანა. მაგალითისათვის, 2004-2006 წლებში ევროკავშირიდან პოლონეთმა სატრანსპორტო არტერიების გაუმჯობესების, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტებზე 12 მლრდ ევრო უნდა მიიღოს. 12-13 დეკემბრის ბრიუსელის სამიტზე პოლონეთი და ესპანეთი კონსტიტუციის პროექტში გათვალისწინებული ხმების განაწილების პრინციპს არ დაეთანხმნენ, რის გამოც კონსტიტუციის მიღება ვერ მოხერხდა.

■ ■ ■

ავღანეთი. კვირას ქაბულში ავღანეთის დამფუძნებელი კრება "ლოია ჯირგა" გაიხსნა. შეკრება ავღანეთის ყოფილმა მონარქმა, ზაჰირ შაჰმა გახსნა. შეკრებაში ქვეყნის ყველა პროვინციიდან 500 დელეგატი მონაწილეობს. კრების სხდომები მკაცრი უსაფრთხოების პირობებში ტარდება. მან უნდა განიხილოს და მიიღოს ქვეყნის ახალი კონსტიტუცია. კონსტიტუციის ტექსტი 35 კაცისაგან შემდგარმა კომისიამ მოამზადა, რომელსაც ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ კარზაი ხელმძღვანელობს. ამ კონსტიტუციამ უნდა დაასრულოს სამოქალაქო ომების 23-წლიანი ეპოქა ავღანეთში. მომავალი წლის ივნისში დაგეგმილია საყოველთაო არჩევნების ჩატარება, რის შემდეგაც კარზაის დროებითი ადმინისტრაცია არჩეულ ხელისუფლებას გადასცემს ქვეყნის მართვის სადავეებს. აღსანიშნავია, რომ კრების უსაფრთხოებას, ძირითადად, ადგილობრივი პოლიციისა და არმიის ძალები იცავენ. თუმცა, ქვეყნის უსაფრთხოება კიდევ დიდი ხანი იქნება დამოკიდებული საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევაზე.

ბაქოში პრეზიდენტი ალიევი დაკრძალეს

აზერბაიჯანი ალიევს ეთხოვება. REUTERS

თანამედროვე აზერბაიჯანის არქიტექტორად წოდებული ჰეიდარ ალიევი ბაქოში გუშინ პომპეზურად დაკრძალეს. 80 წლის პრეზიდენტი აშშ-ში გარდაიცვალა და მისი ცხედარი კლივლენდიდან გუშინწინ ჩაასვენეს ბაქოში. აეროპორტში მას დამკრძალავი სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე, გარდაცვლილის ვაჟი და მემკვიდრე ილხამ ალიევი დახვდა. ორშაბათს პრეზიდენტის ცხედარი ბაქოს ცენტრში, რესპუბლიკის სასახლეში დაასვენეს, სადაც სამოქალაქო პანაშვიდები გაიმართა. ეს ის შენობაა, სადაც პრეზიდენტის გულის შეტევა პირდაპირ ეთერში ნახა მოსახლეობამ. ალიევთან გამოსამშვიდობებლად ასიათასობით ადამიანი მივიდა. რეგიონებიდან ბაქოში საგანგებოდ ჩავიდნენ სახელდახელოდ შექმნილი დელეგაციები. პანაშვიდებს ესწრებოდნენ პრეზიდენტის ოჯახის წევრები და ახლობლები. გუშინ კი ბაქოში საპატიო სტუმრები ჩავიდნენ მსოფლიოს 50-მდე ქვეყნიდან. სტუმართა შორის რამდენიმე სახელმწიფოს მეთაურიც იყო. ბაქოს საგანგებოდ ეწვივნენ საქართველოს მოქმედი და ყოფილი პრეზიდენტები, რუსეთის პრეზიდენტი, ყაზახეთის პრეზიდენტი, თურქეთის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი. ვლადიმირ პუტინი დაკრძალვას არ დაელოდა და პანაშვიდზე მისვლის შემდეგ სამშობლოში გაბრუნდა. ბაქოს აეროპორტში მან თქვა, რომ, მართალია, პარტიული წარსულის გამო იგი თავიდან ალიევს არ ენდობოდა, მაგრამ მისი პირადად გაცნობის შემდეგ დარწმუნდა, თუ რა დიდი სახელმწიფო მოღვაწე იყო იგი. "აზერბაიჯანს გაუმართლა, რომ ასეთი ლიდერი ჰყავდა," – თქვა პუტინმა. ყაზახეთის ლიდერმა ნაზარბაევმა კი აღმოსავლური გამოთქმა მოიშველია, რომლის მიხედვითაც, თურმე, დიდი კაცის დაღუპვა მზის კაშკაშზეც უარყოფითად აისახება. "ასეა ახლა აზერბაიჯანში," - დაასკვნა ნაზარბაევმა.

ნაშუადღევს სამგლოვიარო პროცესია შაჰიდების ხეივნისკენ გაემართა. ბაქოს პოლიციის მონაცემებით, პროცესიაში მილიონამდე აზერბაიჯანელი და ქვეყნის სტუმარი იღებდა მონაწილეობას. ადგილობრივი დროით, ზუსტად 16 საათზე აზერბაიჯანის პრეზიდენტის ხსოვნის პატივსაცემად სამხედრო ზალპი გაისმა. ჰეიდარ ალიევი 18 წლის წინ გარდაცვლილი მეუღლის გვერდით დაკრძალეს. მისი გარდაცვალებით აზერბაიჯანში მთელი ეპოქა დასრულდა. ალიევმა მოახერხა აზერბაიჯანის სახელმწიფოს შექმნა და მისი საერთაშორისო პოზიციის გამყარება, რაც, ძირითადად, კასპიის ენერგორესურსების ათვისების პროექტებს უკავშირდება. ამასთან, ალიევმა საკუთარ მემკვიდრეს დაუტოვა უამრავი პრობლემა, რომელთაგან უმთავრესი ყარაბაღის კონფლიქტია. პარასკევს ილხამ ალიევის ინაუგურაცია უნდა შედგეს.

სადამის ტყვეობის მეორე დღე

პირველი გვერდიდან

ერაყის დროებითი მმართველი საბჭოს ხელმძღვანელმა აბდელ აზიზ ალ-ჰაკიმმა, რომელიც ამერიკელების მიერ არის დანიშნული, განაცხადა, რომ სადამს ერაყის სასამართლო გაასამართლებს. გასულ კვირას ერაყში შეიქმნა სპეციალური ტრიბუნალი, რომლის წინაშეც ქვეყნის ყოფილი მთავრობის წევრები წარსდგებიან. ალბათ, სადამს სწორედ ამ ტრიბუნალით უპირებენ გასამართლებას. **"სადამის სასამართლო პროცესი ერაყის ტერიტორიაზე გაიმართება, ოღონდ მას აუცილებლად დაესწრებიან უცხოელი დამკვირვებლები,"** - დასძინა ალ-ჰაკიმმა.

ამავდროულად, ზოგიერთი უფლებათადმცველი ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ პროცესის გამართვა სხვა ქვეყანაში აჯობებდა, სადაც სიკვდილით დასჯა აკრძალულია. ერაყის მმართველი საბჭოს წევრის ადნან პაჩაჩის თქმით, სადამ ჰუსეინი იდენტიფიკაციის პროცედურის დროს საკმაოდ ამაყად იქცეოდა და აცხადებდა, რომ ის "სამართლიანი და მტკიცე მმართველი" იყო. თავად პაჩაჩი ბაღდადში სადამის გადმოყვანას და შემდგომ პროცედურებს პირადად ადევნებდა თვალყურს.

ამერიკული გამოცემა "ტაიმი" აცხადებს, რომ სადამი, მართალია, არ დუმს, მაგრამ თანამშრომლობაზე უარს აცხადებს. გაზეთი მისი პირველი დაკითხვის დეტალებს აქვეყნებს. დაკავების შემდეგ სადამი ბაღდადის აეროპორტში წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს. პირველ შეკითხვებზე მას არც ერთხელ პირდაპირი პასუხი არ გაუცია.

გამომძიებელი: **"როგორ გრძნობთ თავს?"**

სადამი: **"მე დამწუხრებული ვარ, რადგანაც ჩემი ხალხი შებორკილია."**

გამომძიებელმა მას ჭიქით წყალი შესთავაზა

სადამი: **"მე რომ წყალი დავლიო, საპირფარეშოში მომინევს გასვლა და როგორ ვისარგებლო ამით, როდესაც ჩემი ხალხი ჯაჭვებით არის დაბმული."**

გამომძიებელი ყოფილ დიქტატორს ამერიკელი კაპიტნის სკოტ სპეჰერის ადგილსამყოფელის შესახებ შეეკითხა, ეს კაპიტანი სპარსეთის ყურეში ჯერ კიდევ პირველი ომის დროს დაიკარგა.

სადამი: **"არა, ჩვენ ასეთი ტყვე არასდროს დაგვიკავებია. მე არ ვიცი, რა მოუვიდა მას."**

გამომძიებელი ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ ეკითხება.

სადამი: **"არა. ეს ყველაფერი ამერიკელებმა მოიგონეს, რათა ჩვენს წინააღმდეგ ომის დაწყების საბაბი ჰქონოდათ."**

გამომძიებელი: **"თუ თქვენ არ გქონდათ მასობრივი განადგურების იარაღი, მაშინ რატომ არ შეუშვით ამერიკელი გამომძიებლები თქვენს ობიექტებში?"**

სადამი: **"ჩვენ არ გვინდოდა, რომ მათ პრეზიდენტის ობიექტებზე ევლოთ და ჩვენს პირად ცხოვრებაში ჩარეულიყვნენ."**

ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა გაზეთ "ტაიმთან" საუბარში გამოთქვა ღრმა ეჭვი, რომ სადამისგან რაიმე ღირებული ინფორმაციის მიღებას შეძლებენ.

"მე ძალიან გამიკვირდება, მან რომ რაიმე ინფორმაცია მოგვაწოდოს," - განაცხადა ჩინოვნიკმა და დასძინა, რომ ერაყის ყოფილი მთავრობის სხვა დაკავებული წევრებიც ძველებურად ისევ დუმილს ამჯობინებენ.

მისი თქმით, უახლოეს დღეებში გაირკვევა ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი, კერძოდ, პირადად ხელმძღვანელობდა თუ არა სადამ ჰუსეინი ერაყის წინააღმდეგობის მოძრაობას.

ბრალდებათა სია

ბრიტანული გაზეთი "ინდეპენდენტი" აცხადებს, რომ სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესი, ნაცისტების ნიურნბერგის პროცესის შემდეგ, ყველაზე დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის იქნება.

საკმაოდ საინტერესოა, თუ რა ბრალდებებს წაუყენებენ ყოფილ დიქტატორს. "ინდეპენდენტი" რამდენიმე ბრალდებას აყალიბებს.

გენოციდი: სადამს ბრალი ედება 80-იან წლებში ერაყელი ქურთების წინააღმდეგ გაზის გამოყენებაში. გარდა ამისა, 1990-91 წლებში ომის შემდეგ ერაყში 270 მასობრივი საფლავი აღმოაჩინეს.

დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ: ათასობით თანამემამულის დაპატიმრება და წამება, რითაც სადამი საერთაშორისო ნორმებს არღვევდა.

მკვლელობები: 1996 წელს მან გასცა ბრძანება თავისი ორი სიძის მოკვლის თაობაზე. ამასთანავე, ეს ბრალდება სადამს შესაძლოა იმ ერაყელებმაც წაუყენონ, რომელთა ახლობლები და ოჯახის წევრები სწორედ რეჟიმის მსხვერპლად იქცნენ.

უკანონო ომის წარმოება: ეს ბრალდება ფორმულირებულია, როგორც სადამის მიერ ომის წარმოება ერაყის წინააღმდეგ, რასაც ერთი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამასთან, სადამს ბრალი ედება ქუვეითის წინააღმდეგ ომის დაწყებაში, რაც საერთაშორისო სამართლის დარღვევა იყო.

რუსეთის პოზიცია

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ იური ფედოტოვმა სააგენტო "როიტერთან" საუბარში განაცხადა, რომ სადამის დაპატიმრებას მხოლოდ სიმბოლური ხასიათი გააჩნია, რადგანაც დიქტატორი უკვე არაფერს წარმოადგენდა და მიწის ქვეშ იმალებოდა.

"დაპატიმრება მნიშვნელოვნად არ შეცვლის სიტუაციას, რადგანაც მისი რეჟიმი რამდენიმე ხნის წინ ისედაც უკვე დამხობილი იყო. ჩვენ გვსურს ვიფიქროთ, რომ სადამ ჰუსეინის დაპატიმრება ერაყში ვითარების დასტაბილურებას შეუწყობს ხელს. მაგრამ, თუ რა იქნება, ამას მომავალი გვიჩვენებს," - აცხადებს ფედოტოვი.

გარემოსდაცვითი საველე ოფიცერი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიციურ პირებს **გარემოსდაცვითი საველე ოფიცრის** თანამდებობის დასაკავებლად.

სამუშაოს აღწერა:

გარემოსდაცვითი საველე ოფიცრის მოვალეობას შეადგენს უზრუნველყოს, რომ საველე ობიექტზე სამშენებლო საქმიანობის დროს დაცული იყოს კონტრაქტის გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პირობები, "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის" (ESIA) პირობები და პროექტის უმთავრესი ფასეულობები. მას ურთიერთობა ექნება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ჯგუფთან. მშენებლობის კონტრაქტთან, ობიექტის ხელმძღვანელ პირებთან და პროექტის ჯგუფის წარმომადგენლებთან. საველე არქეოლოგებსა და დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენის (WREP) გარემოსდაცვით ინსტრუქტორებთან. გარემოსდაცვითი საველე ოფიცერი ანგარიშვალდებულია მილსადენის პროექტის საველე წარმომადგენლის წინაშე ("პირდაპირი ანგარიში") და გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის წინაშე ("ფუნქციონალური ანგარიში"). გარემოსდაცვითი საველე ოფიცრის სამუშაო მოითხოვს ველზე ყოფნას და სამშენებლო ბანაკებში ცხოვრებას შედარებით ხანგრძლივი პერიოდებით.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

გარემოსდაცვითი საველე ოფიცრის მოვალეობებს შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

ზედამხედველობის განხორციელება საველე გარემოსდაცვით საქმიანობაზე;

კონტრაქტორის საველე საქმიანობის მონიტორინგი და კონტროლი გარემოსდაცვითი კუთხით, კონტრაქტის მოთხოვნების და ESIA-ს ანგარიშში ასახული ვალდებულებების დაცვის თვალსაზრისით;

გარემოსდაცვითი აუდიტის პროგრამების შესრულება, გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის ინსტრუქციების შესაბამისად;

მონაწილეობა გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის მიერ შემუშავებული ტრენინგების პროგრამაში;

სამუშაო პროგრამის შედგენა ისე, რომ ის მაქსიმალურად მოიცავდეს კონტრაქტორის საქმიანობის ყველა სფეროს;

გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველისთვის რეგულარული ანგარიშის მიწოდება გარემოს დაცვის სფეროს მოთხოვნების დაცვის მხრივ შექმნილი მდგომარეობის შესახებ და მნიშვნელოვანი საკითხების დაუყოვნებლივ მოხსენება;

პროექტის ESIA-ს ანგარიშის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, როგორიცაა, მაგალითად, წინასამშენებლო დათვალიერება, მონიტორინგის და ანგარიშგების პროგრამა;

გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის ინფორმირება "შეუსრულებლობის" შემთხვევაში, შესაბამისი გაფრთხილებების გაცემა კონტრაქტორის მისამართით;

მილსადენის მარშრუტის კონკრეტულ მონაკვეთზე წარმოქმნილი ლოკალური საკითხების მოსაგვარებლად მითითებების გაცემა;

სამუშაოს წინმსწრები საინსტრუქტაჟო საუბრების გამართვა კონტრაქტორთან, კონკრეტულ გარემოსდაცვით საკითხებზე.

მოთხოვნები:

გარემოსდაცვით სფეროში მუშაობის მინიმუმ სამი წლის გამოცდილება. სასურველია ობიექტზე მუშაობის გამოცდილება მილსადენის პროექტის ფარგლებში;

შესაფერისი სამეცნიერო ან ტექნიკური დიპლომი;

პროგრამების - MS Word, Excel, PowerPoint, Exchange, MS Outlook - კარგად ფლობა;

- კომუნიკაციისა და ადამიანებთან ურთიერთობის დადებითი უნარი;

- კონტრაქტორის პერსონალთან მუშაობის სურვილი და შესაძლებლობა და თვითდაჯერებულობის ისეთი უნარი, რომელიც კონტრაქტორის საველე საქმიანობაზე ზეგავლენას უზრუნველყოფს;

- მოწესრიგებული, პრაქტიკული და პრაგმატული;

- კარგი თანამოსაუბრე, გუნდური სულისკვეთების, თვითმოტივირებული, ტაქტიანი და ავტორიტეტული.

განაცხადის შეფობანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2003 წლის 17 დეკემბერი, ოთხშაბათი, საღამოს 18.00 საათი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების დეპარტამენტი
AGT მილსადენების პროექტი
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

თავდასხმა დაღესტანში

პირველი გვერდიდან

მოგვიანებით გავრცელდა ცნობა, რომ მათ სოფელი დატოვეს და თან ოთხი მძევალი წაიყვანეს, მათ შორის - მამა-შვილი.

მებრძოლები სამ ჯგუფად გაიყვნენ და სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ.

რუსული პრესა ირწმუნება, რომ ჩეჩენი მებრძოლები ან საქართველოდან მოდიოდნენ, ან საქართველოში მიდიოდნენ. უშიშროების ფედერალური სამსახური ამტკიცებს, რომ ბოევიკები პანკისიდან მოდიოდნენ და გზა აებნათ.

თუმცა, ეს ინფორმაცია, როგორც ჩანს, თითიდანაა გამოწოვილი, რადგან სოფელი შაური საქართველოს საზღვრიდან ას კილომეტრზე მდებარეობს, და მებრძოლებიც მშვენივრად ახერხებენ ადგილზე ორიენტაციას.

დაღესტნის ადმინისტრაციაც აღიარებს, რომ წლის ამ დროს კავკასიონის გადალახვა, პრაქტიკულად, შეუძლებელია და კარგად გაწვრთნილი ალპინისტებიც კი ასეთ ექსპედიციებს თავს არიდებენ.

ბოლო თვეებში ჩეჩენი მებრძოლები სულ უფრო ხშირად ახორციელებენ თავდასხმებს რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში. ათი დღის წინ, ჩეჩნეთიდან 120 კილომეტრის დაშორებით, სამგზავრო მატარებლის აფეთქების შედეგად, 40 ადამიანი დაიღუპა. გასულ კვირას მოსკოვში ბომბმა ექვსი ადამიანი იმსხვერპლა. სულ კი მიმდინარე წელს ამგვარ თავდასხმებს 200 კაცი შეეწირა.

ბოლო ათ წელიწადში რუსეთში 250 ჟურნალისტი დაიღუპა

რუსეთის ჟურნალისტთა კავშირის მონაცემებით, 2003 წელს რუსეთში 22 ჟურნალისტი დაიღუპა. "თითქმის ყველა მათგანი პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს მოკვდა," – განაცხადა კავშირის მდივანმა ალექსანდრ კაპეიკამ.

"თუ 90-იანი წლების დასაწყისში ჟურნალისტების უმეტესობა ცხელ წერტილებში იღუპებოდა, ბოლო დროს იკვეთება ტენდენცია, რომ ბევრ მათგანს მშვიდობიან ქალაქებში კლავენ. ჟურნალისტების მკვლელობის თითქმის არც ერთი შემთხვევა ბოლომდე გამოძიებული არ არის," – დასძინა მან.

"წელს ჟურნალისტებს 88-ჯერ, ხოლო რედაქციებს – 29-ჯერ დაესხნენ თავს," – განაცხადა კაპეიკამ.

კვიპროსის არჩევნები ფრედ დამთავრდა

25-25-ზე - ასე გაიყო ადგილები ჩრდილოეთ კვიპროსის პარლამენტში კვირას ჩატარებული არჩევნების შედეგად.

არჩევნებში ორი დაჯგუფება ეჯიბრებოდა ერთმანეთს: ნაციონალისტები, რომლებიც ჩრდილოეთ კვიპროსის დამოუკიდებლობას უჭერენ მხარს და გაერო-ს მიერ შეთავაზებული სამშვიდობო გეგმის წინააღმდეგნი არიან, და ინტეგრაციის მომხრეები, რომლებიც კვიპროსის გაერთიანებასა და ევროკავშირში გაწევრიანებას ემხრობიან.

1974 წლის შემდეგ კვიპროსი ორად არის გაყოფილი. საერთაშორისოდ აღიარებული კვიპროსის რესპუბლიკა ბერძნებითაა დასახლებული, ჩრდილოეთ კვიპროსს კი, სადაც თურქები ცხოვრობენ, მხოლოდ ანკარა აღიარებს.

ჩრდილოეთ კვიპროსის ამჟამინდელი პრეზიდენტი დენქთაში ნაციონალისტი და "ანანის გეგმის" სასტიკი წინააღმდეგია. ამ გეგმის თანახმად, თურქებმა მათ მიერ ოკუპირებული ბერძნული ტერიტორიები უნდა დათმონ. ორი ავტონომიური სუბიექტისაგან უნდა შეიქმნას ერთი ფედერაციული სახელმწიფო, რომლის მართვაშიც ორივე ერის წარმომადგენლები მიიღებდნენ მონაწილეობას.

ამ არჩევნებზე მოსახლეობას უნდა გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ამ გეგმის მიმართ. აქამდე ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას უჭერდა მხარს და ხმასაც დენქთაშსა და მის პარტიას აძლევდა.

ვითარება საფუძვლიანად შეიცვალა მას შემდეგ, რაც კვიპროსის ბერძნული ნაწილი ევროკავშირის კანდიდატად აღიარეს. ფორმალური მიერთება მომავალი წლის მაისში უნდა მოხდეს. ანუ, კუნძულის ღატაკ თურქულ ნაწილს შანსი მიეცა, ბერძნებთან შეერთების შემთხვევაში, ევროკავშირში აღმოჩნდნენ.

თუ თურქული ნაწილი უარს იტყვის, ბერძნული ნაწილი მაინც შევა ევროკავშირში და არ არის გამორიცხული, რომ თურქეთის რესპუბლიკის ევროკავშირში გაწევრიანება სამუდამოდ დაბლოკოს.

ეს კი, ცხადია, ოფიციალურ ანკარას ხელს არ აძლევს. ექსპერტების აზრით, ის ფაქტი, რომ გაერთიანების მომხრე პარტიებმა გამარჯვება ვერ შეძლეს, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას ხელს შეუშლის. თუმცა, ანკარა უფრო ოპტიმისტურადაა განწყობილი. "არჩევნებში ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, ჩვენგან დამოუკიდებლად მაინც ვერაფერს გააკეთებენ," – აცხადებს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, აბდულა გიული.

ცვლოყბთ

უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

დამალობანა

შეუჩვეველს ნუ შეაჩვევ და შეჩვეულს ნუ გადააჩვევო.

ჭკვიანი ქალი იყო ბებიაჩემი. კარგად იცოდა, რასაც ამბობდა. დანამდვილებით ვიცი, ოთხმოცდაათი წლის მანძილზე არც პრესა და არც მედია არ უხსენებია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ან პრესა ან მედია რამენაირად მაინც წინააღმდეგობაში მოდის იმ ჩემთვის ყველაზე საყვარელი, საოცრად გონიერი ქალის პრინციპებთან.

ციდან მეტეორიტების მეტი არაფერი ცვივა. ყველაფერს – ჩვევებსაც, უფლებებსაც, ვალდებულებებსაც კი მოპოვება უნდა. ერთი შეხედვით, იქნებ უცნაურადაც მოეჩვენოს კაცს, მაგრამ დღეს აგრერიგად მოდური ცნება – ოპოზიციონერობის უფლებაც კი მოსაპოვებელია.

მოკლედ ვიტყვი. დღეს ისინი, ვინც არასდროს ყოფილან ოპოზიციაში, ხელისუფლების კრიტიკით მაინცდამაინც ნუ გამოიდებენ თავს, იმიტომ რომ, ეს მაგათი საქმე არ არის, იმიტომ რომ, ადრე თუ გვიან, მაინც თავის გზას დაადგებიან – ვერც შეჩვეულს გადაეჩვევიან და ვერც შეუჩვეველს შეეჩვევიან.

წესითა და რიგით, ეს წერილი აქ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვითმენ, რომ რამდენიმე სიტყვა მაინც არ ვთქვა იმათზე, ვინც ძველ ხელისუფლებასთან ერთად გადაბარგდა იქითა ნაპირზე და მხოლოდ და მხოლოდ ამ ძველი ხელისუფლებისა თუ კიდევ სხვა რაღაცის ერთგულების გამო უნდა ოპოზიციონერობა.

ეს ძალიან საინტერესო ხალხია, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც "რაღაცის ერთგულების გამო" იქცევიან ასე.

ამ შემოდგომაზე ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ზვიად ძიძიგურის წერილი სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოში, განსაკუთრებით კი არმიაში მოკალთებულ კაგებეს აგენტებზე. მითითებული იყო კონკრეტული თანამდებობები, გვარები.

წერილი უპასუხოდ არ დარჩენილა, თუმცა, ავტორი თუ ავტორები (ისევ ეს ოხერი ჩვეულება!) ტიპურ საბჭოთა სახელსა და გვარს – "უშიშროების საბჭოს აპარატს" ამოეფარნენ. "აპარატი" ძიძიგურის წერილში მოტანილ ფაქტებს არ უარყოფდა, ეს არის, ცოტათი ნაწყენი იყო: "ფიქრობთ, ყოფილი საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტში მუშაობა საკმარისი არგუმენტი არაა ამა თუ იმ ადამიანზე ხაზის გადასასმელად".

როცა სსრ კავშირი ის-ის იყო უნდა დაშლილიყო, კრემლმა უკანასკნელ საყრდენს – კაგებეს აგენტებს მიმართა. ბალტიის ქვეყნებში ამ საყრდენმა საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობა არჩია. ცხადია, არც ქართველ კოლეგებს გამოუჩენიათ მაინცდამაინც დიდი მონდომება, მაგრამ ბევრი კვლავაც ლუბიანკას ერთგული დარჩა.

"აპარატი" მართალია, როცა ამბობს, კაგებეში მუშაობა საკმარისი არგუმენტი არ არის ადამიანზე ხაზის გადასასმელადო, მაგრამ ისიც ხომ სიმართლეა, რომ ამ ორგანოსაციაში, ქართული ზღაპრებისა არ იყოს, შემსვლელი ბევრი გვინახავს, გამომსვლელი კი... თან მაინცდამაინც ხაზის გადასმასაც არავინ ითხოვს, სავსებით საკმარისია, ყველას რაც შეიძლება სწრაფად ჩამოერთვათ დეპუტატობისა და საკვანძო თანამდებობებზე ყოფნის უფლება.

სამწუხაროდ, არც ერთ წინა პარლამენტს, იმასაც კი, გამეტებით რომ იცემდა მკერდში მუშტს და იფიცებოდა, ეროვნული ვარო, ფიქრადაც არ მოსვლია ლუსტრაციის კანონის მიღება. კი, ერთი-ორი წაიღაპარაკეს, მერე თქვეს, ეს საზოგადოებაში დაპირისპირებას გამოიწვევსო და მიჩუმდნენ. ამ მაგალითიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ტიპები არა მარტო ჯარს, როგორც ძიძიგურის წერილიდან ვიგებთ, სხვა ორგანიზაციებსაც, თვით პარლამენტსაც კი, ბლომად ასხია.

პირდაპირ ცოდვით გული მოგიკვდება, როცა, მაგალითად, შარაძეს რუსეთის სპეცსამსახურების აგენტობას აბრალებენ, ის კი იძულებულია, თავი იმართლოს, - ცნობები აგროვოს და საქვეყნოდ იძახოს, შეურაცხყოფას მაყენებენო!

ერთი რამ ვერ გავიგე. კაგებეშნიკობა, როგორც ახლახან იგორ გიორგაძემაც დაადასტურა, პროფესიაა, რომელიც არასდროს არავის აუკრძალავს. რა შუაშია შეურაცხყოფა? კაცს რომ შეგეშალოს და იგივე შარაძეს ფილოლოგობის ნაცვლად, ვთქვათ, ისტორიკოსობა დააბრალო, გაიქცევა და ცნობას მოიტანს, ისტორიკოსი არა ვარო? ეს ორჯერ ორივით არის, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ეს ერთადერთი ორგანიზაციაა, რომლის თანამშრომლებსაც სასტიკად აქვთ აკრძალული საკუთარი თავის გამჟღავნება. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ კრემლს საოცრად უნიჭო კონტინგენტი შეუგროვებია. ჩემთვის, ამ შორიდან მაცქერალი კაცისთვისაც კი, იმდენი და ისე იოლად გამჟღავნდა, რომ ამ ბოლო დროს თვითონ ამ ორგანიზაციის ყოვლისშემძლეობაში ძალიან შემეპარა ეჭვი. ოცდაორმა ნოემბერმა კი საერთოდაც შიშველები დატოვა ეს საცოდავები.

ახლა მთლად ჰაერზე ლაპარაკიც რომ არ გამომივიდეს, შევეცდები, ჩემი ამ მიღწევების რამდენიმე პრაქტიკული მაგალითი გაგიზიაროთ. სხვათა შორის, იმის იმედიც მაქვს, რომ ორიგინალური არ ვიქნები, უფრო სწორად, პირველაღმომჩენის სახელს ვერ დავისაკუთრებ, რადგან ბევრ სხვასაც ექნება შენიშნული და, როგორც პოლიტიკოსები იტყვიან, დაფიქსირებული, ეს თვალსაჩინო მომენტები.

მკითხველს ნამდვილად ეხსომება, თუ როგორ მიუვარდა ერთი პარტია მეორეს, როცა ამ პირველს არასდროს არაფერი გასაყოფი არ ჰქონია ამ მეორესთან. გახსოვთ, როგორ აფრიალებდნენ დროშებს? დროშის ტარებით ჩხუბი გამიგონია და მინახავს კიდეც, მაგრამ დროშებით? გახსოვთ, რომელ დროშებს აფრიალებდნენ? ზუსტად იმას, ნაციონალურმა მოძრაობამ თავის დროშად რომ აქცია. ამ დროს თავდამსხმელი მონარქისტული პარტია იყო, ის კი, ვინც თავს დაესხნენ, - ლეიბორისტული. ხედავთ, რა გენიალური ჩანაფიქრია? მონარქისტული პარტია, ათი წელიწადი ცხვირი რომ არ გამოუყვია გარეთ, ხუთჯვრიანი დროშებით, ხალხის თვალში ნაციონალურ მოძრაობასთან რომ არის გაიგივებული, საწყალ "ლეიბორისტებს" სცემს. ამ პარტიის ლიდერი თემურ ჟორჟოლიანი კი ვექილად უდგას კაცს, რომელიც არც კრემლის აგენტობას მალავს და იმითაც არის ცნობილი, რომ არა ერთ და ორ ქვეყანაში ტერორისტული აქტებისა და გადატრიალებების მონაწილე იყო. ახლა, ამის შემდეგ როგორ არ ვთქვა, რომ ჟორჟოლიანი ისეთივე მონარქისტია, როგორიც მე – ჩინეთის იმპერატორთა შთამომავალი.

მართალია, შარაძეს სწყინს და ხან საბუთს თხოულობს, ხან კი თვითონ მოაქვს საკუთარი უბიწოების საბუთი, მაგრამ, ერთი მითხარით, რა საბუთი სჭირდება თუნდაც იმას, რომ იმ დროს, როცა საქართველოში დარჩენილი ემიგრანტთა ოჯახები შიშით ელოდნენ საზღავრგარეთიდან გამოგზავნილ ნებისმიერ მოსაკითხსა თუ მისალოც ბარათს, შარაძეს იმავე ემიგრანტებთან ურთიერთობისთვის მწვანე შუქი ჰქონდა ანთებული. აღარაფერს ვამბობ იმ უამრავ განცხადებასა თუ მოქმედებაზე, რაც მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის ავტორიტეტზე მთელ მსოფლიოში. ცხადია, რუსეთის, კუბის, კორეისა და კიდევ რამდენიმე ამისთანის გამოკლებით.

მე არ შევჩერდები არც "ლეიბორისტულ პარტიასა" და არც "აღორძინება-ზე". შალიკოზე კი ამბობდნენ, ნიჭიერი კაციაო, მაგრამ დააკვირდით თუნდაც ამ ბოლო დროს გაკეთებულ რიგით განცხადებას თუ მოწოდებას: "მხარი არ დაუჭიროთ შევარდნაძის დატოვებულ არც ერთ წარმომადგენელს". ვთქვათ, მართლა შევარდნაძემ დატოვა ეს ტრიუმვირატი. შევარდნაძის ეპოქაში არ იყო, თვითონ ტანისამოსს რომ იგლეჯდა არჩევნებში მონაწილეობით, მაშინ არ იყო, რკინის ქალამნები რომ ჩაიცვა და ქვეყნიერება შეყარა – არჩევნები მინდა და მიყალბებენო? შევარდნაძესთან უნდოდა არჩევნები, შევარდნაძის დანატოვრებთან კი – არა. ამ მაგალითს ხომ ბავშვიც ამოხსნის. ჰა, რას იტყვი, შე მართლა შალიკო, შენა!

წლობით ნაოწინებ მშრომელთა პარტიას რამდენიმე დღეში გამოუყვანა წირვა – ეგ არის, ნიჭიერი კაციაო?

ბავშვობიდან სულ მეგონა, კაგებეში განსაკუთრებული თვისებების მქონე, ძალიან ჭკვიანი ადამიანები მუშაობდნენ. აი, ეგრეა, გაიზრდები კაცი და ბავშვური წარმოდგენებიც საძნის ბუშტივით სკდება. არა, ისე რა საოცარია, რა ერთიმეორის მიყოლებით აუტყდათ ეს რენტგენი, უნდა გავშუქდეთ და უნდა გავშუქდეთო.

თუნდაც, "აღორძინება". ბათუმი, როგორც სასაზღვრო ზონა, მუდამ სავსე იყო სპეცსამსახურების აგენტებით. ეს საკუთარ ტყავზე მაქვს გამოცდილი. არ გაინტერესებთ, სად გაქრა ეს ხალხი? პიჯაკებქვეშ დამალული ვარსკვლავიანი სამხრეები ჩამოიგლიჯეს, ზღვაში შევიდნენ და გაურკვეველი მიმართულებით გაცურეს, თუ რა?

მამალაძეს და სარიშვილზე საერთოდ არაფრის თქმას არ ვაპირებ. მამალაძემ, ეროვნული ვარ, ეროვნული ვარო, რომ გაიძახოდა და ოპოზიციას რუსებთან ალიანსში ადანაშაულებდა, ახლა რუსებს შეაფარა თავი. რაც შეეხება ქალბატონს, ჯერ "ახალი საქართველოსთვის" რომ ზრუნავდა, ახლა კი "ახალი ძალისთვის" რომ ჩალიჩობს, ლამის კერენსკის დროინდელმა პოლიტიკოსმა ეს სიტყვა "ახალი" მაინც დაივიწყოს. ჯერ იყო და "მემარჯვენეებმა" დაირქვეს, მერე – სახელისუფლებო ბლოკმა, ახლა – ირინამაც. კარგი რა, შეიძლება სიტყვის ასე გაბანძება?

ამ წერილს ისე ვერ დავამთავრებ, ობოლი ბიჭები – ირაკლი გოგავა და ზაქარია ქუცნაშვილი რომ არ ვახსენო. ერთმაც და მეორემაც, მამალაძისა და რჩეულიშვილის სახით, მამა მარჩენალი დაკარგა. კომკავშირელები რომ ნაღდად არიან, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ სულიერი მამების დაკარგვის მომენტში რა ეტაპზე იყო მაგათი გაწევრიანება ზემოთ ხსენებულ ორგანიზაციაში, დანამდვილებით ვერ ვიტყვი. მათი და კიდევ ზოგიერთების მობრუნება პარლამენტში სახელმწიფო ინტერესებით კი აიხსნა, მაგრამ რა სახელმწიფო ჭიაც ურღნით გულს, მშვენივრად ვიცი. ისე, ჩვენში დარჩეს და, თუ პოლიტიკოსი გქვია და მაინცდამაინც შარაძე ან შალიკო არა ხარ, სახელმწიფოებრივის გარდა, სხვა რა ინტერესი უნდა გქონდეს? კომპოზიტორი რომ ადგეს და სათქმელი ასე დაიწყოს: მუსიკის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ პიესის დაწერას ისე კი არა, ასე ვაპირებო, არ იტყვით, დაუსტვინაო?

და კიდევ ერთი დეტალი: ეს აღმოჩენა მე მეკუთვნის და ცოცხალი თავით არავის დავუთმობ. მთელ ამ ისტორიაში ყველაზე სასაცილო ის არის, რომ ზევით მოხსენიებულმა არც ერთმა ჭეშმარიტად პრორუსული ორიენტაციის მქონე კლიენტმა, თვითონ შევარდნაძის თამადობით, რუსული არ იცის, რისი ახსნაც ჩემს შესაძლებლობებს ნამდვილად აღემატება. დავიჯერო, მართლა უნიჭობაა შერჩევის კრიტერიუმი?

აი, ახლა კი მოვიდა წერტილის დასმის დრო, თუმცა, ერთი მაინც უნდა შევახსენო ჯერ საკუთარ თავს და მერე მკითხველსაც. გამჟღავნებული საიდუმლო საიდუმლო აღარ არის. აღარც გამჟღავნებული კაგებეშნიკია კაგებეშნიკი, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ სახელისუფლებო ბლოკის სათავო სიიდან არა ერთი და ორი სულიერი დღესაც საეჭვოდ არის გაყურსული. თუმცა, არც ეს არის მაინცდამაინც საშიში. ბოლოს და ბოლოს, ხომ ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ ნოემბრის ამბებმა საბოლოოდ მოჰფინა შუქი აქამდე ბნელსა და უჩინარს.

ასე რომ, ტყუილად წვალობთ, რაღა დროს თქვენი დამალობანაა.

- სტუკ, სტუკ! გამოდით, ბიჭებო, დასტუკებული ხართ!

ორი პოზიცია 12-მილიონიანი გრანტის თაობაზე

თამარ დვალი

გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე საკრებულოს წევრმა "ნაციონალური მოძრაობიდან," ლევან მეტრეველმა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოსთხოვა, გამოაცხადოს მორატორიუმი და არჩევნებამდე შეწყვიტოს ყოველგვარი ტენდერისა და კონკურსის ჩატარება. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოსათვის გაერო-ს გლობალური ფონდის მიერ გამოყოფილ 12-მილიონიან გრანტზე და მასთან დაკავშირებულ დარღვევებზე ისაუბრა. თუმცა, როგორც მისმა ოპონენტმა განაცხადა, საქმე სრულიად სხვაგვარადაა.

გიორგი ნიკოლაიშვილი

ლევან მეტრეველი

ფოტო ზურაბ ფაჩალიას

ლევან მეტრეველი: **"ქვეყანა გარდამავალ პერიოდშია. არჩევნების ჩატარებამდე შეიძლება მოხდეს თანხების არამიზნობრივი ხარჯვა. კერძოდ, საუბარია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული სტრუქტურების მიერ გამოცხადებულ ტენდერზე, რომელიც ხუთ დეკემბერს გამოცხადდა და თერთმეტ დეკემბრამდე გაგრძელდა. თანხას, 12 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით, გლობალური ფონდი შიდსის, მალარიისა და ტუბერკულიოზის სამკურნალოდ გამოყოფს. ის ორგანიზაციები, რომლებიც ასე ნაჩქარევად მიიღებენ ამ თანხებს, შემდეგ ხუთი, ექვსი წლის განმავლობაში ექნებათ მათი ხარჯვის უფლება. მინდა, კატეგორიულად გავაფრთხილო ჯანდაცვის სამინისტრო, რომ სასწრაფოდ გამოაცხადოს მორატორიუმი."**

მან, ასევე, გაიხსენა მსოფლიოში აღიარებული მეთოდი, რომლის მიხედვითაც, ტენდერში მონაწილეობას იღებენ ეგრეთ წოდებული სატელიტი და ჯიბის არასამთავრობოები. საქართველოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მეტრეველი ნაჩქარევად ჩატარებულ ტენდერს თანხების "ვიღაცის ჯიბის ასავსებად გამიზნულ ნაბიჯს" უწოდებს. **"სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ ეს თანხები ვიღაცის ჯიბეებს აავსებს. ჯერ ქვეყანაში ახალი კანონიერი ხელისუფლება უნდა მოვიდეს, მოხდეს პრიორიტეტების განსაზღვრა და შემდეგ ჩატარდეს ტენდერები. შესაძლებელია, ლეგიტიმური ხელისუფლების ფუნქციონირების დაწყებისას ქვეყანა ნულოვან ბალანსზე აღმოჩნდეს, როგორც საბიუჯეტო, ასევე, დონორული სახსრების თვალსაზრისით. უკეთესია, თუკი მსგავსი კონკურსები და ტენდერები არა ნაჩქარევად, არამედ საზოგადოების კონტროლის ქვეშ, გამჭვირვალედ ჩატარდება,"** – აღნიშნა მეტრეველმა.

ჯანდაცვის სამინისტროში ამ განცხადებებს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ მეტრეველს შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ნიკოლაიშვილმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ არანაირი ტენდერი ჯერ არ გამოცხადებულა. **"მინდა, განვმარტო, რომ თანხები, რომელზეც მეტრეველი საუბრობდა, გამოყოფილია ცალსახად შიდსთან ბრძოლისთვის და არა სხვა დავადებებისთვისაც, როგორც ის აცხადებს. 12 მილიონი გამოყოფილია 5 წელიწადზე. ჩვენ, ჯერჯერობით, ორწლიან პროექტზე გვაქვს ხელი მოწერილი. დაიხარჯება მხოლოდ 4 მილიონი - ანუ წელიწადში 2 მილიონი. ტენდერი კი არ არის გამოცხადებული, არამედ - კონკურსი, რომელიც მოითხოვდა განცხადების შემომტანისაგან მხოლოდ სურვილის დაფიქსირებას. საქართველოს კანონმდებლობით, სრული უფლება მქონდა, მიმეცა უფრო ნაკლები ვადა, მაგრამ მე ერთი კვირა გამოვყავი, რათა თითოეულ ადამიანს, თუ კომპანიას თავისი სურვილი გამოეთქვა და მონაწილეობა მიეღო. ასევე, უფლება მქონდა, კონკურსის შესახებ მხოლოდ სამთავრობო გაზეთში განმეცხადებინა, მაგრამ ამის თაობაზე სხვა რეიტინგულ გაზეთებსაც ვაცნობე. რაც შეეხება მალარიას, ამ დაავადებისათვის არსებობს სულ სხვა პროექტი და მასზე ხელმოწერა მოხდება არა უგვიანეს თებერვლისა. ასე რომ, მას სულ სხვა დაფინანსება აქვს. უფრო მძიმე ვითარებაა ტუბერკულოზის დაავადებასთან დაკავშირებით. ეს პროექტი ჯერ არც არის ხარდგენილი. მასზე ხელმოწერა, შესაძლოა, 2004 წელს მოხდეს."**

რაც შეეხება არამიზნობრივი ხარჯვის ბრალდებას, ნიკოლაიშვილის განცხადებით, ამას სრულიად გამორიცხავს კონტროლის მაკოორდინებელი მექანიზმი, როგორც ჩვენი უწყებებისა და ორგანიზაციების, ასევე, დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.

ორი სიტყვით

თბილისი. გუშინ დილით თბილისიდან, ქაშვეთის ეკლესიიდან ბათუმისკენ მშვიდობიანი მსვლელობა დაიწყო ფილარმონიის მხატვარმა მამია ავალიანმა. მამია ავალიანი წარმოშობით აჭარელია. მისი მსვლელობის მიზანია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე აჭარის ტერიტორიაზე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების აუცილებლობაში დაარწმუნოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ქუთაისი. გუშინ ქუთაისის მერიის წინ შეიკრიბა საფიჩხიაზე მცხოვრები 50-მდე ადამიანი. მათი განცხადებით, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ელექტროენერგია აღარ მიეწოდებათ. აქციის მონაწილეებს იმერეთის გუბერნატორი დავით მუმლაძე შეხვდა. გაირკვა, რომ აღნიშნული უბნის ყველა ტრანსფორმატორიდან ზეთი იყო მოპარული. ეს ფაქტი საბოტაჟად შეაფასდა და სამართალდამცველებს გადაეცა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე მომუშავეთა გაფიცვებს გუშინ ახალციხის, ჯანდარის, თეთრი წყაროსა და მარნეულის მონაკვეთებზე დასაქმებული მუშებიც შეუერთდნენ. ისინი აცხადებენ, რომ ამ პროექტში დასაქმებულ საქართველოს მოქალაქეებს კონტრაქტორები საათში ერთ ლარს უხდიან, მაშინ როცა უცხოელი მოქალაქეები ათჯერ მეტ საზღაურს იღებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სოციალური სფეროს და საზოგადოებრივი პროგრამების დასაფინანსებლად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის ძირითადი ინვესტორი კომპანია „ბი-პი" დამატებით თანხებს გამოყოფს. თავდაპირველად, ამ საქმისთვის ხუთი მილიონი დოლარის გამოყოფა იყო გათვალისწინებული. „ბი-პი"-ს მიერ დამატებითი ვალდებულებების დამტკიცების შემთხვევაში, ეს თანხა რვა მილიონ დოლარამდე გაიზრდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დედაქალაქის ბიუჯეტის მიწის საიჯარო გადასახადის შესავსებად ერთი თვის ვადაში მერიის შესაბამისმა სამსახურმა მიწის საიჯარო გადამხდელთა განსაზღვრა და თანხების მობილიზება უნდა მოახერხოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქის მერის მოთხოვნით ურჩ გადამხდელებს მიწა ჩამოერთმევათ. სპეციალისტთა გათვლებით ამ სფეროდან ბიუჯეტში სერიოზული თანხები უნდა შემოსულიყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. წინა წლებისგან განსხვავებით, წელს საახალწლო ნაძვის ხეები თბილისში ფილარმონიასთან და სპორტის სასახლესთან დაიდგმება. საახალწლოდ ცენტრალური ქუჩები - რუსთაველის, ჭავჭავაძის, გამსახურდიას გამზირები და სხვა ქუჩები ფერადი ილუმინაციებითა და გირლიანდებით განათდება. გარდა ამისა, ახალი წლის ღამეს მერიის შენობის თავზე 20 წუთის განმავლობაში ფეიერვერკები მოეწყობა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. შინაგან საქმეთა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებისა და სატყეო დეპარტამენტის წარმომადგენლებისაგან შეიქმნა სპეციალური შტაბი, რომელიც, საქართველოს ტერიტორიაზე ნაძვის ხის უკანონო ჭრების აღკვეთისთვის შემუშავებული ერთობლივი გეგმის განხორციელების კოორდინაციას და კონტროლს მოახდენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ახალი წლის ღამეს თბილისში დაინიშნება საქალაქო ტრანსპორტის სპეციალური რეისები, რომელიც რუსთაველის გამზირზე დაგეგმილი კონცერტის მონაწილეებს მოემსახურება. ვარკეთილის, ფონიჭალის, გლდანის, მუხიანის, დიღმისა და დიდი დიღმის მიმართულებით სამარშრუტო ტაქსები იმუშავებენ, საბურთალოს და ვაკის მიმართულებით ღამის საათებში - ტროლეიბუსები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სოციალური დაზღვევის ერთიანი ფონდის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, თბილისში სექტემბრის პენსიების დავალიანება, რომელმაც 3 მილიონ 100 ათასი ლარი შეადგინა, დაფარულია, ოქტომბრის და ნოემბრის საპენსიო დვალიანება კი 6 მილიონ 200 ათასს შეადგენს. ამ თანხის დაფარვას თბილისის მერიის საფინანსო სამსახური წლის ბოლომდე აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შინაგან საქმეთა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებისა და სატყეო დეპარტამენტის წარმომადგენლებისაგან შეიქმნა სპეციალური შტაბი, რომელიც, საქართველოს ტერიტორიაზე ნაძვის ხის უკანონო ჭრების აღკვეთისთვის შემუშავებული ერთობლივი გეგმის განხორციელების კოორდინაციას და კონტროლს მოახდენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგებისთვის ნოემბრის თვის ხელფასების გაცემა ჯერ კიდევ არ დაწყებულა და, შესაძლოა, წელს მათ ვერც დეკემბრის ანაზღაურება მიიღონ. ამის მიუხედავად, განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირი საპროტესტო აქციებით არ იმუქრება და დროებითი ხელისუფლებისთვის პრობლემის მოსაგვარებლად გარკვეული ვადის მიცემას აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრმა, გაერო-ს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, მოამზადა პროექტი, რომელიც დედაქალაქში ე.წ. „ბავშვთა ოთახებისა" აღდგენას ითვალისწინებს. „ბავშვთა ოთახები" განსაკუთრებული მდგომარეობის ბავშვებსა და მოზარდებს უბნების მიხედვით აღრიცხავს. იქ ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი იმუშავებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერი ვანო ზოდელავა გარემოვაჭრეებისა და უკანონო ჯიხურებისაგან დედაქალაქის ქუჩების განთავისუფლების საქმეში ძალოვანი სტრუქტურების ჩართვას მოითხოვს. მისი განცხადებით, მეტროს სადგურების მიმდებარე ტერიტორიების გასათავისუფლებლად მხოლოდ ადმინისტრაციული ინსპექციის ძალისხმევა საკმარისი არ არის. **მედია-ნიუსი**

როგორ დავიცვათ თავი გაზით გაგუდვისგან

ზამთრის დადგომასთან ერთად თბილისში უბედური შემთხვევების რაოდენობა მატულობს. შარშან გაზის გამათბობლების აფეთქების 50-მდე ფაქტი მოხდა, შარშანწინ კი, გამათბობელი საშუალების არასწორ მოხმარებას 32 ადამიანი ემსხვერპლა. წელს უბედური შემთხვევები, ჯერჯერობით, არ დაფიქსირებულა, მაგრამ ასეთი რამ, სამწუხაროდ, გამორიცხული არ არის, რადგან გამათბობელი საშუალებების კონტროლის მხრივ წელსაც არაფერი შეცვლილა.

ნანა ქადაგიშვილი

მოქალაქეთა გაგუდვის მიზეზი იაფფასიანი გამათბობელი საშუალებების, ძირითადად, "ნიკალას", არასწორი დამონტაჟება გახლდათ. შარშან პრეზიდენტის ბრძანებულებით, "ნიკალას" საქართველოში შემოტანა აიკრძალა კიდეც, მაგრამ ისრაელის საელჩომ ნოტა გამოაგზავნა და "ნიკალას" ქართულ ენაზე ნათარგმნი ინსტრუქციაც ზედ მოაყოლა. ინსტრუქციიდან გაირკვა, რომ ეს გამათბობელი საშუალება მხოლოდ ერთ-ორ სართულიანი შენობებისთვის ყოფილა განკუთვნილი და არა მრავალსართულიანისთვის. მით უმეტეს - ჩვენი მრავალსართულიანი კორპუსებისთვის, სადაც საკვამლე მილები გასაწმენდია. ოთახში, სადაც "ნიკალაა" დამონტაჟებული, ჰაერის ცირკულაცია აუცილებელი ყოფილა, რადგამ ამ დანადგარს კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას 10 კუბური მეტრი ჰაერი მაინც სჭირდება. **"ნიკალას" დღისით ჩართვა ნაკლებად საშიშია, უბედური შემთხვევები, ძირითადად, ღამით ხდება. დღისით ოთახში ჰაერი მაინც შედის, მაგრამ ღამით ყველა კარი დახურულია, ოთახში ჰაერი ვერ აღწევს, არასრული წვა ხდება და მძინარე ადამიანი ისე იგუდება, ვერაფერს იგებს,"** – აცხადებს "თბილგაზის" ტექნიკური დირექტორი თენგიზ აფშილავა.

როგორც "თბილგაზში" ამბობენ, მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ გამათბობელ საშუალებებს, ხშირად, არაპროფესიონალები ამონტაჟებენ. გასულ წელს, პრეზიდენტის №708 ბრძანებულების გამოსვლამდე, "თბილგაზი" მოსახლეობას ურჩევდა, გამათბობელი საშუალებების ყიდვისას, რეკომენდაცია მათი წარმომადგენლებისგან მიეღო და გამათბობელიც მათი საშუალებით დაემონტაჟებინა. გამათბობლების უსაფრთხოებაზე გარანტიას "თბილგაზი" მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იძლეოდა. თუკი მის მიერ დამონტაჟებულ გამათბობელს რაიმე პრობლემა შეექმნებოდა, "თბილგაზი" ყველას უფასო მომსახურებას ჰპირდებოდა.

ზემოთაღნიშნული ბრძანებულების მიხედვით, "თბილგაზს" გამათბობელი ხელსაწყოების დამონტაჟება აეკრძალა. ამჯამად ამ ფუნქციას გამათბობელი საშულებების მწარმოებელი და დისტრიბიუტორი ფირმების წარმომადგენლები, ან ბაზრობებზე მომუშავე ხელოსნები ასრულებენ. როგორც თენგიზ აფშილავა აცხადებს, "თბილგაზისთვის" აღნიშნული ფუნქციის ჩამორთმევა საფრთხეს ზრდის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ბაზრობებიდან აჰყავთ ხელოსნები, რომელთა პროფესიონალიზმს არავინ ამოწმებს. რაც შეეხება ფირმებში მომუშავე ხელოსნებს, როგორც დისტრიბუტორი ფირმა "თერმას" ფინანსური მენეჯერი აკაკი ავალიშვილი გვარწმუნებს, მათ ყველა ხელოსანს "თბილგაზის" მიერ გაცემული სერთიფიკატი აქვს.

აღნიშნულის გარდა, არის კიდევ ერთი პრობლემა. ყოველწლიურად ჩატარებული ინვენტარიზაციის მიუხედავად, "თბილგაზი" უკვე დამონტაჟებულ გაზის გამათბობლებს სრულად მაინც ვერ ამოწმებს. როგორც "თბილგაზი" აცხადებს, ამაში თვით მოსახლეობას მიუძღვის ბრალი. **"ზოგმა მოქალაქემ ბინაში საერთოდ არ შეგვიშვა, ზოგმა კი ჩვენი რჩევები არ გაითვალისწინა. არადა, გამათბობელი საშუალებები, ხშირად, არაპროფესიონალების მიერ არასწორად არის დამონტაჟებული. მოსახლეობა გავაფრთხილეთ, ან გადაემონტაჟებინათ ასეთი გამათბობლები, ან საერთოდ არ ეხმარათ, მაგრამ ბევრმა ეს ყურად არ იღო,"** – აცხადებენ "თბილგაზში".

მოსახლეობა გამათბობლების გადამონტაჟებაზე უარს უსახსრობის გამო ამბობს. მაღალსართულიან კორპუსებში საკვამლე მილების გაწმენდაზე კი, ფიქრიც ზედმეტია - მობინადრეები ამას საკუთარი ხარჯებით ნამდვილად ვერ ითავებენ, საამისო სახსრები არც ქალაქის ხელმძღვანელობას გააჩნია. ერთადერთი გამოსავალი ისევ სიფრთხილეა. საერთოდ, "თბილგაზი" შედარებით ძვირადღირებულ, იტალიური, "კარმას" ტიპის ან 31-ე ქარხნის მიერ დამზადებული გამათბობლების შეძენას გვირჩევს, მაგრამ, თუ მაინც იაფფასიან გამათბობელს არჩევთ, პროფესიონალ ხელოსანს დაამონტაჟებინეთ და ღამით ჩართულს ნუ დატოვებთ.

აფხაზეთის სახალხო დამცველის წუხილი

საქართველოში მიმდინარე "გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, 16-დღიანი აქციის" ფარგლებში, "მრგვალი მაგიდა" გაიმართა. აფხაზეთის სახალხო დამცველმა შემაშფოთებელი განცხადება გააკეთა.

ლელა მარგიანი

შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში შედგა, არასამთავრობო ორგანიზაციის - "საერთაშორისო ქალთა დახმარება – კავკასიის" წევრებმა მიიწვიეს აფხაზეთის თვითმმართველობის სტრუქტურებისა და სამინისტროების წარმომადგენლები, მაგრამ "მრგვალი მაგიდის" გარშემო ცარიელი სკამები ჭარბობდა. როგორც აღმოჩნდა, აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნულმა თემატიკამ არ დააინტერესა. აფხაზეთის სახალხო დამცველთან ერთად შეხვედრაზე მხოლოდ რამდენიმე გამგეობის წარმომადგენელი მოვიდა.

აფხაზეთის სახალხო დამცველმა მურმან ჩხოტუამ აღნიშნა, რომ მსოფლიო თანამეგობრობის მცდელობის მიუხედავად, დევნილი ადამიანების უფლებები კვლავაც დაუცველია. მისი თქმით, საქართველოში "ადამიანის უფლებების დეკლარაციის" ყველა მუხლი დარღვეულია.

**

ორი სიტყვით

თბილისი. თბილისის ვაკე-საბურთალოსა და კრწანისი-მთაწმინდის რაიონები პოლიციის უფროსების გარეშე დარჩნენ. ვაკე-საბურთალოს პოლიციის უფროსი გოგი ნებიერიძე - შს მინისტრის გიორგი ბარამიძის ინიციატივით, ხოლო კრწანისი-მთაწმინდის პოლიციის უფროსი პაატა ჟღენტი საკუთარი განცხადებით გათავისუფლდნენ თანამდებობიდან.

შსს-ს ცნობით, ორივე მათგანი, ჯერჯერობით, კადრების განკარგულებაში იმყოფება. ჯერჯერობით, გარკვეული არ არის, მათი შემცვლელების ვინაობა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

გორი. გუშინ, დილით, დასავლეთ საქართველოდან თბილისის მიმართულებით დიდი სისწრაფით მოძრავი "აუდის" მარკის ავტომანქანა სავალი ნაწილიდან გადავარდა. ოთხი პიროვნება - ავტომანქანის მძღოლი და სამი მგზავრი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. დაღუპული ორი პიროვნების ვინაობა უკვე დადგინდა. ესენი არიან - სახელმწიფო დაცვის თანამშრომელი გურამ ლეჟავა და მურად მსხალაძე. დანარჩენი ორი ადამიანის ვინაობა ჯერ კიდევ არ არის ცნობილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ საქართველოს უზენაეს სასამართლოში საარჩევნო დავებთან დაკავშირებით ერთდროულად ორი პროცესი გაიმართება. საარჩევნო ბლოკის "ეროვნული თანხმობა - იბერიის გაბრწყინდების" წევრები ზუგდიდის საარჩევნო ოლქში 2 ნოემბერს ჩატარებული მაჟორიტარული არჩევნების შედეგების გაუქმებას მოითხოვენ, რომლითაც გამარჯვებულად დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი გოჩა ფიფია გამოცხადდა.

საარჩევნო ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" კი ცსკ-ს უჩივის. ბლოკი ცსკ-ს მიერ გაცემული განკარგულების გაუქმებას მოითხოვს, რომლითაც აბაშის საარჩევნო ოლქში 2 ნოემბერს ჩატარებული მაჟორიტარული არჩევნების შედეგები დამტკიცდა და გამარჯვებულად პაატა ქურდოვანიძე გამოცხადდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლეთა ცენტრის დებულებაში" ცვლილებები და დამატებები შევიდა. იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი წკრიალაშვილის ბრძანებით, ექსპერტიზისა და გამოკვლევათა ცენტრის დებულების მეოთხე მუხლს რამდენიმე პუნქტი დაემატა, რომლებიც ცენტრის საფინანსო სამსახურის კომპეტენციის განმსაზღვრელ ნორმებს შეიცავს. დებულების თანახმად, საფინანსო-სამეურნეო სამსახურის კომპეტენციაა ცენტრის ეკონომიკური, ფინანსური, სამეურნეო საქმიანობის კოორდინაცია, ცენტრის ბიუჯეტის შემუშავება, განაწილება და ოპერატიული მართვა, ფინანსური აქტივების, პასივების, ანგარიშგების წარმოება და კონტროლი; გარდა ამისა, კვარტალური და წლიური ანგარიშგების ანალიზი. აგრეთვე ცენტრის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულება, წლიური საფინანსო-სტატისტიკური ანგარიშგების შედგენა და მათი ფინანსთა სამინისტროში დროულად წარდგენა. აღნიშნული და სხვა სახის დამატებები ძალაში უკვე შევიდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. შ.პ.ს. "საზღვრისპირა სავაჭრო ცენტრის - სადახლოს" დირექტორის თამაზ სუპატაშვილის მიმართ შეფარდებულ წინასწარ პატიმრობას დღეს მისი ადვოკატი საოლქო სასამართლოში გაასაჩივრებს. სუპატაშვილის ადვოკატის ალექსანდრე ალადაშვილის განცხადებით, იგი ეჭვმიტანილისთვის აღმკვეთი ღონისძიების გაუქმებას მოითხოვს.

შ.პ.ს. "საზღვრისპირა სავაჭრო ცენტრის - სადახლოს" დირექტორი 12 დეკემბერს, თბილისში, ვაკის რაიონის ტერიტორიაზე დააკავეს. მას ბრალად ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარება წაუყენეს. 14 დეკემბერს სუპატაშვილი სტენოკარდიული შეტევის დიაგნოზით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას წინასწარი სამთვიანი პატიმრობა უკვე შეუფარდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა თბილისში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისათვის ორგანიზებული თავშესაფარი გამოავლინეს. აღნიშნული თავშესაფარი მოწყობილი იყო ქურდული ტრადიციების მიმდევარის გენრიხ ჯობინაშვილის, მეტსახელად - "ციკრაის" საცხოვრებელ სახლში. ბინიდან ამოღებულ იქნა გასავრცელებლად გამზადებული 28 მილილიტრი ოპიუმის ნაყენი და ნარკოტიკული საშუალებების დასამზადებლად საჭირო მოწყობილობები. ამავე საცხოვრებელ სახლში დააკავეს ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მყოფნი, წყალტუბოელი ემზარ შამფრიანი, თბილისელები: თემურ ქადაგიძე, ლაშა ჭეიშვილი, შოთა ხერხეულიძე და ლენტეხელი გიორგი ფურეელიანი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირზე მომხდარ ავტოავარიისას გარდაიცვალნენ ოთარ გვასალია, ამირან ბურჭულაძე და ილია პაპაშვილი. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, "ბმვ"-ს მარკის ავტომანქანა, რომელსაც ოთარ გვასალია მართავდა, "კამაზის" მარკის სატვირთო ავტომანქანას შეეჯახა. ამ ფაქტზე გამოძიება დაიწყო თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამსახურმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის პოლიციის განყოფილებებში 6-დან 13 დეკემბრამდე 58 სისხლის სამართლის დანაშაულია რეგისტრირებული. ეს ციფრი 24-ით მეტია 29 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე აღრიცხულ დანაშაულთა რიცხვზე. დაკავებულია ცხრა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი 22 პირის შემადგენლობით, რომელთაც 13 დანაშაული ჩაიდინეს. რეგისტრირებულია ნარკოდანაშაულის 39 ფაქტი. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვისა და ტარების ფაქტებზე აღძრულია ხუთი სისხლის სამართლის საქმე. საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა კი საგზაო წესების დარღვევისათვის 1309 მძღოლი დააჯარიმეს. **მედია-ნიუსი**

მოსკოვიდან დაბრუნებული უშიშროების მინისტრი სტაბილიზაციას გვპირდება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲘᲓᲐᲜ

გუშინწინ თბილისში დაბრუნებულმა ვალერი ხაბურძანიამ გუშინ ჟურნალისტებს "მოსკოვური ანგარიში" ჩააბარა. მისი განცხადებით, ჭიჭიაშვილთან დაკავშირებით რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელთან ნიკოლაი პატრუშევთან პრინციპული შეთანხმება უკვე მიღწეულია. მისი ინფორმაციით, მოსაგვარებელია ექსტრადიციასთან დაკავშირებული რამდენიმე ფორმალური მხარე, რის გამოც მოსკოვში ვიზიტს მისი მოადგილე ირაკლი კოტეტიშვილი აგრძელებს.

უშიშროების მინისტრის თქმით, ჭიჭიაშვილის საქართველოში გადმოყვანის შემდეგ მაქსიმალურად დაიცავენ ბრალდებულის პირად უსაფრთხოებას, რათა არ მოხდეს მისი ლიკვიდაცია, ასევე გამკაცრებული იქნება საპყრობილის დაცვა, რადგან ჭიჭიაშვილმა ვერ შეძლოს ციხიდან გაქცევა.

უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია აცხადებს, რომ "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თამაზ მაღლაკელიძის გატაცების საქმეში ე.წ. "პანკისური კვალი" არ იკვეთება. მინისტრის ინფორმაციით, არ დადასტურდა თავდაპირველად არსებული ოპერატიული ინფორმაციები, რომ ამ გატაცებას შეიძლება კავშირი ჰქონდეს ესპანელი ბიზნესმენების გამტაცებელთა ჯგუფთან. თამაზ მაღლაკელიძის შესახებ, რომელიც ხუთ დეკემბერს ათამდე შეიარაღებულმა პირმა იოსებიძის ქუჩიდან გაიტაცა, ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი.

ქართული სპეცსამსახურის ხელმძღვანელის მოსკოვში ვიზიტი იმითაცაა აღსანიშნავი, რომ რუსეთმა უშიშროების ძებნილი გენერალი იგორ გიორგაძე, ფაქტობრივად, ქართულ მხარეს გადმოსცა. ვალერი ხაბურძანია აცხადებს, რომ უშიშროების ყოფილი მინისტრი, ტერაქტის ორგანიზების ბრალდებით ინტერპოლის მიერ ძებნილი იგორ გიორგაძე საქართველოში არ იმყოფება. **"იგორ გიორგაძე ვერ ისარგებლებს იმუნიტეტით და ამიტომაც თუ საქართველოში ჩამოვა, მის მიმართ კანონით დადგენილი ღონისძიებები გატარდება, ანუ მას დააკავებენ,"** – ამბობს უშიშროების მინისტრი, რომლის ინფორმაციითაც, მოსკოვში მისი ორდღიანი ვიზიტის დროს გამართულ შეხვედრებზე რუსულმა მხარემ განაცხადა, რომ იგორ გიორგაძე რუსეთში არ იმყოფება და რომ იგი რუსეთის სპეცსამსახურების მხარდაჭერით ვეღარ სარგებლობს. **"რუსეთის მხარის პოზიციით, იგორ გიორგაძესთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება ქართული მხარის გადასაწყვეტია,"** – აცხადებს მოსკოველ კოლეგებთან წარმატებული შეხვედრებით კმაყოფილი ვალერი ხაბურძანია.

უშიშროების მინისტრი დესტაბილიზაციას გამორიცხავს.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ

ქართველი მინისტრის მოსკოვში ვიზიტისას რუსეთის მხარეს პრეტენზიები აღარ გამოუთქვამს პანკისის ხეობასთან დაკავშირებით. **"რუსეთის მხარეს პანკისი აქტუალურ საკითხად აღარ მიუჩნევია, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ პანკისის პრობლემა აღარ არსებობს, ის არსებითად გადაწყვეტილია,"** – ირწმუნება ვალერი ხაბურძანია. მისივე თქმით, პანკისის ხეობაში ჩეჩენ ბოევიკთა ჯგუფების მასიური გადმოსვლა მოსალოდნელი არ არის, რადგან ჩეჩნეთის მხრიდან საზღვარი საკმაოდ გამაგრებული და კონტროლირებადია.

ბოლო დღეებში კომპანია "მაგთიკომის" ოფისებთან მომხდარ აფეთქებებს უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია ტერაქტების კვალიფიკაციას არ აძლევს. **"ტერორისტული აქტები უფრო მძიმე, სხვა მიმართულებისაა და ასეთი კვალიფიკაცია ბოლო დროს განხორციელებულ არც ერთ აფეთქებას არ შეიძლება მიენიჭოს. ეს აფეთქებები კონკრეტული პირების დაშინების მიზნით არის განხორციელებული. ბოლო დროს განხორციელებულ ყველა აფეთქებაზე არსებობს გარკვეული ოპერატიული ინფორმაცია, თუმცა მათი გამხელა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით, შეუძლებელია,"** – აცხადებს მოსკოვიდან დაბრუნებული მინისტრი და სტაბილიზაციას გვპირდება. მისი თქმით, არსებობს ოპერატიული ინფორმაციები, რომ შექმნილი მძიმე ვითარება სერიოზულად არ გართულდება და სიტუაცია სტაბილურობისკენ წავა.

აფეთქებები ქუთაისში

ᲑᲔᲥᲐ ᲡᲘᲡᲐᲣᲠᲘ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ

"დინამიკური ქაოსის" პირველი ნიშნები ქუთაისშიც გამოჩნდა. ორი დღის წინ ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი საერთო ბინის სადარბაზოში აფეთქება მოხდა. სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ, შესაძლოა, საქმე ბავშვების მიერ თვითნაკეთ ასაფეთქებელთან, ეგრეთ წოდებულ "სურიკთან" გვქონდეს. ამიტომაც გამომძიებლები სისხლის სამართლის საქმის აღძვრისგან ექსპერტის დასკვნამდე თავს იკავებენ.

გუშინ მომხდარი მეორე აფეთქების ფაქტი კი გაცილებით მიზანმიმართული გახლდათ და სამართალდამცველებს ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ ამჯერად აფეთქებისათვის ტროტილი გამოიყენეს. აფეთქება ყოფილი პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის თემურ შაშიაშვილის სახლიდან, დაახლოებით, 50 მეტრში მოხდა. ამ დროს შაშიაშვილი თბილისში იმყოფებოდა. აფეთქებას ნგრევა ან სხვა სახის დაზიანება არ მოჰყოლია. თუმცა, შაშიაშვილის სახლთან მდებარე დაცვის სამსახურის ჯიხურზე გაჩნდა წარწერა - "კმარა პოლიტიკა". **"ეს ამბავი მეც ტელეფონით შემატყობინეს, იქ რაღაც "კმარა პოლიტიკა" დაუწერიათ. აქ არ არის საუბარი სახლის აფეთქებაზე. ეს იყო გამაფრთხილებელი და შესაშინებელი აქცია. შესაძლოა, იგი ბათუმში ვიზიტთანაც იყოს დაკავშირებული,"** - განაცხადა თემურ შაშიაშვილმა. სამართალდამცველები, ჯერჯერობით, კონკრეტულს ვერაფერს ამბობენ. აღნიშნულთან დაკავშირებით, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, გამოძიებას კი უშიშროების ადგილობრივი სამსახური აწარმოებს.

ქართული კრიმინალური დაჯგუფებები გერმანიასა და ავსტრიაში განსაკუთრებული ტექნოლოგიით მუშაობენ

ᲛᲔᲠᲘ ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ
ვენა

ავსტრიაში მოქმედმა ქართულმა კრიმინალურმა დაჯგუფებამ ავსტრიის პოლიციას სერიოზული საფიქრალი გაუჩინა. ავსტრიასა და გერმანიაში იმპორტირებული ქართული კრიმინალის გასანადგურებლად პოლიცია სერიოზულ ღონისძიებებს გეგმავს.

„ავსტრიაში მცხოვრებ ქართველთა მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებანი გასულ წელთან შედარებით 94,8 პროცენტით გაიზარდა. ავსტრიელ კანონდამცველთა მიერ აღრიცხულია საქართველოს მოქალაქეთა მიერ ჩადენილი 1734 კრიმინალური შემთხვევა," - გუშინწინ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ფედერალურმა კრიმინალურმა სამსახურმა. მათ მიერ შედგენილ დამნაშავეთა სამყაროს ათეულის სიაში, რომელიც ავსტრიაში მცხოვრებ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკური მაჩვენებელია, საქართველო მხოლოდ მეცხრე ადგილზეა.

ავსტრიის ჟანდარმერია ექსპორტირებულ ქართულ კრიმინალს ებრძვის.

ჯიბის ქურდები

ვენის საქალაქო პოლიციის ინფორმაციით, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მათ მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად გამოვლინდა 200 ჯიბის ქურდი, რომელთა უმრავლესობა აღმოსავლეთ ევროპიდანაა, ძირითადად - რუმინეთიდან. ჯიბის ქურდებს შორის მეორე ადგილი საქართველოს მოქალაქეებს უკავიათ. „ამ მხრივ პრობლემები ადრე მხოლოდ საშობაო პერიოდში გვექმნებოდა. ახლა კი ჯიბის ქურდებისათვის სეზონი აღარ არსებობს,"- ამბობს ვენის კრიმინალური დირექციის თანამშრომელი მიხაელ ბრაუნშპერგერი. ჯიბის ქურდები განსაკუთრებით მეტროებში ჯგუფურად „მუშაობენ". თითოეულ ჯგუფში დაახლოებით 5 კაცამდეა. ექსპერტები აფრთხილებენ და ურჩევენ ავსტრიაში მცხოვრებთ, რომ მაქსიმალური ყურადღებით იყვნენ ხალხმრავალ ადგილებში. „შარვლის უკანა და ქურთუკის ჯიბეები, მხარზე გადაკიდებული ჩანთები პირველი სამიზნე ობიექტებია ჯიბის ქურდებისთვის, ამიტომ მიზანშეწონილია საფულეების, პასპორტებისა და მობილური ტელეფონების სხეულზე დასამაგრებელ ჩანთებში მოთავსება. უმჯობესია ხელჩანთების წინ ტარება და სიფრთხილის მიზნით მათზე ხელის დაფარება. თუკი ხალხმრავლობაში ვინმე დაგეჯახათ, დააკვირდით, ვინ იყო და მაქსიმალური ყურადღება მიაქციეთ თქვენს ნივთებს," - მოუწოდებს ავსტრიის პოლიცია მოსახლეობას. განსაკუთრებული მობილიზაცია გამოაცხადა ვენის პოლიციამ ზაფხულში, როცა ჯიბის ქურდობათა შემთხვევებმა მნიშვნელოვნად იმატა.

„საშიში ქართველების" მაფია

„ისინი ყოველთვის თან ატარებენ დანებს. მათ ქურთუკის ჯიბეებში მუდმივად აქვთ სამართებლები და ჟანდარმერიისთვის საშიშ დამნაშავეებს წარმოადგენენ. ისინი უკიდურესი ძალადობისთვისაც კი მზად არიან," - წერს „ლტოლვილთა სტატუსს ამოფარებული ქართველი (მაფიის) კრიმინალების" შესახებ ერთ-ერთი პოპულარული ავსტრიული გაზეთი. **„ჰოლაბრუნი, ბადენი, ჰერზოგენბურგი – აქ ქართველთა ნაკვალევია. ისინი, ძირითადად, ვენის ლტოლვილთა ბანაკებიდან მოემართებიან. მათი ნაკადი მთელ ავსტრიას კვეთს. როცა მძარცველებსა და მაღაზიის ქურდებს პოლიცია აკავებს, ეს პროცესი, უმეტეს შემთხვევაში, საშიში ინციდენტების სახეს იღებს. ერთ-ერთი შემთხვევის დროს დანით შეიარაღებულმა ქართველმა ისიც კი სცადა, რომ ჟანდარმისთვის იარაღი წაერთმია. მეორე ქართველი კი დაკითხვის დროს თავს დაესხა ახალგაზრდა თარჯიმანს,"** - წერს ნოიე კრონე ზეიტუნგი და იხსენებს მიურზუს ნეუბერგში მომხდარ შემთხვევას, როცა 33 წლის ქართველი, რომელსაც ჟანდარმერია დაკავებას უპირებდა, ორი დანით შეიარაღებული იმუქრებოდა, რომ დაასახიჩრებდა თავის მეუღლეს და საკუთარ თავსაც ზიანს მიაყენებდა, თუ დააპატიმრებდნენ. ღონისძიებების გატარებისას ერთ-ერთი პოლიციელი ხელის არეში მძიმედ დაშავდა. ქართველი ლტოლვილი ყაჩაღობაში იყო ეჭვმიტანილი. მას ბინაში ნაქურდალი ნივთები აღმოაჩნდა. ლინცში ერთ-ერთი მოქალაქის ზარის შედეგად დააკავეს საქართველოს მოქალაქე. ზარის ავტორმა დაინახა, ბოროტმოქმედმა ჩაქუჩის საშუალებით როგორ ჩაამსხვრია მანქანის მინა. დამნაშავის ბინის ჩხრეკის დროს პოლიციამ უამრავი ნაქურდალი ნივთი ამოიღო.

ავსტრიის პოლიცია ექსპორტირებულ კრიმინალს ებრძვის

ავსტრიელი კოლეგების მსგავსად, გერმანელი პოლიციელებიც აქტიურობენ, ცდილობენ ქართველი ლტოლვილების „მოღვაწეობა" აღკვეთონ. ქართველებმა კრიმინალური საქმიანობით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გასულ თვეს, გერმანიის სამხრეთში, კერძოდ - ბადენ ვიუტენბერგის მხარეში. გიოპინგენისა და გეისლინგენის პოლიციამ ერთ-ერთი რეიდის დროს 16 ქართველი აზიულანტი (ლტოლვილი) დაკავა, რომელთაც ბრალი ედებათ მაღაზიების ქურდობებსა და გაყალბებული მართვის მოწმობებით მანქანების უკანონო ტარებაში. ქართველი აზიულანტები სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან იმყოფებიან ლტოლვილთა საერთო საცხოვრებელში. **„მათი საქმიანობის შესახებ დღითი დღე უფრო და უფრო მეტ შეტყობინებას ვღებულობდით ბადენ ვიუტემბერგის სხვადასხვა ქალაქიდან,"** - ამბობს გეისლინგენის საპოლიციო ნაწილის უფროსი მანფრედ მალხოვი. მისივე ინფორმაციით, სამმა ქართველმა რკინეულობის მაღაზიაში მოიპარა ფარნები და ჯიბის დანები, ნაქურდალის საერთო ღირებულებამ 483 ევრო შეადგინა. მოგვიანებით, ისინი ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში სამუშაო იარაღებისა და წებოს მოპარვის ფაქტზე დაიჭირეს. 11 ნოემბერს, ლტოლვილთა საერთო საცხოვრებლის ჩხრეკის დროს, პოლიციამ საპირფარეშოში გადამალული 1000 ევროს ღირებულების კოსმეტიკა იპოვა. 12 ქართველის მიმართ აღიძრა საქმე სასაზღვრო რეჟიმის დარღვევისთვის. სამი მათგანი (ისინი პორტუგალიაში ყოფნის უფლებით სარგებლობენ) არალეგალურად პარიზიდან მატარებლით ჩამოვიდა გიოპინგენში.

24 წლის ქართველი ქურდობის დროს ერთ-ერთ უნივერმაღში კამერამ მაშინ დააფიქსირა, როცა ის ტყავის ქურთუკს იპარავდა. მისი ოთახის ჩხრეკის დროს ნაპოვნი იქნა მანქანის მაგნიტოფონი და ფოტოაპარატი. გეიზლინგენის მაღაზიათა ერთი ნაწილის მფლობელებმა ქართველებს თავიანთ სავაჭრო ობიექტებში შესვლაც კი აუკრძალეს.

ნოემბრის ბოლო კვირას გეისლინგენის პოლიციამ დააკავა ქართველი, რომელიც ტიუბინგენის სანომრე ნიშნებით მანქანას უკანონოდ, მართვის მოწმობის გარეშე მართავდა. იგი წინა დღეს მაისურის მოპარვაში იყო შემჩნეული. მას მანქანაში აღმოაჩნდა შვებიშ-გმიუნდში მოპარული ნივთები.

ავსტრიაში სამართალდარღვევათა რიცხვი ბოლო თერთმეტი თვის განმავლობაში გასულ წლებთან შედარებით 13 პროცენტით გაიზარდა. ავსტრიის პოლიციის მონაცემებით, ყოველი მეოთხე დამნაშავე უცხოელია.

სამწუხაროდ, ავსტრიაში აქტიურად მოქმედი ქართული კრიმინალური ჯგუფები ავსტრიელ სამართალდამცველებს სერიოზულ საფიქრალს უჩენს. დღეისთვის ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს იმპორტირებული კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა.

შინაგანი ჯარების სარდლის პირველი შედეგები

თამარ კაკიტაძე

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის, პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის პირადი დაცვის ყოფილი უფროსი გოგი თავთუხაშვილი, რომლიც რამდენიმე დღის განმავლობაში შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეც იყო, უკვე ერთი კვირაა, რაც შინაგანი ჯარების სარდლის თანამდებობაზე დაინიშნა.

შინაგანი ჯარი, რომლის უდიდესი ნაწილიც ხავერდოვანი რევოლუციის პერიოდში მომიტინგეების გვერდით დადგა, ცხადია, დღევანდელი ხელისუფლებისგანაც გვერდში დგომას საჭიროებს. შინაგანი ჯარის 7ათას 500 ჯარისკაცისთვის კი მთავრობის თანადგომა ელემენტარული პირობების გაუმჯობესებაა. მართალია, ქვეყნის ფორმიანი დამცველები ამ პრობლემებზე დიდი ხნის განმავლობაში ხმამაღლა არც საუბრობდნენ, მაგრამ აქაც, როგორც ქვეყნის სხვა სტრუქტურებში, ყველაფერი წესრიგში რომ არ არის, ფაქტია.

ერთი კვირის თავზე ახალმა სარდალმა თავთუხაშვილმა საზოგადოებისთვის დღემდე შელამაზებული შინაგანი ჯარი `გააშიშვლა" და "შიდა სამზარეულო" გამოამზეურა.

"სარდლის თანამდებობაზე დანიშვნისთანავე უპირველეს ამოცანად დავისახე, ვებრძოლო კორუფციას, რომელიც შინაგან ჯარშია გამეფებული. მესმის, რომ პირველივე დღეებში მაქსიმალურ შედეგებზე საუბარიც ზედმეტია. არც იმის სურვილი მაქვს, რომ აქ მომუშავე პერსონალი თანამდებობებიდან უპირობოდ გავათავისუფლო და ახალი კადრები მოვიყვანო. ამისათვის თითოეულ პასუხისმგებელ პირს საშუალება მივეცი, თავად გამოასწოროს საკუთარი მუშაობის სტილი", – აღნიშნა ჩვენთან საუბარში შინაგანი ჯარების ახალმა სარდალმა გოგი თავთუხაშვილმა.

მუშაობის დაწყების პირველ დღეებში თავთუხაშვილი ნაწილების პასუხისმგებელი პირების მუშაობაში საერთოდ არ ჩარეულა. გუშინ კი სარდალი მოულოდნელად რევიზიაზე გავიდა.

შემოვლა ახალმა უფროსმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის ბატალიონიდან დაიწყო. სარდალი ჯარისკაცებს პირდაპირ საუზმეზე ეწვია და რიგითი სამხედრო მოსამსახურის ულუფას გაეცნო. შინაგანი ჯარის პრესსამსახურის ინფორმაციით, შემოწმებისას დადგინდა, რომ ჯარისკაცებს დადგენილ ნორმაზე ნაკლებ საჭმელს აძლევენ; მაგალითად: სავალდებულო 800 გრამი პურის ნაცვლად - 700 გრამ პურს, ხოლო 20 გრამი კარაქის ნაცვლად - 14 გრამს და ა.შ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მხოლოდ აღნიშნულ ბატალიონში დაახლოებით 150 ჯარისკაცი მსახურობს, გამოდის, რომ ყოველდღიურად დაკლებული საჭმელი არც ისე მცირეა; მეტიც, როგორც სარდალმა გვითხრა, ბატალიონის საწყობში აღმოჩნდა მოშუშული ხორცის კონსერვი, რომელიც ნებისმიერ ბაზრობაზე ორი ლარი ღირს, ბატალიონში კი მისი ფასი გაფორმებულია 7 ლარად.

ერთი სიტყვით, პირველივე რევიზიის დროს სარდალმა კორუფციის საკმარისი ფაქტები გამოავლინა და პირველი გადაწყვეტილებაც მიიღო. ამჟამად მზადდება ბრძანებები ბატალიონის სადილის და საწყობის უფროსების და ზურგის სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. დაინტერესდებიან თუ არა შინაგან ჯარებში გამოვლენილი დარღვევებით სამართალდამცველები, ჯერჯერობით, უცნობია.

"შინაგან ჯარში ფორმალური შემოწმებების დრო დასრულდა. ჩვენ არ გვჭირდება შელამაზებული სურათი. ამგვარი ღონისძიებები მომავალშიც გარეცხილდება და იმედი მაქვს, რომ რეალურ შედეგსაც მივაღწევთ", - ამბობს სარდალი თავთუხაშვილი.

შინაგანი ჯარის ახალი სარდლის სამუშაო სტრატეგია მხოლოდ კორუფცია არ გახლავთ. ბრძოლაა გამოცხადებული ნარკომანიის წინააღმდეგაც, თუმცა პრესსამსახურის უფროსის ალექსანდრე სალუაშვილის განცხადებით, ამ ეტაპზე შინაგან ჯარში ნარკომანი ჯარისკაცი ან თანამშრომელი არ გამოვლენილა.

და კიდევ ერთი: კორუფციისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მუშაობის მიზნით, ახალი სარდლის ინიციატივით, შინაგან ჯარში შეიქმნა ცხელი ხაზი. ნებისმიერ ქვედანაყოფში კორუფციის, ნარკომანიის ფაქტების, სხვა დარღვევების შემჩნევის შემთხვევაში მოქალაქეებს, მათ შორის რეგიონებიდანაც, შეუძლიათ დარეკონ შემდეგ ნომრებზე: 30-93-62, 30-96-13.

მოკლედ

"კვარციტის" ადვოკატი პროკურატურის მოქმედებას აპროტესტებს

შპს "კვარციტი" შეშფოთებას გამოთქვამს კომპანიის ირგვლივ შექმნილი ვითარების გამო. "კვარიციტის" წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება მათი კუთვნილი ქონების მითვისებას ცდილობს.

გამართულ პრესკონფერენციაზე "კვარციტის" იურისტმა შალვა შავგულიძემ განაცხადა, რომ თბილისის პროკურატურამ კანონი დაარღვია, როცა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა და "თი-ბი-სი ბანკიდან" - კომერციული საიდუმლოების შემცველი კონფიდენციალური ინფორმაციის, ხოლო "ინვესტბანკიდან" **"კვარციტის" კუთვნილი 600 კილო ოქროს შენადნობის ამოღების უფლება ითხოვა.**

"სასამართლოს ნებართვა ვინმე მოდებაძის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გამოართვეს, თუმცა ჩვენთვის უცნობია, ვინ არის მოდებაძე, რა კავშირი აქვს მას და მის დანაშაულს "კვარციტთან". ჩვენთვის გაუგებარია, რატომ უნდა მოხდეს "კვარიტის" საქმეებში ასეთი უხეში ჩარევა სხვის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გამო," - განაცხადა შავგულიძემ და აღნიშნა, რომ "კვარიტის" არც ერთ თანამშრომელზე სისხლის სამართლის საქმე არ არის აღძრული და არც ერთი მათგანი დაკითხვაზე არავის დაუბარებია.

მისი თქმით, საქართველოს სამართალდამცველი და სასამართლო ორგანოების მხრიდან უხეშად ირღვევა საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული პრინციპები, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ზეწოლის გაგრძელების შემთხვევაში, დახმარებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართოს.

"ვფიქრობ, სამართალდამცველ ორგანოებს სრულად არ აქვთ გააზრებული, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მათ ამგვარ ქმედებებს. დაახლოებით 6 მლნ დოლარის ღირებულების 600 კილო ოქრო ინგლისში საექსპორტოდ არის გამზადებული. თუ იგი პატრონს არ ჩაბარდა, სახელმწიფო ბიუჯეტში ვერ შევა რამდენიმე მილიონი ლარი, "კვარციტის" ათასობით თანამშრომელი ვერ მიიღებს კუთვნილ ხელფასს, დიდი ბრიტანეთის კონტრაქტორი კომპანია "ჯონსონ მეთიუს"-ი კი, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო "კვარციტთან" ხელშეკრულებას გააუქმებს და მიყენებული ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს," - განაცხადა შავგულიძემ.

24 საათი

არძინბას ხელისუფლება საგანგებო მდგომარეობას აცხადებს

აფხაზეთის სტრატეგიულ ობიექტებს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების სამსახური განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მოაქცევს საქართველოში 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ მოსალოდნელი დივერსიულ-ტერორისტული აქტების შესახებ გავრცელებული ოპერატიული ინფორმაციების გამო. ამის შესახებ განაცხადა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის თავმჯდომარემ გივი აგრბამ.

მისი თქმით, ასეთ ობიექტებს შორისაა: წყალსაცავი, ჰიდროელექტროსადგურები ენგურჰესის ჩათვლით, მსხვილი ქარხნები, აფხაზეთის უნივერსიტეტი და სხვა სტრატეგიული და სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტები.

აგრბას განცხადებით, **"დღეისათვის სიტუაცია კონტროლირებადია, თუმცა არსებობს დიდი ალბათობა, რომ ქართულმა მხარემ საპრეზიდენტო არჩევნებს ტერაქტები დაუკავშიროს,"** – აცხადებს გივი აგრბა. **პრაიმ-ნიუსი**

გაერო-ს ახალი ანტიკორუფციული კონვენცია

გაერო-ს წევრმა ასმა სახელმწიფომ მექსიკის ქალაქ მერიდაში ხელი მოაწერა პირველ საერთაშორისო კონვენციას, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას ეხება.

დოკუმენტი გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ 1 ნოემბერს მიიღო. 9 დეკემბრიდან კონვენცია ღიაა ხელმოწერისთვის. კონვენცია ძალაში შევა 90 დღეში; მას შემდეგ, რაც მას 30 ქვეყანა დაამტკიცებს. ანტიკორუფციული დოკუმენტი მასზე ხელმომწერ ქვეყნებს ავალდებულებს, სისხლის სამართლის დანაშაულად გამოაცხადოს მექრთამეობა, ბიუჯეტის სახსრების დატაცება და კორუფციული შემოსავლების „გათეთრება".

კონვენციის ერთ-ერთი დებულების თანახმად, აუცილებელია, სახსრების დაბრუნება იმ ქვეყნისთვის, საიდანაც ის კორუფციის შედეგად შემოვიდა.

კონვენცია პირველი დოკუმენტია, რომლის საფუძველ

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

მე იმედი მაქვს...

ლაშა მაკარიძე

თბილისის კლასიკური გიმნაზიის
მე-10 კლასის მოსწავლე

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. ქართველი ხალხის მოთმინების ფიალა აივსო და მან ვითარების შეცვლა მოინდომა - ათასობით ადამიანი თავისი პოზიციის დასაცავად ქუჩაში გამოვიდა. მეც ვიყავი მიტინგებზე და მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რომ ხალხის სიმრავლე გამოჩენილიყო და მართლაც რაღაც შეცვლილიყო. მიტინგებზე საოცარი რამ ხდებოდა. პირველად დავინახე, რომ ქართველ ხალხს ერთმანეთის სიყვარული შეუძლია, ქართველი ხალხი ერთიანი იყო.ერთ კაცს ერთმა ახალგაზრდა აქტივისტმა, უნებლიედ, დროშა მოარტყა. სხვა დროს, ალბათ, გინება ატყდებოდა და ერთმანეთს დაჭამდნენ, მაგრამ მაშინ ეს ყველაფერი ორივე მხრიდან ბოდიშის მოხდით დასრულდა...

ყველაფერი დასრულდა, საქართველო ახალ ცხოვრებას იწყებს. თუმცა არსებობს მოსაზრებები, რომ ყველაფერი უარესობისკენ წავა. ამ იდიოტურ მოსაზრებას მე არ ვეთანხმები. დამთავრდა მაჩვების დრო. მოხდა ხავერდოვანი რევოლუცია მცირე დარღვევებით. ეს მცირე დარღვევა ისაა, რომ პარლამენტში შეიჭრნენ ნაციონალები და გაყარეს არჩეული პარლამენტი. პრეზიდენტი ტომარასავით გაიტანეს. ჯემალ გოგიტიძეს მოხვდა, თუმცა, ჩემი აზრით მეტიც ეკუთვნოდა. ჩემი ნება რომ იყოს, ცოტნე ბაკურიას და ლევან მამალაძეს ფერდის ძვალს გავუხვრეტდი და გოგირდმჟავას ჩავასხამდი, ხოლო ასლან აბაშიძეს ზღარბებზე დავაწვენდი... თუ უსამართლო ვარ, ცოტნე ბაკურიას პარიკმახერს მიმაგდეთ საჯიჯგნად და აჭარის ტელევიზიას მაყურებინეთ...

ამ დღეებში საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იყო და ჩვენმა ამბებმა, როგორც ერთმა კარგმა ტელეწამყვანმა თქვა, "ის ამბავიც კი დაჩრდილა, რომ მაიკლ ჯეკსონმა ვიღაც ბიჭი გააბახა".

მოკლედ, ხალხმა გაიმარჯვა, ხალხის თავისუფლება და ქვეყნის აღმშენებლობა იწყება. ასეთია ჩემი ოპტიმისტური აზრი.

ანა იასეშვილი

თბილისის კლასიკური გიმნაზიის
მე-10 კლასის მოსწავლე

ვისთვის რა იყო, როგორ იყო და რანაირად?!

თქვენ თუ მე მეკითხებით, ჩემეული ხედვით რა იყო და არა სხვებთან ერთად ნააზრევი ფიქრი გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ეს იყო ის, რაც ჩემს სულს დიდი ხანია სჭირდებოდა. იმ დროიდან, როცა მე დავიბადე და ჰაერი ჩავისუნთქე...

იქამდე, სანამ...მე დავდიოდი ქუჩაში, ვუყურებდი ობობებივით მარტოხელა ადამიანებს, რომლებიც თავთავის ქსელს აბამდნენ და შემდეგ თვითონ ებმებოდნენ მასში. ვუყურებდი მათ, ვის სულებშიც არარაობანი დაძრწოდნენ, ვუყურებდი მაღალთაც და მდაბალთაც, ვსუნთქავდი მათთან ერთად, მათთან ერთად დავდიოდი ქუჩაში, ჩვენ ფიზიკურად ერთად დავდიოდით, მაგრამ ... "თვით ხალხთა ბრბოც მარტოდ მარტოა". მარტონი იყვნენ მანამ, სანამ ერთხელ მეტრო მარჯანიშვილიდან წამოსული პირველი სკოლისკენ, ხიდზე არ გავჩერდი და სამებიდან ამომავალ მზეს არ შევხედე. იგი რაღაც უცნაურად ბრწყინავდა, სხვანაირად ირეკლავდა ადამიანების ნათელს, მე შევამჩნიე იმ დროს, რომ ხალხს რაღაც უცნაური ნათელი ადგას, მაგრამ ისინი მაინც მარტონი იყვნენ იქამდე, სანამ...

მე ვნახე, მე შევამჩნიე, მე ვიგრძენი იქამდე, სანამ...

მე არ ვემხრობი პოლიტიკურ პირუტყვებს, მე არ ვენდობი ხელოვნების ხელოვნურად შემქმნელებს. მე არ ვიცი რა არის მატერია , მატერიის მიერ შექმნილი პიროვნება გაამართლებს თუ არა, მე წმინდა გიორგის მადლის მჯერა და შეუბილწავი გიორგობის დღესასწაულის...

მე ვნახე, რომ მაშინ იქ არ იყო ბრბო, იქ არ იყო ბრმა, იქ იდგა ხალხი და მათი სიხარული ჩემი სიხარული იყო.

და ვიპოვე ის, რასაც მე იმ დროიდან ვეძებდი, როცა მე დავიბადე, იმ დროიდან როცა მე თავისუფლად მოთარეშე ჰაერი ჩავისუნთქე...

ნახვამდის იქამდე, სანამ...

ოთარ გოგავა

თბილისის კლასიკური გიმნაზიის
მე-10 კლასის მოსწავლე

საქართველოს ისტორიაში 2003 წლის გიორგობა, 23 ნოემბერი შევა, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის გადადგმული უდიდესი ნაბიჯი. იმ ბოლო მოვლენების შემდეგ, რომელიც 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ დაიწყო. ქართველი ხალხი ერთად დადგა, ერთ მუშტად შეიკრა, რათა შევარდნაძის დიქტატურა დაემხოთ და ახალი საქართველოს შენება დაეწყოთ. ეს ყველაფერი უსისხლოდ მოხდა, ხავერდოვანად და 2003 წლის 23 ნოემბერს, საღამოს პრეზიდენტი შევარდნაძე გადადგა. ეს ამბავი მთელი მსოფლიოს ტელეგადაცემების მთავარი თემა იყო. ჩემი აზრით, ეს ქართველი ხალხის უდიდესი ნაბიჯი იყო. მათ დაამტკიცეს, რომ საქართველოს არ უნდა მართავდეს ერთი რომელიმე პიროვნება, მას უნდა მართავდეს ხალხი. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ამის შემდეგ საქართველო განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ავა. უფრო დემოკრატიული გახდება და იმედი მაქვს რომ 2004 წლის 4 იანვრის არჩევნებზე ხალხი მართლაც ღირსეულ პიროვნებას აირჩევს.

გიორგი ზაალიშვილი

თბილისის კლასიკური გიმნაზიის
მე-10 კლასის მოსწავლე

რა ხდება დღესდღეობით საქართველოში, და - კორუმპირებულ ჩინოვნიკთა გასუქებული მუცლები და ხალხის პენსიებით აშენებული ვილები საზღვარგარეთ. ხალხი კი, როგორც ყოველთვის, ბედისგან ზურგშექცეული რჩება.

გადააყენეს პრეზიდენტი შევარდნაძე მისი უღირსი საქციელისათვის, მაგრამ ხალხს ჰგონია რომ ამით საქმეს ეშველება, იმას კი ვერ ხვდებიან რა ხდება. ქალბატონი ნინო, შევარდნაძის ნათლულია, ბატონი მიშა-შევარდნაძის გაზრდილია და როგორ ფიქრობთ, ისინი მართლა ზურგს შეაქცევდნენ მას და ხალხის დასაცავად იზრუნებდნენ? არ დაიჯეროთ! უბრალოდ იცოდნენ, რომ ბოლომდე რომ დარჩენილიყვნენ პრეზიდენტთან, ხალხი მათ კი არა, არამედ ვინმე მართლაც კარგ, მამულისათვის განწირულ ადამიანს აირჩევდა. ამიტომ, ძალაუფლება რომ არ დაეკარგათ გაითამაშეს ყველაფერი (სხვათაშორის, ქართველ მსახიობებზე კარგად). ვითომ პრეზიდენტის მიერ ხალხის დამცირება ყელში ამოუვიდათ და დაემდურნენ. ეგენი არ იყვნენ ორი წლით ადრე შევარდნაძეს გაუმარჯოსო, რომ ყვიროდნენ? ეს ხალხს არ ახსოვს. მომდურებით მათ ხალხის გული მოიგეს, ახლა კი ისევ თავიდან დაიწყება ჯიბეთა გასქელება.

კმარა!

წერილები მთავრობას

ნინო ანანიაშვილი

თბილისის კლასიკური გიმნაზიის
მე-10 კლასის მოსწავლე

ჩემი აზრით, რაც მოხდა, ყველაფერი სამართლიანია, თუმცა იყო რაღაც, რაც საერთოდ არ მომეწონა. რა უბედურება იყო პარლამენტში რომ შეევარდნენ და მაგიდებსა და სკამებზე რომ ახტნენ?! ჩემი მშობლები ამართლებენ და ამბობენ, რომ ხალხი დაღლილი იყო ცხოვრებით. მესმის, დაღლილი ვინ არ ყოფილა, მაგრამ ეგრე მოქცევა შეიძლება?! ისე საერთო ჯამში, ყველაფერი მომეწონა: დაწყებული სკოლის გაცდენიდან, დამთავრებული პრეზიდენტის გადადგომით. მე რომ მკითხოთ, ყველაფერი ისე კარგად არ იქნება, როგორც ხალხს ჰგონია, მაგრამ რა ვიცი, ვნახოთ. მართლა ძალიან კარგი იყო მიტინგებზე სიარული. ამდენი გაცინებული სახე და მოცეკვავე ხალხი ჯერ არ მინახავს. ადრე სხვას დავცინოდი მიტინგზე რა გინდა მეთქი და ახლა მე გავხდი დასაცინი, თუმცა ეგ სულ არ მაღელვებდა არც ადრე და არც ახლა, რადგან ისე გავერთე და მომეწონა, რომ კიდევ წავიდოდი. ისე, ეგ ნასვლები კარგი ხვეწნა-მუდარა დამიჯდა, რადგან არავის არ უნდოდა. მე მგონი სტაბილურობა და სიმშვიდე უკვე შეიმჩნევა და იქნებ საქართველოს მართლა კარგი დაემართოს. ოღონდ მეც რომ მოვესწრო, ის მინდა, თორემ სულაც არ მინდა ფიროსმანივით სიკვდილის მერე აღიარება!!!

"კმარაც" არ მომწონს მაინცდამაინც, თავში აუვარდათ, არიქა "მაიკები" და დროშები გვაქვსო. სულელები არიან. "ბაბუც" ძალიან შემეცოდა. ახლა, აქ რაები ელის და "იქ" რაღა მოუვა, ასე რომ წყევლიდნენ და აგინებდნენ?!

მოკლედ, აქ დავწერე ყველაფერი, რასაც ვფიქრობ ახლანდელ მდგომარეობაზე და რა ვიცი, საერთო ჯამში, პირადად კმაყოფილი ვარ.

უი, ზვიადისტებსაც არ ვემხრობი. ხან შევარდნაძეს აგინებენ, ხან გვერდში უდგანან. მოკლედ, თვითონაც არ იციან, რა უნდათ. ეს მანანა დადის "ნორკაში" და ხალხი კიდევ იყინება.

ჰაატა ვეფხვაძე

თბილისის კლასიკური გიმნაზიის
მე-10 კლასის მოსწავლე

დღევანდელ საქართველოში მიმდინარეობს ძალიან რთული პროცესები. პრეზიდენტის გადადგომას მოყვა მრავალი ცვლილება. რა თქმა უნდა, პრეზიდენტის გადაყენება აუცილებელი იყო, რადგან მან ქვეყანა ცუდ მდგომარეობამდე მოიყვანა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, თუ ვინ გახდება პრეზიდენტი, რისი შანსიც აქვთ ოპოზიციის ლიდერებს და იმედი მაქვს, რომ მომავალი პრეზიდენტი იზრუნებს საქართველოს კეთილდღეობაზე.

გიორგი ქარუმიძე

თბილისის კლასიკური გიმნაზიის
მე-10 კლასის მოსწავლე

მე დიდი იმედი მაქვს, რომ საქართველოში ყველაფერი შეიცვლება. იმიტომ კი არა, რომ მე რომელიმე პოლიტიკოსი მომწონს. იმიტომ, რომ მიშას შეეშინდება ხალხის - ელემენტარულად, რომ არ შეასრულოს ის, რასაც ხალხს დაპირდა. თუ არა და მარტო ის ხალხი კი არ გამოვა, ვინც ნოებმერში იყო, არამედ ისინიც ვინც ეწინააღმდეგებოდნენ მას. ასევე, ამერიკისგან და რუსეთისგან დიდ უსიამოვნებაში ჩაიგდებს თავს. ბევრი რამ 4 იანვრის არჩევნებზე გადაწყდება, როცა მიშა გაიმარჯვებს, მე ამის დიდი იმედი მაქვს.

მე იმის იმედი მაქვს, რომ საქართველო დაიბრუნებს ყველაფერს, რაც დაკარგა და ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება.

საქართველოს გაუმარჯოს! გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

პროგრამა " კანონიერების კულტურა" საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს.

დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა
შემდეგი გვერდი გამოვა 30 დეკემბერს

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

...ჟლუს სახელმწიფო, კანონი, ზნეობა

კიდევ ერთი სიმბოლო სიმბოლოებით აღსავსე ჩვენს ყოფაში. გარიყულადან ქართული ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ახალი ეტაპი იწყება. ეს ძალზე სიმბოლური ტოპონიმია.

***თათა ქვარიანი** პროფესიით ხელოვნებათმცოდნეა. დამთავრებული აქვს თბილისისა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტები. 10 წლის განმავლობაში ხელოვნების ინსტიტუტში მუშაობდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. მას შემდეგ, რაც ბევრი ნოვატორული იდეების გამო მუზეუმში შეამცირეს და უსამსახუროდ დარჩა, პროფესიის შეცვლა გადაწყვიტა. დროის მოთხოვნის შესაბამისად და ალბათ იმიტომაც, რომ იმ წუთში მის ქვეყანას ლოკალური პროგრამები არ სჭირდებოდა, სტრატეგიული დაგეგმვა შეისწავლა. ამ ეგიდით დაგეგმა, თუ როგორ უნდა ჩარეულიყო სახელმწიფო ადგილობრივ და საპარლამენტო არჩევნებში დემოკრატიულად... მაგრამ, ეს მხოლოდ თეორიებად დარჩა. იმ დროისთვის (1995 წლისთვის), მსოფლიო ბანკისა და გაეროს განვითარების პროექტში დაგეგმილი დემოკრატია არავის დასჭირდა. შემდეგ იმუშავა დეცენტრალიზაციის და სტრატეგიული განვითარების რამდენიმე პროექტზე. ამ ბოლო ხანს კი კულტურის პოლიტიკის დაგეგმვას სოფლის განაპირას მდგარი ერთი ძველი სახლიდან მიჰყო ხელი. მოკლედ, სოფელ გარიყულაში თანამედროვე ცივილიზაციიდან გარიყულად მდგარი ქართული კულტურის განვითარების მცდელობა იწყება...*

მაია ჭალაბანიძე

- რატომ მოყევით შემცირებაში?

- ხელოვნების მუზეუმს ძალიან კარგი დირექტორი ჰყავს, მაგრამ ის სხვა ფორმაციის ადამიანია. მიმაჩნია, რომ დღეს ყველაზე რთული და აუცილებელი შესაცვლელი - ადამიანის მენტალიტეტია. განსაკუთრებით, ეს ეხებათ იმ ადამიანებს, ვისაც საპასუხისმგებლო თანამდებობები უკავია. სხვაგვარად ვერანაირი დახმარება ვერ მოგვიტანს წინსვლას.

- გარიყულადან კულტურის ახალ სტრატეგიაზე ზრუნვა, სახელიდან გამომდინარე, სიმბოლური უნდა იყოს...

- გეთანხმებით, ძალიან სიმბოლური სახელია, ქართული კულტურა და ხელოვნებაც ასეთ გარიყულ მდგომარეობაშია. ეს სახლი სოფლის ბოლოს დგას, იქიდან იწყება რკონის ხეობა. ჩემი არ იყოს, ამ სახლსაც ნელ-ნელა უბრუნდება ხელოვნების ფუნქცია. არტ-ვილა "გარიყულას" დირექტორმა, მხატვარმა ყარამან ქუთათელაძემ მენეჯერობა შემომთავაზა და დავინტერესდი, რადგან ამ ამპლუაში ჩემი ორივე პროფესიის გამოყენება შემიძლია. ჩვენში არტმენეჯმენტი, მაინცადამაინც, განვითარებული არ არის. კანტიკუნტად თუ შეხვდები პროფესიონალ მენეჯერს. მეც არ მიმაჩნია თავი პროფესიონალ მენეჯერად, მაგრამ სოლიდურ ორგანიზაციებში მუშაობის 7 წლიან გამოცდილებას თავს აქ მოვუყრი. ბატონი ყარამანის შემოთავაზებით საწყისებს დავუბრუნდი. მართალია, ძალიან განვითარებული ინტუიცია არ მაქვს, მაგრამ ცვლილებებს ველი.

გარიყულაში "შიდა ქართლის აღორძინებისა და განვითარების ფონდის" ხელშეწყობით, "ვოლოდარსკის სახლად" წოდებულ ისტორიული ძეგლის შენობაში თანამედროვე ხელოვნების ცენტრი მოქმედებდა. გარიყულა - კასპის რაიონში მდებარეობს. სხვათა შორის, შენობა რამდენიმე ფილმში გადაიღეს, მათ შორის, კოკოჩაშვილის "ნუცას სკოლაც" იყო. ახლაც იღებენ და იღებენ... შენობა მეცხრამეტე საუკუნეში პოლონელმა მეპატრონემ ააშენა. არქიტექტურულად სახლი შიდა ქართლის ტიპური პეიზაჟიდან ამოვარდნილია, მაგრამ ეს, რაღაცნაირად, ესთეტიკური ამოვარდნაა. რევოლუციის მერე ამ სახლში კასპის ბავშვთა სახლი იყო გახსნილი.

დღეისთვის ხელოვნების ცენტრს ძალზე საინტერესო იდეები და მისიები აქვს. ახლა არტვილა რამდენიმე მიმართულებით მუშაობს. ერთია გარიყულას აღორძინება და მეორე: არტ-ვილის ეგიდით არასამთავრობო ორგანიზაცია - კულტურის პოლიტიკის ინსტიტუტი გავხსენით. ამით გვინდა, უფრო მასშტაბური გავხადოთ ის ტენდენციები, რასაც თავისუფალი შემოქმედებისთვის თავისუფალი გარემოს შექმნა ჰქვია და ამ მიმართულებას ინსტიტუციონალური დატვირთვა მივცეთ.

- თავისუფალი გარემოს შექმნას ყველა ის სტრუქტურა დეკლარირებდა, რომელსაც კულტურისა და ხელოვნების ბედი ებარა. გარიყულადან ამას როგორ შეძლებთ?

- საერთოდ არ ვიცით, რას ნიშნავს "კულტურის პოლიტიკა". ისტორიულად, კულტურის პოლიტიკას, ჩვენდა სამწუხაროდ მომხვდური განსაზღვრავდა - რომი, საბერძნეთი, ბიზანტია, არაბები, სპარსები და ა.შ. - პოლიტიკის განმსაზღვრელები ისინი იყვნენ. შემდეგში ეს მისია რუსეთმა და სსრკ-მ აიღო თავზე და კულტურის პოლიტიკა მიზანმიმართულად ანტიქართული გახადა. ბევრი რამ, რასაც დღეს ვიმკით, იმ პოლიტიკის შედეგია - თუნდაც ის, რომ არ არსებობდა მსოფლიო კლასიკის კარგი ქართული თარგმანი (მცირე გამონაკლისის გარდა). ახლა რომ გავყვირით ენა და მამულიო - ენა მაშინ უნდა დაგვეცვა და მეტი და კარგად გვეთარგმნა. მაშინაც და ახლაც კლასიკას რუსულ თარგმანში ვკითხულობთ. შექსპირს თუ ჰომეროსს რომ რუსულ ენაზე ეცნობი, იმ კულტურის შემადგენელი ნაწილი ხდები, შენსა და უცხოურ კულტურას შორის მედიატორის როლს რუსულ ენას აკისრებ.

- კულტურულ სფეროში მოღვაწეობის გარკვეული ფორმაცია ჩამოყალიბდა და ჩვენი კულტურა ამ სქემით ვითარდებოდა. დამოუკიდებლობიდან 10 წელზე მეტი გავიდა, შეიცვალა თუ არა ეს სქემები და რა გვაქვს სანაცვლოდ?

- ყოფილი სქემა ძალიან ცუდი, მავნებლური და კარგად აწყობილი იყო. სქემა შეიცვალა და სქემა აღარ არსებობს. ამ ათ წელიწადში სანაცვლო ვერ შევქმენით. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა არის ჩვენი კულტურის პრიორიტეტი.

- ალბათ, გაგაჩნიათ ამ პრიორიტეტების თქვენი ვერსია?

- იმედი მაქვს, რომ კულტურის ინსტიტუტი და თუნდაც, კულტურის სამინისტრო, რომელიც, ახალი სტრუქტურის იქნება, სწორად განსაზღვრავს ამ პრიორიტეტებს.

ჩვენ გვაქვს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, ამით სამართლიანად ვამაყობთ. მაგრამ, ამ საამაყო წარსულთან კავშირი დავკარგეთ, რის შედეგადაც ეს ჩვენთვის გუშინდელი დღე და, ფაქტობრივად, მკვდარი ისტორიაა. მაგალითად, ვარძიას თანამედროვე კულტურასთან კავშირი დაკარგული აქვს. კავშირის აღდგენა მხოლოდ კულტურის ძეგლის კულტურის კერად ქცევით შეიძლება - ისეთი ინფრასტრუქტურა უნდა შევქმნათ, რომელიც ამ ძეგლს სიცოცხლეს დაუბრუნებს. მაგალითისთვის დიდი მნიშვნელობის ძეგლი - უფლისციხე ავიღოთ - ის ინგრევა და ძალიან ცუდ დღეშია. ნგრევაში მხოლოდ უფლისციხე არ მოჰყვა, მის გარშემო მდებარე სოფლები რომ ნახოთ, გული გაგისკდებათ. ინფრასტრუქტურის გაცოცხლება და ადგილობრივი მოსახლეობის "უფლისციხის სისტემაში" დასაქმება (მომვლელად, ხალხური რეწვისა და სხვა სახის სკოლებში), ტურიზმის განვითარებისთვის გარკვეული ინვესტიცია იქნება. ამას დიდი ფული და განსაკუთრებული დაფინანსება არ სჭირდება.

- აქამდე რომ ეს არ ხერხდებოდა, განზრახული პოლიტიკა იყო?

- უბრალოდ, სხვანაირი მიდგომა იყო. კულტურული მემკვიდრეობის დღევანდელობასთან მისადაგება არ ვიცით. არც ის ვიცით, ჩვენ როგორ უნდა მივესადაგოთ მემკვიდრეობას... ამიტომ, გვაქვს არაჩვეულებრივი წარსული და აღარ გვაქვს აწმყო. აი, ამ კავშირის დაკარგვაზეა საუბარი - როდესაც გამუდმებით ვაცხადებთ, რომ ჩვენ სახელოვანი ისტორია გვაქვს, ამით თითქოს დღევანდელობასთან კავშირს ვჭრით, არადა, წარსული უნდა გამოვიყენოთ.

სხვათა შორის, რელიგიურად, კავშირის აღდგენა დაიწყო. როდესაც ბერები წავიდნენ და აქამდე უმოქმედო მონასტრებში დასახლდნენ, ძეგლებმა სიცოცხლე დაიწყეს. ახლა იგივე კულტურის ძეგლებთან მიმართებაშიც უნდა მოხდეს.

- გახსოვთ, ალბათ - ხელოვნების მუზეუმიდან საზღვარგარეთ ექსპონატთა გატანის გამო სკანდალი მოხდა. რატომ დადგა ეს პრობლემა?

- მაშინ იქ უკვე აღარ ვმუშაობდი. შეიძლება, ცოტა თამამი იდეა იყოს, მაგრამ, მაინც ვიტყვი... მუზეუმის შენობაში, ან სადმე სხვაგან სამლოცველო შეიძლება გაკეთდეს. ეს მსოფლიოში მიღებული ფორმაა. სან-მარკოს ეკლესიაში, ქრისტიანობის ერთერთ მთავარ ტაძარში - ხელოვნების ნიმუშების დათვალიერებაც შეგიძლია და ლოცვაც. ასევეა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარშიც... შეიძლება, ამისთვის ცალკე დაცული ტაძარი აიგოს. დაცული, არამხოლოდ უსაფრთხოების თვალსაზრისით, არამედ - უძველესი ფრესკებისა და სხვა ნიმუშებისთვის საჭირო კლიმატის თვალსაზრისითაც.

ჩემი აზრით, სკანდალმა მუზეუმსა და ეკლესიას შორის კონფლიქტის სახე მიიღო. ამ ორი ინსტიტუტის დაპირისპირება კი არასდროს არ უნდა მოხდეს. ეს არის ეკლესიის, მრევლის ინტერესების დამცველი ინსტიტუტის აზრი და არ შეიძლება არ გაითვალისწინო მორწმუნე ადამიანის და სასულიერო პირთა მოთხოვნა.

- დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ კულტურის სამინისტროს არსებობაზე, მის ფორმებზე. რას იტყვით თქვენ, კულტურის პოლიტიკის მკვლევარი? როგორ უნდა წარიმართოს ეს პოლიტიკა, რომ მსოფლიო კულტურის ნაწილი გავხდეთ?

- ჩვენ საერთო კონტექსტიდან ვართ ამოვარდნილი, ამიტომ ინტეგრაციის პროცესი უნდა გაგრძელდეს. ჩვენი დიდი შეცდომაა, როდესაც გულზე მუშტის ბრახუნით ვიუწყებით, რომ ხელოვნების ესა თუ ის ნიმუში არის მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი. როგორც ხელოვნებათმცოდნემ, შემიძლია განვაცხადო - ხელოვნების ძალიან ცოტა ფორმების პირველადმომჩენები ვართ. ჩვენი ერთადერთი და უნიკალური ექსკლუზივი - ფიროსმანია. ჯვრის ტიპის ეკლესია საქართველოში არ წარმოშობილა, მაგრამ ის, თუ როგორ შევძელით მისი ტრანსფორმაცია, როგორ მოვახერხეთ ამ მონასტრის გარემოსთან შერწყმა - ქართულია.

ბერტოლდ ბრეხტის "კავკასიური ცარცის წრემ" ქართული თეატრი საოცარ მწვერვალებზე აიყვანა. ბრეხტი არ არის ქართველი დრამატურგი, მაგრამ მისი პიესა ქართულ კულტურულ ძეგლად იქცა.

"ვეფხისტყაოსნის" 16 მარცვლიანი შაირი ქართული არ არის, მაგრამ ამაზე დიდი ქართული პოეზია ხომ არ არსებობს?! ამ მაგალითებით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი ექსპორტი შეიძლება გახდეს ჩვენი აღქმა, მიმდინარე გლობალური მოვლენების და დინებების ტრანსფორმაცია.

- ხელოვნებისა და კულტურის განვითარებაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. ვინ უნდა იყოს შუამავალი სახელმწიფოსა და ამ დარგს შორის?

- სწორედ კულტურის სამინისტრო უნდა იყოს შუამავალი, ოღონდ არა იმ სახით, რაც იყო. ზუსტად ვერ გეტყვით, რა სტრუქტურის უნდა იყოს ეს უწყება, მაგრამ შეუძლებელია, დიდი ხნის წინათ და სულ სხვა პერიოდში შექმნილმა ორგანიზაციამ დღევანდელი კულტურის პოლიტიკის გატარება შეძლოს. შენობა მოძველდა, თანამედროვეობას არ შეესაბამება.

სულ საუბრობენ იმის შესახებ, თუ ვინ იქნება კულტურის მინისტრი. მთავარი სტრუქტურის შექმნაა. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოვუძებნოთ წინამძღოლი - სტრუქტურა პიროვნებაზე არ უნდა ავაწყოთ. ამის გამოცდილება საქართველოში დღეს არ არსებობს, თავიდან უნდა დაიწყოს ყველაფერი, ახალი ფურცელი უნდა გადავშალოთ.

მთავარი სამი რამ არის - პრიორიტეტი, ფასეულობის განსაზღვრა და გზა - რა არის ჩვენი მიზანი და როგორ მივდივართ იქამდე... 70 წლის განმავლობაში იშლებოდა ეს დარგი. საჭიროა ძალზე მოქნილი სტრუქტურის შექმნა. სამინისტროს მუშაობა წინასწარ, რამდენიმე წლით უნდა განისაზღვროს. გრძელვადიან პრიორიტეტებს ვერავინ განსაზღვრავს. დღეს, პირველ რიგში, გარღვევის პოლიტიკაა განსასაზღვრი. შემდეგ კი ცვლილებების არ უნდა გვეშინოდეს. კულტურა ხომ ერთ ადგილზე მდგომი დარგი არ არის. რამდენიმე წლის წინ ხომ წარმოუდგენელი იყო მულტიმედიურ კომპანიებზე საუბარი, დღეს ეს რეალობაა - ვირტუალური სამყარო საფუძვლიანად შემოიჭრა ამ სფეროში. შეიძლება, ხვალ მსოფლიო ხელოვნებასა და კულტურაში გამოწვეულმა ცვლილებებმა სულ ახალი მოთხოვნები მოიტანოს.

- დეცენტრალიზაციის პრობლემებზე გიმუშავიათ. უნდა წყვეტდეს კულტურის სამინისტრო ყველაფერს, რაც კულტურის სფეროში ხდება?

- დეცენტრალიზაცია ორი მიმართულებით არის აუცილებელი - პოლიტიკური, ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია და გეოგრაფიული დეცენტრალიზაცია. თბილისი - ცენტრია (და ეს ასე იქნება ყოველთვის), მაგრამ არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რომ ფილმის, სპექტაკლის ნახვა და გარჩევა ვიღაცას, ვთქვათ, გორში უნდოდეს. რეგიონები მივიწყებულია. ორი წლის განმავლობაში რეგიონებში ძალიან ბევრი ვიარე და ვიცი, რომ ყველგან კულტურული შიმშილია. იმ ადგილს და დროს, რაც ხელოვნებამ, განათლებამ უნდა დაიჭიროს, სოფლის, რეგიონის მოსახლეობა სხვა, ცუდ რამეს ანდომებს - სმას, ღრეობას, ნარკოტიკებს და სხვა... ამიტომაც, იდეოლოგია, პირველ რიგში, აქ უნდა ამუშავდეს.

- არის თუ არა ამ სფეროში ფული გადამწყვეტი?

- გადამწყვეტია ფულის მართვა და არა რაოდენობა. დიდი მნიშვნელობა აქვს ფინანსურ მენეჯმენტს. რა თქმა უნდა, ბევრი ფული უკეთესია, ვიდრე ცოტა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ბევრი ფულის პირობებშიც (გარდა იმისა, რაც კორუფციას შეეწირა, რაც კონკრეტულ ჯიბეებში წავიდა), დარჩენილი ფულითაც ძალზე ცოტა რამ გაკეთდა. მიმაჩნია, რომ მოკრძალებული საშუალებებითაც შეიძლება საქმის გაკეთება. არ უნდა შეგვეშინდეს იმისი, რომ ბიუჯეტი კულტურის ხარჯებს ვერ აუვა. დიდი იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ მთელი რიგი სახელმწიფოები დაგვეხმარებიან, თუ ჩვენ ვაჩვენებთ, რა შეგვიძლია.

- არჩევნების თემიდან დაწყებული, მრავალ პროექტში მიგიღიათ მონაწილეობა. როგორც ვხვდები, ეს მხოლოდ თეორიად დარჩა. რა შანსი აქვს თქვენი კონცეფციის განხორციელებას, რომ ის ისევ თეორიად არ დარჩეს და სიცოცხლე შეიძინოს.

- მომხდარი ცვლილებების ძალიან დიდი იმედი მაქვს და უფრო მეტი იმედი იმისა, რაც უნდა მოხდეს...

- ჩვენს საამაყო წარსულზე ვსაუბრობდით. მიგაჩნიათ, რომ უკანასკნელ ხანს მომხდარი მოვლენებითაც შეგვიძლია ვიამაყოთ?

- დიახ, შეგვიძლია. ჩვენი ინსტიტუტის ძირითადი იდეა არის კულტურის პოლიტიკა დემოკრატიის კულტურის გადმოსახედიდან. ეს რევოლუცია ძალიან კულტურულად ჩატარდა.

საქართველოში დემოკრატია მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის თავისუფლებით გამოიხატა, დემოკრატიის სხვა ნიშნები არ შეიმჩნეოდა. ახლა საზოგადოებამ რაღაც განიცადა, დემოკრატიის ფასეულობებისკენ ერთი ნაბიჯი გადადგა. ამ რევოლუციის მთავარი ღირებულება ის კი არ არის, რომ რევოლუცია მოვახდინეთ, ის არის, რასაც ჩვენ აქედან ვისწავლით.

ვიცი, ამ ჩემი ნათქვამის გამო ვინც ახმაურდება, მაგრამ მაინც ვიტყვი - ილიასეული არაჩვეულებრივი თეზა - ენა, მამული, სარწმუნოება საქართველოში მარადჟამს უნდა დარჩეს, მაგრამ ამ ეტაპზე უნდა დაერთოს - სახელმწიფო, კანონი, ზნეობა. აი, ეს უნდა იყოს ამოსავალი წერტილი ჩვენი კულტურისთვის.

ფოტო: ხათუნა ფიფია

> არ ვიცით კულტურული მემკვიდრეობის დღევანდელობასთან მისადაგება, არც ის ვიცით, ჩვენ როგორ უნდა მივესადაგოთ მემკვიდრეობას... ამიტომ გვაქვს არაჩვეულებრივი წარსული და აღარ გვაქვს აწმყო.
>
> ამ რევოლუციის მთავარი ფასეულობა ის კი არ არის, რომ რევოლუცია მოვახდინეთ, ის არის, რასაც ჩვენ აქედან ვისწავლით.

თათა ქვარიანი

გარიყულა ვენეციაში

ზოგიერთების მონდომებით, ღვთის წყალობით და რამდენიმე გონიერი ადამიანის მხარდაჭერით

არტ-ვილა გარიყულა

ანა ქორძაია-სამადაშვილი

2004 წლის 2 სექტემბერს ვენეციაში მეცხრე საერთაშორისო არქიტექტურული ბიენალე გაიმართება. მისი დევიზი "მეტამორფოზაა". თავისთავად, ძალიან კარგი ამბავია, მაგრამ მომავალი წლის გამოფენა ჩვენთვის იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ მასზე არქიტექტურული პროექტი - არტ-ვილა, გარიყულას თანამედროვე ხელოვნების ცენტრის შემოქმედებასაც გააქვთ. ისინი ეცდებიან, ქართული კულტურისა და ქართული არქიტექტურის მეტამორფოზა წამოადგინონ.

ყარამან ქუთათელაძე, პროექტის ხელმძღვანელი, როგორც მოგეხსენებათ, მხატვარია, დიმიტრი მამაცაშვილი და ირაკლი ვაჩეიშვილი არქიტექტორები არიან, არჩილ თურმანიძე მხატვარი-დიზაინერია. არტ-ცენტრი, რომლის შექმნაც მათ აქვთ ჩაფიქრებული, დიდი და უაღრესად საინტერესო რამაა: ვილა გარიყულას გარშემო მრავალი სახელოსნო უნდა გაიხსნას – მხატვრებისთვის, მოქანდაკეებისთვის, კერამიკოსებისთვის. იქვე იქნება საგამოფენო დარბაზებიც - ბიბლიოთეკა, უფრო სწორად, რესურს-ცენტრი (გარიყულაში სადღეისოდაც არცთუ მწირი მასალაა დაცული), კინო და ფოტოლაბორატორიები, პატარა თეატრალური დარბაზიც კი – მოკლედ, მთელი ინფრასტრუქტურა, რომლის მიზანიც თავისუფალი შემოქმედებისთვის შემოქმედებითი გარემოს შექმნა იქნება.

ერთადერთი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც, გარიყულები ხელოვანებს არჩევენ, ხარისხი გახლავთ. მათთვის არასასურველი რამ მხოლოდ უგემოვნობაა, ე.წ. "პოპსა" – ის, რაც მუსიკაში, ჯანდაბას, დასაშვებია, ამ სფეროში წარმოუდგენელი უბედურებაა: ვიღაცა იმღერებს და მორჩება, სახლი კი დგას და დგას...

5 დეკემბერს ვენეციას შიდა ქართლის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ფონდის გენერალური მენეჯერი, ხელოვნებათმცოდნე თათა კვარიანი ეწვია. ის ვენეციის ბიენალეზე ჩვენი წარმომადგენელი გახლავთ და ამ შემთხვევაში ცოტა შესაშინებელი სახელი – კომისარი ჰქვია. მისი შემდგომი ვიზიტი მომავალი წლის 15 თებერვლისთვისაა დაგეგმილი, როცა მონაწილეები თავიანთ კონცეფციებს და მომავალი კატალოგისთვის მასალას წარადგენენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საელჩომ იტალიაში გარიყულას პროექტი მთლად რევოლუციის გარიჟრაჟზე წარადგინა. თათას მოგზაურობის ამბის მოსმენისას ვერაფრით მივხვდი, რა ერქვა იმას, რასაც ვგრძნობდი: ერთი მხრივ, ძალიან მიხაროდა, რომ ასეთი სიცოცხლისუნარიანი და ყოჩაღი ერის შვილი ვარ, მეორე მხრივ კი, ვერაფრით ავხსენი, თუ რატომ აცხადებენ ისინი, ვისაც, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, მართლაც, დიდი საქმისთვის ხელშეწყობა შეუძლიათ, რომ "ასეთ რაღაცებს ვერ ვიტან". რას გულისხმობთ, გეთაყვა, არქიტექტურას თუ ვენეციას? ამ ფონზე "კოკა-კოლასა" და "სამგორი-ალკოს" მიერ გაწეული დახმარება ერთიათად დასაფასებელია.

ვენეციის ბიენალეში მონაწილეობა ხომ, მართლაც, მნიშვნელოვანი რამაა. სხვა თუ არაფერი, პრესტიჟის საქმეა, როცა შემოქმედებით ბიოგრაფიაში გიწერია, რომ საერთაშორისო არქიტექტურულ გამოფენაში გაქვს მონაწილეობა მიღებული. ასეთი "სავიზიტო ბარათი" პროექტის წარმატების საწინდარიცაა – მის განხორციელებას დიდი ფული სჭირდება, ინვესტორს კი ნამდვილად არ დააკმაყოფილებს გარიყულების მთავარი თვისება – ხარისხი. ინვესტორი გარანტიებს მოითხოვს, და პატივს და დიდებასაც.

გარანტია ერთია: არტ-ვილა გარიყულა პირობას დებს, რომ არაჩვეულებრივ ხელოვნების ცენტრს შექმნის, რომლის ბადალიც ამიერკავკასიაში არ არსებობს; და ის, მხოლოდ ერთ-ორ მხატვარს კი არა, მთელ საქართველოს გამოადგება.

ილიკო ლაზარაშვილის ფოტოები

"ყველაზე ელიტური ჟანრის გადასარჩენად"

კამერული ანსამბლების კონკურსი დაიხურა

მადი სერებრიაკოვა

8-15 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში კამერული ანსამბლების სულხან ცინცაძის სახელობის კონკურსი იმართებოდა. გუშინ კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონკურსი საზეიმოდ დაიხურა. საქართველოს მუსიკალური საზოგადოების მიერ დაფუძნებული კონკურსი უკვე მეორედ გაიმართა. როგორც პირველი კონკურსი, ღონისძიება ამჯერადაც ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდებოდა. ფონდმა დააწესა სოლიდური ფულადი ჯილდოებიც, რომელიც გამარჯვებულ სტუდენტებს მათმა უფროსმა კოლეგებმა, ცნობილმა ქართველმა მუსიკოსებმა - ვაჟა აზარაშვილმა, ოთარ ჩუბინიშვილმა და მანანა ახმეტელმა გადასცეს.

კამერული ანსამბლის კონკურსი დუეტის, საფორტეპიანო ტრიოს და სიმებიანი კვარტეტის სპეციალობით ჩატარდა. კონკურსის ჟიურის გამოჩენილი ქართველი ჩელისტი, ამჟამად გერმანიაში მოღვაწე საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის წევრი, ოთარ ჩუბინიშვილი იყო. ცოტა ხნის წინათ ამ ჟანრის გადასარჩენად მან სიმფონიური მუსიკის ცენტრის ბაზაზე ახალი კვარტეტიც დააარსა, რომელმაც სწორედ კონკურსის გახსნის წინ კონცერტი და სულხან ცინცაძის უკანასკნელი კვარტეტის პრემიერაც გამართა. კონკურსზე ოთხი ადგილი იყო დაწესებული გამარჯვებულთათვის. ლაურეატებს 400-იდან 1500 ლარამდე პრიზები გადაეცათ.

გარდა ამისა, დაწესებული იყო სპეციალური პრიზები "საუკეთესო ანსამბლს არტისტიზმისთვის"; "ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისთვის" და "კლასიკური მუსიკის საუკეთესო შესრულებისთვის". სპეციალური პრიზებით აღინიშნა, ასევე, კონკურსგარეშე მონაწილეთა გამოსვლებიც; რაოდენობა საკმაოდ სოლიდური იყო – 29 მონაწილე. პირველი ადგილი საფორტეპიანო ტრიომ მოიპოვა თამარ ჩიტაძის, ნინო ახალკაცისა და ია ხარტონიშვილის შემადგენლობით. გარდა კონკურსის მიერ დაწესებული ჯილდოებისა, მათ კიდევ ერთი შანსი ესპანეთის მუსიკალურმა საზოგადოებამ მისცა - თუ ისინი წარადგენენ თავიანთ ჩანაწერს, მათ მადრიდში გამგზავრებასა და იქ პრესტიჟულ საერთაშორისო მასტერ-კლასში მონაწილეობას სთავაზობენ. უკმაყოფილონი არც დანარჩენი გამარჯვებულები დარჩნენ. **"ძალიან კმაყოფილი ვარ გამარჯვებით და მთლიანად კონკურსით. რაც მთავარია, ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე,"** – აღნიშნავს ერთ-ერთი გამარჯვებული ქრისტინე სუთიძე.

ოთარ ჩუბინიშვილი სტუდენტებს პრემიას გადასცემს

დეპარ სანიტაროვის ფოტო

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სპეციალური პრიზი, რომელიც კონკურსგარეშე მონაწილეთა დუეტმა (აკაკი ნიკოლაძემ და ალექსანდრე ვასაძემ) მიიღო ალბათ, მათი ასაკიდან გამომდინარე, ვასაძე და ნიკოლაძე მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა საახალწლო ნაძვის ხეზე მიიწვია რუსეთის დედაქალაქში.

კონკურსით მისი ორგანიზატორებიც კმაყოფილნი დარჩნენ. **"ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდა მონაწილეთა კონტიგენტი. ბევრად მაღალია მათი საშემსრულებლო დონეც,** - აღნიშნა მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარემ მანანა ახმეტელმა, **- გაფართოვდა გეოგრაფიული არეალი - ღონისძიებაში ჩაერთნენ ახალგაზრდა შემსრულებლები ქუთაისიდან, რუსთავიდან, მცხეთიდან.. მოგეხსენებათ, რომ კამერული ანსამბლის ჟანრი განსაკუთრებით ფაქიზი, ელიტური და ჩვენში მეტად არაპოპულარულია. ამიტომაც კონკურსის უპირველესი ამოცანაა ამ ჟანრის გადარჩენა და პროპაგანდა. მომავალი ფესტივალი უკვე საერთაშორისო გახდება. ასე რომ, ვფიქრობ, ჩვენ გავაღვიძეთ ინტერესი და წვლილი შევიტანეთ ამ ჟანრის განვითარებაში".**

კონკურსის ორგანიზატორები განსაკუთრებულად ამახვილებდნენ ყურადღებას ჩელოს სპეციალობაში შექმნილ კრიზისზე. როგორც კონსერვატორიის რექტორმა მანანა დოიჯაშვილმა აღნიშნა, ჩელისტების მხარდასაჭერად კონსერვატორიის უცხოელი მეგობრებიც იზრუნებენ. ცნობილმა ფრანგმა ჩელისტმა ჟერომ პერნომ, რომელიც კოსერვატორიაში კონცერტსა და მასტერკლასებს საახალწლო ფესტივალის ფარგლებში გამართავს, სპეციალური ფონდი დააარსა ქართველი ჩელისტების დასახმარებლად. **"ეს კონკურსი შეესატყვისება კონსერვატორიის ისეთ პრიორიტეტულ ამოცანას, როგორიცაა სიმებიან საკრავთა ჯგუფის წამოწევა,"** – აღნიშნა კონკურსის მისასალმებელ სიტყვაში რექტორმა.

კონკურსის ფარგლებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა. გამოიცა სულხან ცინცაძის თეორიული ნაშრომი "გაორკესტრების ტექნიკა" და მოეწყო პრეზენტაცია. დახურვის ცერემონიალზე მუსიკალური საზოგადოების წევრებმა, მადლიერების ნიშნად, წიგნის რამოდენიმე ეგზემპლარი კონსერვატორიის ბიბლიოთეკას გადასცეს.

მახსოვს მურმან ლებანიძე

ახალგაზრდული თეატრი ბიბლიოთეკაში

ნანა ბასილაშვილი

"ეს არ არის არც პოეზიის საღამო და არც სპექტაკლი – უბრალოდ, ჩანახატია - "მახსოვს მურმან ლებანიძე", - ახალგაზრდა რეჟისორმა კახა შარტავამ ახალი თეატრი არატრადიციული წარმოდგენით გააცნო საზოგადოებას.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო კოლეჯის ბიბლიოთეკაში გუშინ "ახალგაზრდულმა თეატრმა" თავისი პირველი წარმოდგენა გამართა. კოლეჯის დირექტორმა მზია აფრიდონიძემ საგანგებოდ მიწვეულ სტუმრებს კოლეჯის ბაზაზე დაარსებული თეატრი და მისი ახალგაზრდული დასი წარუდგინა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი კახა შარტავა და რეჟისორის ასისტენტი და ქორეოგრაფი თიკო ქოიავა, ძირითადად, მხოლოდ მადლობებით შემოიფარგლნენ და თავიანთი სათქმელი მიანდეს დასს, რომელიც ჯერჯერობით 6 მოსწავლისაგან შედგება. თუმცა, რეჟისორმა მოკლედ მაინც აგვიხსნა, თუ რატომ აირჩიეს მურმან ლებანიძე, - "დაახლოებით სამი წლის წინათ, მურმან ლებანიძეს ავტოგრაფი ვთხოვე და მან მიპასუხა, კიდევ ვახსოვარ ვინმესო?".

მარიამ ნადირაძე, სანდრო ლორთქიფანიძე, თამუნა მერაბიშვილი, ნათია სადღობელაშვილი, ილია მენაბდე და თამუნა თეტიაშვილი კოლეჯის მოსწავლეები არიან და ახლა "ახალგაზრდული თეატრის" დასში ირიცხებიან. პატარა მსახიობები თავიანთ როლებს ზედმიწევნით კარგად ასახიერებდნენ. შესაძლოა, იმიტომაც, რომ მათ არც დედიკოს და მამიკოს, არც ექიმის, პროფესორის, ან ძველი ბიჭის თამაში არ მოუწიათ (თუმცა, მათი პოტენციიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ამასაც არანაკლები წარმატებით გაართმევდნენ თავს). ისინი, დადგმული სცენარით, უბრალოდ, ლაღი, უწყინარი და საინტერესო ბავშვები იყვნენ, რომლებიც ბიბლიოთეკაში შეიპარებიან, სადაც არავინ არ არის (და დიდი ხნის განმავლობაში არც არვინ ყოფილა), ათვალიერებენ წიგნებს და ერთმანეთს მურმან ლებანიძის ლექსებით "ესაუბრებიან".

სცენა სპექტაკლიდან

მურმან ლებანიძისადმი მიძღვნილ საღამოს მისი შვილი და შვილიშვილები ესწრებოდნენ. "ნამდვილად არ მოველოდი იმას, რაც აქ ვნახე. ყოველივე ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დღევანდელ საქართველოში ხელოვნების უფრო სხვა მიმდინარეობა აინტერესებთ. ეს ყველაფერი არაჩვეულებრივი იყო", - აღნიშნა ზაზა ლებანიძემ.

"ჩვენი სურვილია, ყველა პოეტი "დავიპყროთ", - ასეთია პატარა მსახიობების ერთ-ერთი მიზანი. ეს, რასაკვირველია, რეჟისორის სურვილიცაა. დღეიდან ისინი ტერენტი გრანელის ცხოვრებასა და შემოქმედებას ჩაუღრმავდებიან. "ახალგაზრდული თეატრი" ტრადიციულ სპექტაკლებსაც წარმოადგენს. სამხატვრო ხელმძღვანელი პატარა მსახიობებთან სათამაშოდ პროფესიონალი კოლეგების მიწვევას აპირებს. ასე რომ, "ახალგაზრდული თეატრი", შესაძლოა, კოლეჯის დარბაზის გარდა, სხვადასხვა თეატრშიც იხილოთ.

შარაძის მორიგი ინტრიგა

სამიზნე - ქართული კულტურის მოღვაწეები

გურამ შარაძის პრესკონფერენციაზე არასდროს ვყოფილვარ. თუმცა, მასზე ბევრი რამ გამიგია, ისევე, როგორც - თქვენ; ბევრჯერ თავად ცნობილი ქართველი პარლამენტარისგან მეც ისეთები მომისმენია, თავიდან, როგორც იტყვიან, ყურს არ ვუჯერებდი, მოგვიანებით კი შევეჩვიე, ისევე, როგორც - დანარჩენი ქართული საზოგადოება. გუშინ კი გურამ შარაძის სატყუარას მსხვერპლი მეც აღმოვჩნდი - კერძოდ, მისი ხმაურიანად დასათაურებული პრესკონფერენციის – "კულტურის მოღვაწეების სკანდალური შეხვედრა ზურაბ ჟვანიასთან," გამო.

ვერა ნეფარიძე

გუშინწინ სასტუმრო "კოპალაში" გამართულ შეხვედრას მეც დავესწარი და, რამდენადაც მასში სკანდალური ვერაფერი შევნიშნე, ამიტომ გადავწყვიტე, გუშინ პარლამენტის ერთერთ დაბაზს (თუ არ ვცდები, პირველი რესპუბლიკური ჰქვია) ვწვეოდი. სიმართლე რომ ვთქვა, ოდნავი იმედი მქონდა, რომ სწორედ ამ დარბაზში "კოპალაში" მოწყობილი შეხვედრის ასეთი შეფასების (რაც პრესკონფერენციის სათაურშივე ჩანს) მცირეოდენ ხელჩასაჭიდს მოვისმენდი პრესკონფერენციის ინიციატორისგან, მაგრამ... მე, პირადად, გუშინ ვერაფერს მივხვდი და, იქნებ თქვენთვის უფრო გასაგები იყოს. შევეცდები პრესკონფერენციის ძირითადი თემები ქრონოლოგიურად დავალაგო. იმ თანმიმდევრობით, როგორც თავად ბატონმა გურამ შარაძემ ისურვა.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეებისა და საზღვარგარეთ არსებულ ფასეულობათა დაბრუნების დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე, როგორც უკვე აღვნიშნე, საკმაოდ "პუნქტუალურად" გამოეხმაურა ჩვენი რეჟისორების, ლიტერატორების, მუსიკოსებისა თუ კულტურის სხვა სფეროში მოღვაწეთა გარკვეული ნაწილის შეკრებას სასტუმრო "კოპალაში". თუმცა, ჩემი აზრით, საჩქაროც არაფერი იყო, როგორც წესი, გურამ შარაძის წამოჭრილი თემები ხომ ისედაც ყოველთვის აქტუალურია (ასე რომ არ იყოს, არც გურამ შარაძე იქნებოდა, ალბათ, დამოუკიდებელი საქართველოს მარადიული პარლამენტარი).

პარლამენტარმა პრესკონფერენცია მცირედი განცხადებით დაიწყო: "ზოგიერთი საუბრობს ჩემს რევანშისტულ განწყობილებაზე... მე ვიყავი პარლამენტის წევრი; ვარ პარლამენტის წევრი; ვიყავი კომისიის თავმჯდომარე და ვარ; ვიყავი აკადემიის წევრი და ვარ აკადემიკოსი". აქვე გურამ შარაძემ ჟურნალისტებს საქართველოს უახლეს ისტორიაში მცირედი ექსკურსიც შემოგვთავაზა – გაგვახსენა, როგორ დავამხეთ რამდენჯერმე ხელისუფლება და რომ უკანასკნელად ეს ნოემბერში მოხდა: "რა მაქვს სარევანშო და გასაბრაზებელი. "ჭკვიანად" რომ ვიყო, სხვებზე უფრო მეტად მიმესვლება ზურაბ ჟვანიასთან და მის გუნდთანაც მაქვს შეხება", - ხოლო, რაც შეეხება სხვა, უფრო პრაგმატულ მიზნებს: "გაიგეთ ხალხო, მე ეს არ მაინტერესებს". აქვე გურამ შარაძემ წინასწარ "გაგვაფრთხილა", რომ შეხვედრაზე გვარებს არ დაასახელებდა და საუბრის ობიექტებზე მხოლოდ მიგვანიშნებდა (ნამდვილად ჯობდა გვარებით საუბარი იმის მოსმენას, თუ როგორ მოიხსენიებოდნენ გუშინწინდელი შეხვედრის მონაწილე კულტურის სფეროს მოღვაწეები), მაგრამ, რას ვიზამთ, ასეთი იყო ცნობილი პარლამენტარის სურვილი; გვარებით საუბრის "ექსკლუზივს" კი, როგორც პრესკონფერენციაზევე გაამხილა, "ღამის კურიერისთვის" ინახავდა.

გურამ შარაძემ პრესკონფერენციის ძირითად თემაზე საუბარი "კოპალას" შეხვედრის მასპინძლებით - ფორაქიშვილებით, კონკრეტულად კი, ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენლით დაიწყო. ზურაბ ფორაქიშვილი გახდა პირველი პერსონა, რომლის დაკონკრეტებისგან გურამ შარაძეს თავი ნამდვილად არ შეუკავებია. "ზურაბ ფორაქიშვილი, ამ დარბაზის (საუბარია "კოპალაზე" – ვ.ნ) მასპინძელი, უნივერსიტეტის პროფესორი საეჭვო ვითარებაში მოხსნეს უნივერსიტეტის პრორექტორობიდან რამდენიმე ათეული წლის წინათ. იგი გახლდათ მეცნიერული ათეიზმის კათედრის გამგე", - გურამ შარაძემ ქრისტიანობის, როგორც რელიგიის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნის - "ნუ განიკითხავთ!" მიუხედავად, კარგა ხანს გააგრძელა ზურაბ ფორაქიშვილის შესახებ საუბარი, ეს კი იმისათვის დასჭირდა, რომ საზოგადოებისთვის ეცნობებინა, როგორი წარსულის მქონე ხალხი გამოვიდა "კოპალაში" კომუნისტური კულტურის წინააღმდეგ (ასეთი თემა "კოპალაში" შეხვედრაზე ნამდვილად არ განხილულა).

ამის შემდეგ პარლამენტარი გუშინწინდელი შეხვედრის სტუმრებსაც – ჩვენი საზოგადოებისთვის ძალიან ცნობილ და პატივსაცემ ხელოვანებს შეეხო. აქვე "შეამკო" ყველასათვის ცნობილი და საყვარელი პოეტი (რასაკვირველია, დაკონკრეტების გარეშე, რის გამოც, ჟურნალისტებს მკითხაობა მოუწიათ, თუ ვის გულისმობდა გურამ შარაძე, რადგანაც, ეპითეტები, რასაც გამომსვლელი არ იშურებდა, აბსოლუტურად არაფერს მეტყველებდა ამ ადამიანზე), რომლის საქვეყნოდ ცნობილი პოეტობაც კი ეჭვის ქვეშ დააყენა. ასევე, კარგა ხანს ისაუბრა მამა-შვილზე; "მხატვრმა მამამ ხომ აგვიკლო. მორცხვი პრორექტორი მორცხვად უთხრის ძირს სამხატვრო აკადემიის რექტორს", - პარლამენტარმა ასე "მიანიშნა" ჟურნალისტებს საუბრის მთავარ პერსონაზე, რომლის შვილსაც "ვარსკვლავბიჭუნა" უწოდა; არაბულად ("გაუკუღმართებულ" წერას გულისხმობდა უთუოდ) წერაში ადანაშაულებდა და იხსენებდა, როგორ შეურაცხყო ამ ახალგაზრდა მწერალმა ქართველი ერის საამაყო წარმომადგენლები. როგორც ჩანს, თემა, რომლის შესახებაც საზოგადოებამ აღარ ისურვა საუბარი, გურამ შარაძისთვის ისევ აქტუალურია. "ამ ადამიანებს წილები აქვთ ელიავას ბაზრობებსა და სამარშრუტო ტაქსებიდან", - ამ ნიშნით გააერთიანა პარლამენტარმა ისინი, ვინც ამჟამად (და, სავარაუდოა, კარგა ხნითაც) მისივე სამიზნეა. გურამ შარაძის ყურადღება კი მათ იმით დაიმსახურეს, რომ ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრისას რამდენიმე მათგანმა, მოსაზრების სახით, მართლაც, დააყენა კულტურის სამინისტროს გაუქმების საკითხი, რასაც შეხვედრის უმრავლესობა შეეწინააღმდეგა (მათ შორის, თავად ზურაბ ჟვანიაც). რაც შეეხება დანარჩენს – მწერალთა კავშირისა და მეცნიერებათა აკადემიის გაუქმებას, ზურაბ ჟვანიასთან კულტურის მოღვაწეებს ამაზე ნამდვილად არ უსაუბრიათ. ერთადერთი, ზურაბ კიკნაძემ წამოჭრა მწერალთა კავშირის საკითხი და ისიც იმის საპირისპიროდ, როგორც ამას მეორე დღეს გურამ შარაძე ამტკიცებდა. ასე რომ, ჩემთვის გაუგებარი დარჩა, გუშინდელი პრესკონფერენციის სახელწოდებიდან გამომდინარე, რატომ იყო გუშინწინდელი შეხვედრა სკანდალური - იმიტომ ხომ არა, რომ გარკვეული პაუზის შემდეგ გუშინდელი სატელევიზიო ეთერის მთავარი გმირი ისევ გურამ შარაძე ყოფილიყო?!

ილიკო ლაზარაშვილის ფოტოები

ტედ ტერნერი ბიზონზე

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

სიყმაწვილის გარიჟრაჟზე ლექსი წავიკითხე, რომელიც თავისი განუმეორებელი ლოგიკით ღრმად აღიბეჭდა ჩემს იმხანად ბავშვურად უბინო სულში. ლექსში ნათქვამი იყო, რომ ბიზონის შინ ყოლა ყოველგვარ აზრს მოკლებულია – ის მეტისმეტად უხეში და კუშტი ოთხფეხი ბრძანდება.

მართალია, ვერაფერს იტყვი!..

და აი, თითქმის, 70 წლის შემდეგ ეს გენიალური ლექსი კვლავ წამომიტივტივდა უკვე სრულიად არაბავშვური მეხსიერების სიღრმიდან. ბიძგი "ნიუ იორკ თაიმსის" ბიზნესის განყოფილებაში გამოქვეყნებულმა სტატიამ მომცა (სათაურით "ბიზონ-ბურგერები კაცობრიობის საკეთილდღეოდ").

რაზეა საუბარი?

სამი წლის წინათ ტედ ტერნერმა, რომელმაც კაცობრიობას სიენ-ენი აჩუქა, გადაწყვიტა, რომ კაცობრიობისთვისვე ბიზონებიც უნდა გადაერჩინა, რომლებსაც პრერიიდან წითელ წიგნში გადასვლის პირი უჩანდათ. ბიზონების გადარჩენის ოპერაცია არნახული წარმატებით დასრულდა, მაგრამ ახალი სირთულეებიც შეიქმნა – ბიზონები უზომოდ მომრავლდნენ. მათი ხორცი, რომელიც არც უხეშია და არც კუშტი, წარმოებაში ჩაუშვეს. ტერნერმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: მან რესტორნების ქსელის შექმნა დაიწყო და მათ "ტედის მონტანა გრილი უწოდა" (Ted's Montana Grill). ძირითადი კერძი, რომლითაც აქ გაგიმასპინძლდებიან, ბიზონის ხორცის ბურგერებია. ტერნერი ამბობს, რომ ბიზონებზე "მეორე დიდი ქონების" გაკეთებას აპირებს (პირველი ტელევიზიაზე შეიქმნა).

პირველი რესტორანი 2002 წელს გაიხსნა. ამჯერად შეერთებული შტატების სამხრეთსა და დასავლეთში ტედს უკვე თერთმეტი რესტორანი აქვს. ტერნერს ბიზნივით დიდი გეგმები აქვს. ის ამბობს: "მე ვხედავ დღეს, როცა რესტორნების რაოდენობა ხუთასს მიაღწევს, მათი ბაზარი კი – ერთ მილიარდ დოლარს" (ტერნერმა "თავის სახელობის" გრილი ჯორჯიას შტატში, ატლანტაში, თავის შტაბ-ბინის ლობიშიც გახსნა, რითაც დაამტკიცა, რომ ჰამბურგერის ფორმის ბიზონის შინ ყოლა მაინც ღირს).

ტერნერი კომივოიაჟორის ენთუზიაზმით უძღვება თავის ბიზნესს, ისევე, როგორც ოდესღაც 24-საათიანი სატელევიზიო ახალი ამბების იდეას უძღვებოდა, რომელიც ყველას სიგიჟედ მიაჩნდა. ის ატარებს ჰალსტუხებს, რომლებზეც ბიზონია გამოსახული, მაგრამ ტედის მათ მიმართ სიყვარული, ცხადია, უანგარო არაა. მან ბიზონები თავის ბიზნესში იმის იმედად ჩააბა, რომ ისინი მას ფინანსური დარტყმების ჭაობიდან ამოათრევენ. საქმე ისაა, რომ სამედიო კონგლომერატის, AOL Time Warner-ის აქციებს ჩაჭიდებულმა ტერნერმა რამდენიმე მილიარდი (!) დოლარი დაკარგა. ეს აქციები მან 1996 წელს Time Warner-ისთვის მიყიდული თავის კომპანიის, Turner Broadcasting-ისთვის მიიღო. ოთხი წლის შემდეგ ის Time Warner-ისა და American Online-ის შერწყმას დასთანხმდა. თავიდან ამ საინფორმაციო-გასართობმა ბიზონმა ტერნერს რვა მილიარდი დოლარი მოუტანა. მაგრამ, კრიზისის დროს ნიუ იორკის ბირჟაზე ამ "ბიზონისგან", თითქმის, არაფერი დარჩა. AOL Time Warner-ის აქციები 78,8 პროცენტით დაეცა. აღშფოთებულმა ტერნერმა, რომელიც თან კონცერნის მმართველობასაც ჩამოაცილეს, ამ წლის დასაწყისში მისი ვიცე-თავმჯდომარის თანამდებობაზე უარი განაცხადა, თუმცა დირექტორთა საბჭოში მაინც დარჩა ტროას ცხენის - ანუ ბიზონის სტატუსით. AOL Time Warner-ისთვის ნერვების მოსაშლელად მან თავისი ერთ-ერთი რესტორანი მისი შტაბ-ბინის გვერდით, მანჰეტენზე, კოლამბუს სერკლზე გახსნა.

AOL Time Warner-ის აქციების დაცემამ ტერნერს არამარტო ფინანსური, არამედ მორალური ზარალიც მიაყენა. საქმე ისაა, რომ ტედი დიდი ფილანტროპია, აქციების მოულოდნელმა გაუფასურებამ კი მისი საქველმოქმედო მოვალეობების შესრულებაც საეჭვო გახადა. ამჟამად ტედი არა რვა, არამედ "მხოლოდ" 2,3 მილიარდი დოლარი ღირს. მისი ქონება 600 მილიონ დოლარად ღირებული Time Warner-ის 40 მილიონი აქციისგან, მიწებისგან და ბიზონებისგან შედგება – 700 და 800 მილიონი ფასიან ქაღალდებში (დანარჩენი უძრავი ქონებაა). მაგრამ, უბედურება ისაა, რომ ფინანსური წარმატებების მწვერვალზე მყოფი ტერნერი გაერო-ს ერთ მილიარდ დოლარს დაჰპირდა (1997 წელს). ერთბაშად ასეთი მოცულობის გრანტი მთელს პლანეტაზე ჯერჯერობით ორ ადამიანს აქვს გაცემული – ტედ ტერნერს და ბილ გეიტსს. გეიტსმა ფინანსური კრიზისი უმნიშვნელო დანაკარგებით გაიარა, ტერნერს კი გაუჭირდა. მიუხედავად ამისა, ის თავისი სიტყვის ერთგულად რჩება. დაპირებული მილიარდიდან მან გაერო-ს უკვე 450 მილიონი დოლარი გადაუხადა. რაც შეეხება 550 მილიონს, ტერნერი მათ გადახდას Time Warner-ის აქციებით აპირებს – თითოეულის ფასი ამჟამად 15,39 დოლარია.

ტერნერი საკუთარ თავს "უცნაურ კაცს" უწოდებს, მაგრამ იქვე დაურთავს: "სიბერის ჟამს უცენტროდ დარჩენა არ მინდა". ეს, ცხადია, მეტისმეტი მოსდის. Time Warner-ის აქციები კვლავ ზემოთ იწევს. მისი 1,8 აკრი მიწის ფასიც იზრდება, ისევე, როგორც ბიზონების ფასი. ნეტა ჩვენც ასეთი გაჭირვებული სიბერე მოგვცა! სანამ ტერნერი ბიზონებზეა მომჯდარი, თავად ტერნერს ტეილორ გლოუვერი დაჯირითებს. ის ტერნერის მთავარი ფინანსური მრჩეველია, მკაცრად დისციპლინირებული. გლოუვერის ძალისხმევით, ტერნერის 14 რანჩო თვითანაზღაურებაზე გადავიდა

ტედ ტერნერი - დაუღალავი ოპტიმისტი

და შემოსავალიც კი მოაქვს. ასე, მაგალითად, ვერმეიხო პარკ-რანჩო ნიუ მეხიკოსა და კოლორადოში (ის ორი შტატის ტერიტორიას მოიცავს) მონადირეობითა და თევზჭერით წელიწადში 6,5 მილიონ დოლარს იძლევა!

ტედს გაერო-ს ფონდიც შეეშველა – მის მიერვე შექმნილმა ფონდმა დანაპირები თანხის გადახდის ვადა 10-დან 15 წლამდე გაზარდა. რატომ აირჩია ტერნერმა ქველმოქმედების ობიექტად მაინცდამაინც გაერო? "ნიუ იორკ თაიმსის" რეპორტიორებს მან ეს ასე აუხსნა: "გაერო ბავშვობიდან მიტაცებდა (ამჟამად ტერნერი 64 წლისაა – მ.ს.). მახსოვს, ვუყურებდი, ნიკიტა ხრუშჩოვი გაერო-ს ტრიბუნაზე ფეხსაცმელს რომ ურტყამდა, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ ასეც უნდა ყოფილიყო. და ძალიან კარგია, როცა ერთმანეთს უყვირიან ხოლმე – მაშინ ბომბებს აღარ ისვრიან". მაშ, ნიკიტა ხრუშჩოვმა, ისე, რომ თავადაც არ უწყოდა, გაერო-ს ერთი მილიარდი შეუგდო. "მე რაინდობა მიყვარს, - განაგრძობდა ტერნერი, - გაერო კი იდეალისტური რამაა. უწინაც შთამაგონებდა ისეთი რამეები, როგორიც მეფე არტურის რაინდთა მრგვალი მაგიდაა". აი, ეს მესმის, ტედ! გაეროს უშიშროების საბჭოს ნახევრად მრგვალი მაგიდა ისევე ჰგავს კამელოტს, როგორც ბაზრის მოვაჭრე ქალი – ჟანა დ`არკს...

ხრუშჩოვის ფეხსაცმლის გარდა, ტედი აშშ-ს კონგრესის პოლიტიკურმა სიძუნწემაც შთააგონა. კონგრესმენებმა, რომლებიც გაერო-ს ვერ იტანენ, შეგნებულად დაიდეს მისი ვალი – ერთი მილიარდი დოლარი. როცა ეს გაიგო, ტედმა რაღაცა თქვა, რაც ძალიან ჰგავდა სიტყვებს "სირცხვილი და თავის მოჭრა". მან ეს ასე განმარტა: "თუ ვალებს არ იხდი, შენს სახელს ქანთრის კლუბის კარზე დაკიდებენ". დედა-ამერიკის ასეთი სირცხვილისგან გადასარჩენად ტედმა ჯიბეზე ხელი გაიკრა და გადაწყვიტა, იქვე "გაეძრო" კონგრესის მიერ მითვისებული მილიარდი. მაგრამ, დედა-ამერიკაში ასეთ ფულს, თან ასე იოლად, მხოლოდ ბირჟაზე და კაზინოში ხარჯავენ.

კონგრესის ვალების გადახდის გადაწყვეტილება ტერნერს სპონტანურად მიუღია – გაერო-ში ამერიკული ასოციაციის სხდომის წინა დღეს. "ვნერვიულობდი. არაფერი მეთქმოდა, არადა, უამრავი ხალხი მოგროვდა, რომ ჩემთვის საპატიო ჯილდოს გადაცემას დასწრებოდა, - იხსენებს ის, - და, აი, ვფიქრობდი,

ბიზონი - შემოსავლის წყარო

"ტედის მონტანა გრილის" გახსნის ცერემონიალი

რა მეთქვა. იქნებ აშშ-სგან გაერო-ს ვალი მეყიდა?" ტერნერის საქციელმა სენსაცია გამოიწვია. ასე დაიბადა გაერო-ს ტერნერის ფონდი. ფული გარკვეული გრანტების სახით გაიცემოდა ისეთი პროექტებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, "ეკვატორული ინიციატივა" – ეკვატორზე განლაგებულ ქვეყნებში სიღატაკის დასაძლევად და მათი ბიოლოგიური და ეკოლოგიური სიმდიდრის შესანარჩუნებლად. ტერნერი ამბობს, რომ ამჯერად მისი აზრები სანახევროდ ფილანტროპიას დასტრიალებს. მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის უშუალოდაა ქველმოქმედებით დაკავებული. ამას მისი ხალხი აკეთებს. "მე ასხმაში მხოლოდ ერთი ბანანი ვარ", - ამბობს ტერნერი. ერთი ბანანი, მაგრამ როგორი!

ერთი მილიარდი დოლარიც არაა ურიგო. ამიტომ ტედი დროდადრო თავისი ხალხის ინსპექტირებას ახდენს. ასე იყო, როცა მათ ანგოლის მთავრობისა და "შევრონ ტეხსაკოს" ერთობლივი პროექტის დაფინანსება გადაწყვიტეს. ტერნერი გამხეცებული ბიზონივით დაეტაკა ამ პროექტს - გარემოს დაცვის ერთგული რაინდი ვერ იტანს ნავთობკომპანიებს, რომლებიც ისევე მოქმედებს მასზე, როგორც წითელი ალამი – ხარზე ანუ ბიზონზე.

რა დამოკიდებულება აქვს გაერო-ს ოდნავ შეფერთხილი ტედის მიმართ? მარკ ბრაუნი, გაერო-ს განვითარების ფონდის ადმინისტრატორი, ტერნერის დიდებული ჟესტის ხუთი წლისთავის აღსანიშნავ საუზმეზე იხსენებს: "დარბაზი მონუსხული იყო. ტედი - გულწრფელი, ვულგარული და სტრატეგიულად უზარმაზარი; აუდიტორია – სუნთქვაშეკრული და ტაქტიკურად ერთი ციდა. მაგრამ, ტედმა ის მოაჯადოვა და მონუსხა. ცხადია, ის თვლიდა, რომ ამ ინდივიდუუმის იდეები "ცოტა ვერ იყო", მაგრამ მან ამ ზრდილობიან ჩაის სუფრაზე ველური ბუნების ძალასავით ჩაიქროლა".

ისე, ატლანტელ ფინანსურ ბიზონს ზედმეტი ხომ არ მოუვიდა? გაერო-ს გარდა, მას სხვა მოვალეობებიც აქვს. 2001 წელს ტედი თავის მიერ შექმნილ, ე.წ. "ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ ინიციატივას" 250 მილიონ დოლარს დაჰპირდა – მისი მიზანი ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაა. მაგრამ, სწორედ მაშინ, როცა "ინიციატივას" ფული დასჭირდა, ტერნერის აქციებმა "დაყვინა" და "ინიციატივამ" მხოლოდ 70 მილიონი დოლარი მიიღო. ტერნერის სხვა ფილანტროპული წამოწყებაც დაზარალდა – ბუნების კონსერვაციის ოჯახური ფონდი. "ინიციატივის" შემთხვევაში ტერნერს "ფულის ტომარა 2"-მა (გეიტსის შემდეგ) უორენ ბაფეტმა უშველა. მიუხედავად იმისა, რომ ქველმოქმედება მხოლოდ "იმქვეყნიდან" (გარდაცვალების შემდეგ) ჰქონდა გადაწყვეტილი, ბაფეტმა "ინიციატივას" 15 მილიონი დოლარი გადასცა.

რატომ ერქვა "ნიუ იორკ თაიმსში" გამოქვეყნებულ სტატიას "ბიზონ-ბურგერები კაცობრიობის საკეთილდღეოდ?" ტედ ტერნერი თვლის, რომ ჩვენი პლანეტა ღრმა კრიზისში აღმოჩნდა, და ის მზადაა, მას დახმარების ხელი გაუწოდოს. მისი ფონდი ბამპერ-სტიკერებს (ავტომანქანაზე დასაკრავებს) ავრცელებს, რომლებზეც წერია: "უშველე ხალხს!" სწორედ ხალხის გადასარჩენად ტედი ბიზონებს ამრავლებს და მათზე კვლავ ფულს აკეთებს. უკვე გახსნილი "ტედის მონტანა გრილები" სათანადო ინტერერითაა დამშვენებული – ველური დასავლეთის ცხოვრების სცენებით და ტედის რანჩოს ფოტოსურათებით. "მონტანა გრილის" მენიუ ტერნერის პირადი შეფ-მზარეულის მიერაა შედგენილი. კერძებს მისი რეცეპტების მიხედვით ამზადებენ. ისევე, როგორც "სი ენ ენ"-ი გადმოსცემს უმაღლესი ხარისხის ინფორმაციას, მისი გრილებიც უმაღლესი ხარისხის საჭმელს იძლევა. ყოველ შემთხვევაში, თავად ტედ ტერნერს ასე მიაჩნია. "ტედის მონტანა გრილი" ეკოლოგიურად სუფთაა – ხელსახოცებით დაწყებული და ჩხირებით დამთავრებული. ეს უკანასკნელები ქაღალდისგანაა დამზადებული, რადგან პლასტიკის გადამუშავება ძალიან ძნელია.

დღეს თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ბიზონები ტედ ტერნერის გადაადგილების ძირითად საშუალებად იქცა, და არა მარტო გადატანითი - ფინანსური თვალსაზრისით. ამ საქმეში 30 მილიონი დოლარის ჩადების შემდეგ ის პირადად ესწრება ყოველი ახალი "მონტანა გრილის" გახსნას. კარში მდგომი ტედი მნახველებს ესალმება, ხელს ართმევს და ამბობს: "ჰაი! მე ტედ ტერნერი ვარ". რესტორნების სპეციალისტი კლარკ ვოლფის თქმით, ტედის გრილებს "წარმატების დიდი შანსი აქვს, რადგან რესტორნის საქმეში შოუმენების ხელოვნება ყველაზე მნიშვნელოვანია. ტედი მას შესანიშნავად ფლობს. თუმცა, ბიზონი მაინც ეგზოტიკური კერძია და ჩვენს კულტურაში ჯერ სავსებით არაა ინტეგრირებული, რაც რესტორნების ქსელის შექმნაში მაინც გარკვეულ სირთულეებს ქმნის".

თავად ტედი კი ბიზონზე უშიშრად შეჯდა. "სი ენ ენ"-ისა არავის ეჯერა, დღეს კი ის ინსტიტუციაა. ბიზონების საქმეც ასე იქნება – ასე თვლის დაუღალავი ოპტიმისტი, ტედ ტერნერი. მისი კლიენტურა კი ბიზონ-ბურგერების ღეჭვისას მხოლოდ ეგზოტიკას კი არ ეზიარება, არამედ კაცობრიობასაც გადაარჩენს ბიზონის ხორცის ყოველ ლუკმასთან ერთად.

როგორ შეიქმნა პრეზიდენტის პორტრეტი

უცნობი ფოტოების კიდევ ერთი დასტა

თამარ ბაბუაძე

"დღემდე გამოუქვეყნებელი ფოტოები" – ეს ის ფრაზა-სატყუარაა, რომელიც უთვალავი დამთვალიერებლით ავსებს ფოტოგალერეებს. უცნობი მიკ ჯაგერი, უცნობი მუჰამედ ალი, უცნობი ბობ დილანი და ბი.ბი. კინგი... ამ უნიკალური ექსპოზიციების შემდეგ ამერიკაში კიდევ ერთ გამოუქვეყნებელ ფოტო-არქივს უშვებენ. ამჯერად გამოფენისა და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ალბომის მთავარი გმირი ამერიკის უსაყვარლესი და ყველაზე ტრაგიკული პრეზიდენტი ჯონ ფიცჯერალდ კენედია. ფოტოების ავტორი კი ჟაკ ლოუი – ერთადერთი ფოტოგრაფი, რომელსაც კენედის ცხოვრების კულუარებში ახედებდნენ. ჟურნალი "თაიმი" ლოუის დღემდე უცნობ ფოტოებს პირველად აქვეყნებს. კენედის გარდაცვალების 40 წლისთავთან დაკავშირებით ეს ფოტოები ცალკე წიგნადაც გამოსცეს, სათაურით, "გახსოვდეს ჯეკი".

თავიდან ვერავინ ამჩნევდა 26 წლის, ახალბედა ფოტოგრაფის, ჟაკ ლოუისა და კენედის კლანის გულითად მეგობრობას. მაგრამ დაიწყო 1950-იანი წლების შუა ხანები და კენედი-ლოუვის ურთიერთობით ცოლ-ქმარი კენედების მითიც შეითხზა. სწორედ ამიტომ, "გახსოვდეს ჯეკი" კენედის ბიოგრაფიის ყველაზე სრულყოფილი ვიზუალური აღწერა გახლავთ.

ლოუვი კენედის ელიტარულ წრეში მანამ მოხვდა, სანამ თავად კენედი გახდებოდა საზოგადოების მთავარი სალაპარაკო თემა. ნახევრად ებრაელი ფოტოგრაფი გერმანიაში დაიბადა და სულ პატარა იყო, როცა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, დედასთან ერთად ნაცისტებს ემალებოდა. ომის დამთავრების შემდეგ ის ამერიკში ჩავიდა და ჟურნალ Life-ის ცნობილ ფოტოგრაფებთან ასისტენტად დაიწყო მუშაობა.

ბობი კენედიმ, რომელიც იმხანად სენატის ერთ-ერთი ქვეკომიტეტის თავმჯდომარე იყო, მალე შენიშნა ლოუვის ცოცხალი ფოტორეპორტაჟები სასამართლო პროცესებიდან და ახალბედა ფოტოგრაფი შინ მიიწვია, ოჯახის წევრების გადასაღებად. ეს სურათები მერე უფროს ჯოს, კენედების კლანის პატრიარქს, ჩაუვარდა ხელში და ისე მოეწონა, რომ ლოუვის თვითონ დაურეკა და თხოვა, ახლა მისი მეორე ვაჟი, ჯეკი გადაეღო.

თვითონ ფოტოგრაფს ჯეკი კენედის ფოტოების პირველი დასტა დიდად არ მოეწონა, თუმცა, აღტაცებულნი დარჩნენ თავად კენედი და მისი მეუღლე. რამდენიმე ხანში მათ ფოტოგრაფი თავიანთ ნიუ იორკულ ბინაშიც მიიწვიეს. 1958 წლის შემოდგომის საღამო იყო. კენედები და ახალგაზრდა ფოტოგრაფი ფეხმორთხმით პირდაპირ იატაკზე ისხდნენ, წინ ფირები ჰქონდათ გაშლილი, საარჩევნო კამპანიისა და საშობაო ბარათების კადრებს არჩევდნენ და თან ცოტ-ცოტას სვამდნენ კიდეც.

ლოუვი გაოცებული იყო, ისე თბილად მიიღეს ის კენედების სახლში. უკვე შუაღამე გადასული იყო, როცა ფოტოგრაფი შინ წავიდა. სულ ფრენა-ფრენით მიაბიჯებდა – კენედები ხომ მას კიდევ უფრო მეტ სამუშაოს დაჰპირდნენ.

ასე გახდა ლოუვი ერთადერთი ფოტოგრაფი, რომელსაც კენედების კულუარულ წრეში ახედებდნენ. მას დაუღალავად გადაჰქონდა ფირზე დაძაბული საარჩევნო დებატები, დემოკრატების ნაციონალურ კონვენციაზე კენედის კანდიდატად დასახელების მომენტი, ტრიუმფალური საარჩევნო კამპანია და თეთრ სახლში გატარებული პირველი თვეები. ფაქტობრივად, სწორედ ლოუვის

ჟაკლინ კენედი ლონდონში 1961 წელს

ობიექტივის გავლით შეიქმნა კენედის საზოგადოებრივი იმიჯი – პრეზიდენტი აჩეჩილი თმებითა და კეთილი ღიმილით და პირველი ლედი – ნაზი, ქალური მომხიბვლელობით.

თუმცა, ლოუვის ისევე, როგორც კენედებს, ფეხდაფეხ სდევნიდა ტრაგედია. თეთრ სახლში გადაბარგების შემდეგ კენედებს მსოფლიო პრესა მიაწყდა და ერთგულმა ფოტოგრაფმაც თავი მეორეხარისხოვან "პერსონაჟად" იგრძნო. ჯეკისა და ბობი კენედების მკვლელობის შემდეგ კი განადგურებულმა ლოუვიმ შტატები მიატოვა და პარიზში გაემგზავრა, სადაც თავისუფალ ფოტოგრაფად დაიწყო მუშაობა და წლების განმავლობაში მთელ ევროპაში დახეტიალობდა. თუმცა, ბოლოს ნიუ იორკს მაინც დაუბრუნდა და კენედების შესახებ ხუთი წიგნი გამოსცა.

თითქოს, ამით უნდა ამოწურულიყო კიდეც მისი უნიკალური არქივი, მაგრამ ხუთი გამოცემა მხოლოდ წყლის წვეთი აღმოჩნდა 40 ათასზე მეტი ნეგატივის ზღვაში – ლოუვი მათ გამოყენებას და ერთი დიდი, სრულყოფილი წიგნის გაკეთებას გეგმავდა. თუმცა, მისი გეგმა გეგმადვე დარჩა – ყველასგან მივიწყებული ფოტოგრაფი 2001 წელს გარდაიცვალა. ხუთი თვის თავზე

თვითმფრინავის ბორტზე: ჟაკლინი კერუაკის რომანს კითხულობს, ჯონი თევზის სუპს შეექცევა

1960 წელი. პრეზიდენტობის კანდიდატი კენედი ჟურნალისტს ინტერვიუს აძლევს

კი, 11 სექტემბრის ტერაქტების დროს ფერფლად და მტვრად იქცა ლოუვის მთელი არქივი, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ოფისში ინახებოდა.

შემდეგ უკვე საქმე ლოუვის შვილებმა, კოლეგებმა და მეგობრებმა გადაიბარეს. დაიწყო ფოტოების, ნეგატივების მოძიებისა და აღდგენის ხანგრძლივი და მომქანცველი პროცესი. საბოლოო ჯამში, სიუჟეტი შეიკრა; ლოუვის ობიექტივში გამოვლილი კენედის ამბავი დასრულდა და აღდგა.

ფოტოებზე ყველაფერია ნაჩვენები: მასაჩუსეტსის შტატის ახალდაქორწინებული სენატორი ჯორჯთაუნშის სახლშია და შვილს უვლის; აეროპორტში მარტო ზის და საოცრად მარტოსული ჩანს; ღამის გასათევად უცხო მოტელებში მიდის და ძალიან ცოტა ადამიანმა თუ იცის ირგვლივ, ვინ დგას მათ წინაშე; დასავლეთ ვირჯინიასა და ორეგონში საქმეები ცუდად მიდის და კენედიც იმედგაცრუებულია; შემდეგ კონვენცია იმართება და ტრიუმფის ხანა იწყება; ჯეკი ლინდონ ჯონსონს ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატურას სთავაზობს...

"თაიმის" ჟურნალისტის აზრით, ყველაზე შთამბეჭდავი ის ფოტოებია, რომლებიც ლოუვმა ქუჩებში კენედის მხარდამჭერებთან შეხვედრების დროს გადაიღო:

ხალხი სენატორს გარს ეხვევა, თბილად ხვდება და მხარდაჭერას აღუთქვამს. თუმცა, ზემოთ, მაღალსართულიანი სახლების ფანჯრებიდან, თეთრსაყელოიანი მამაკაცები დგანან და კენედის ბინძური ჟესტიკულაციით უწმაწურ სიტყვებს ანიშნებენ; კენედი კი მათ ყურადღებას არ აქცევს, თბილად იღიმება და მხარდამჭერებს შესცქერის – მან იცის, რომ ბრძოლა სწორედ ქვემოთ – ქუჩებში უნდა მოიგოს. იქ კი ისტორიის ფოტფორზე უკვდავსაყოფად მუდამ თან ახლავს ერთგული ფოტოგრაფი ჟაკ ლოუვი...

ფეხბურთი

ზიდანი რონალდოს გაუტოლდა

თავისი არჩევანი ჩივაძემაც გააკეთა

აკა ტონია

ყოველი წლის ბოლოს მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია FIFA მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გალა-საღამოს აწყობს და პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელს ასახელებს. 2003 წლის უძლიერესი მოთამაშე გუშინ შვეიცარიის ქალაქ ბაზელში დაასახელეს.

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს FIFA ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელებს შორის ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით გამოავლენს ხოლმე. წლევანდელ გამოკითხვაში 142 ქვეყნის ნაკრები გუნდის მწვრთნელმა მიიღო მონაწილეობა. შედეგების მიხედვით ყველაზე მეტი ქულა ტიერი ანრიმ, რონალდომ და ზინედინ ზიდანმა დააგროვეს. სწორედ ისინი იყვნენ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდოს პრეტენდენტები.

თუმცა, საუკეთესო ფეხბურთელის დასახელებამდე, FIFA-მ წლის საუკეთესო გუნდი დაასახელა. გამოვლინდა ასევე გუნდი, რომელმაც გასულ წელს ყველაზე დიდი პროგრესი განიცადა.

2003 წლის საუკეთესო გუნდად, როგორც მოსალოდნელი იყო, ბრაზილიის ნაკრები დაასახელეს. მოსალოდნელი კი იმიტომ იყო, რომ ამ პრიზით, ტრადიციულად, ის გუნდი ჯილდოვდება, რომელიც FIFA-ს რეიტინგში პირველ ადგილს იკავებს. ყველაზე დიდი პროგრესი კი ბაჰრეინის ნაკრებმა განიცადა და შესაბამისი პრიზით დაჯილდოვდა კიდეც.

FIFA-ს პრეზიდენტის სპეციალური ჯილდო ერაყის საფეხბურთო კავშირს გადაეცა. საღამოს ესწრებოდნენ ერაყის ფედერაციის პრეზიდენტი მოჰამედ ჰუსეინ საედი, მათი ნაკრების გერმანელი მწვრთნელი ბერნდ შტანგე და ეროვნული გუნდის კაპიტანი ნაჯი ჰუსამი.

ცხადია, შედგა Fair Play-ს ჯილდოს გადაცემაც. ამ პრიზით გლაზგოს "სელტიკის" გულშემატკივრები დაჯილდოვდნენ. FIFA-მ ხაზი გასწუა 2002/2003 წლების სეზონის UEFA-ს თასის ფინალში დაფიქსირებულ ფაქტს, როდესაც "სელტიკის" 35 ათასი გულშემატკივარი გაემგზავრა სევილიაში, "პორტოსთან" მატჩის სანახავად. საინტერესო კი ის გახლავთ, რომ გულშემატკივართა უმეტესობას მატჩზე დასასწრები ბილეთი არ ჰქონდა. თამაშის დროს "სელტიკის" ათასობით ქომაგი სევილიას ქუჩებში სეირნობდა. მათი მხრიდან იმ დღეს წესრიგის დარღვევის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა.

ამ პრიზების გადაცემის შემდეგ საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდების დროც დადგა. მანამ, სანამ FIFA პლანეტის უძლიერეს მამაკაც ფეხბურთელს დაასახელებდა, გამოვლინდა 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ქალი. პრეტენდენტები კი შარშანდელი გამარჯვებული, ამერიკელი მია ჰემი, შვედი ჰანა ლიუნგბერგი და გერმანელი ბირგიტ პრინცი იყვნენ. პლანეტის საუკეთესო ქალ ფეხბურთელად სწორედ ბირგიტ პრინცი დაასახელეს. გერმანიის ქალთა ნაკრების კაპიტანმა 268 ქულა მოაგროვა, რაც დიდად აღემატება მეორე ადგილზე გასული მია ჰემის მიერ დაგროვილ ქულების რაოდენობას (133 ქულა). ლიუნგბერგმა 88 ქულა მიიღო.

გალა-საღამო კულმინაციას მიუახლოვდა. სცენაზე ანრი, რონალდო და ზინედინ მიიპატიჟეს. ისევ გამოჩნდა FIFA-ს პრეზიდენტი ბლატერიც. რონალდო, რომელიც შარშან, მადრიდში პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, გუშინ მხოლოდ მესამე იყო. ტიერი ანრი, რომელიც პირველად მონაწილეობდა ამ ცერემონიალზე, მეორე ადგილზე გავიდა. საუკეთესო ფეხბურთელად კი, როგორც უკვე მიხვდით, ზინედინ ზიდანი აღიარეს.

მსოფლიოს ორი დიდი ფეხბურთელი: რონალდო და ზინედინ ზიდანი

საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ნახევარმცველი უკვე მესამედ დაასახელეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად, რითაც მან რონალდოს რეკორდი გაიმეორა. სწორედ რონალდო იყო აქამდე პირველი ფეხბურთელი, რომელიც სამჯერ ფლობდა FIFA-ს უმაღლეს ჯილდოს. აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის პრიზს მხოლოდ მადრიდის "რეალის" მოთამაშეები ეუფლებიან.

P.S. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრები ახლა უმწვრთნელოდაა, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის არჩევაში საქართველომ მაინც მიიღო მონაწილეობა. ჩვენი ნაკრების მწვრთნელის სახელით თავის რჩეულებს ალექსანდრე ჩივაძემ მისცა ხმა. პირველი ადგილი ზიდანს მიაკუთვნა, მეორე - პაველ ნედვედს, ხოლო მესამე - რუდ ვან ნისტელროის.

2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელი:

1. ზინედინ ზიდანი (საფ.)	264 ქულა
2. ტიერი ანრი (საფ.)	186 ქულა
3. რონალდო (ბრაზ.)	176 ქულა

2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ქალი:

1. ბირგიტ პრინცი (გერ.)	268 ქულა
2. მია ჰემი (აშშ)	133 ქულა
3. ჰანა ლიუნგბერგი (შვედ.)	88 ქულა

2003 წლის საუკეთესო გუნდი:

ბრაზილიის ნაკრები

2003 წლის ყველაზე პროგრესირებადი გუნდი:

ბაჰრეინის ნაკრები

FIFA-ს პრეზიდენტის ჯილდო:

ერაყის საფეხბურთო კავშირი

Fair Play-ს პრიზი:

გლაზგოს "სელტიკის" გულშემატკივრები

"ოქროს ბურთს" პაველ ნედვედს გადასცემენ

აკა ტონია

ყოველი წლის ბოლოს FIFA მართავს ტრადიციულ გალა-საღამოს და სეზონის საუკეთესო ფეხბურთელს ასახელებს. საუკეთესოთა გამოვლენით ბევრი საფეხბურთო გამოცემაც არის დაკავებული. მსოფლიოსა თუ ცალკეული კონტინენტების უძლიერეს მოთამაშეებს პრესაც ასახელებს. სულ რამდენიმე დღის წინათ საუკეთესოთა ვარიანტი ინგლისურმა "World Soccer"-მაც გამოქვეყნა. ერთ კვირაში კი ცნობილი ფრანგული ჟურნალი "France Football"-ი ევროპაში მოთამაშე 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელს დაასახელებს. "France Football"-ის ვერსია სპორტულ ჟურნალისტებს შორის ჩატარებულ გამოკითხვას ეფუძნება და FIFA-ს მიერ გამოვლენილი პლანეტის საუკეთესო მოთამაშის პრიზის შემდეგ ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოდ მიიჩნევა. მიზეზი ის გახლავთ, რომ "France Football"-ის მიერ საუკეთესოდ დასახელებული ფეხბურთელი "ოქროს ბურთით" ჯილდოვდება. "ოქროს ბურთი" კი FIFA-ს ჯილდოს ერთგვარი, "ევროპული" ალტერნატივაა.

პლანეტის საუკეთესო მოთამაშის ვინაობა გუშინ გაირკვა, "France Football"-ის გამოკითხვის გამარჯვებული კი, როგორც ვთქვით, ერთ კვირაში დასახელდება. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა, ისევე როგორც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელისა, დათქმულ დრომდე ყოველთვის მკაცრად არის გასაიდუმლოებული, "ოქროს ბურთის" მომავალი მფლობელი უკვე ცნობილია.

პაველ ნედვედი - "France Football"-ის რჩეული

იტალიურმა გაზეთმა "Tuttosport"-მა საფრანგეთიდან "გამოყონილ" ინფორმაციაზე დაყრდნობით "France Football"-ის ნომინაციის გამარჯვებული გაამხილა. 2003 წლის სეზონის "ოქროს ბურთის" მფლობელი ტურინის "იუვენტუსის" ჩეხი ნახევარმცველი პაველ ნედვედი გახდება. "Tuttosport"-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ რამდენიმე დღის წინათ "იუვენტუსის" მწვრთნელს, მარჩელო ლიპის წამოსცდა: "ნედვედმა დამსახურებულად მოიპოვა "ოქროს ბურთი".

პრესტიჟული ჯილდოს პრეტენდენტთა სიაში 50 ფეხბურთელი სახელდებოდა. მათ შორის ყველაზე მეტი წარმომადგენელი საფრანგეთს და იტალიას ჰყავდათ (9-9 ფეხბურთელი). ბრაზილია 5 ფეხბურთელით იყო წარმოდგენილი, ხოლო ინგლისი – ოთხით. კლუბებს შორის "ოქროს ბურთის" პრეტენდენტებიდან ყველაზე მეტი მადრიდის "რეალის" წევრი იყო – 8 ფეხბურთელი. "იუვენტუსს" 6 ფეხბურთელი წარმოადგენდა, "არსენალს" – 5.

"მსურველთა" სიუხვის მიუხედავად, ჟურნალისტების აზრით, "ოქროს ბურთის" უმთავრესი პრეტენდენტები პაველ ნედვედი და უკრაინელი ანდრეი შევჩენკო იყვნენ.

შევჩენკოს მთავარი კოზირი "მილანთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება იყო. "იუვენტუსის" წინააღმდეგ ფინალურ მატჩში შევჩენკომ ჩინებულად ითამაშა, გოლიც გაიტანა, რომელიც მსაჯმა ოფსაიდში არ ჩათვალა, პენალტების სერიაში კი ბოლო, გადამწყვეტი დარტყმა შეასრულა. იმ მატჩის შემდეგ თითქმის აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ "ოქროს ბურთს" სწორედ შევჩენკო მოიპოვებდა, თუმცა, მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი შევჩენკომ არცთუ ისე დამაჯერებლად ჩაატარა, მაშინ როდესაც ნედვედი სტაბილურად თამაშობს უმაღლეს დონეზე.

შესაძლოა, "ოქროს ბურთის" გამარჯვებულის დასახელებისას ორიოდე დღის წინათ გამართულ "საკონტინენტთაშორისო" თასის მატჩს ეთამაშა თავისი როლი. მაგრამ "მილანმა" "ბოკა ხუნიორსთან" წააგო, შევჩენკომ კი იმ მატჩში გოლი ვერ გაიტანა.

ასეა თუ ისე, "ოქროს ბურთს" პაველ ნედვედს გადასცემენ, თუ, რასაკვირველია, "Tuttosport"-ი და მარჩელო ლიპი არ გვატყუებენ...

პაოლო მალდინი: "უკვე მეექვსე ფინალზე ვფიქრობ"

როგორ გაუშვა ხელიდან "მილანმა" ისტორიული შანსი



კარლოს ბიანკიმ მესამე ტიტული მოიგო

ნინო პირველი

2003 წლის 14 დეკემბერი. იოკოჰამა. "მილანის" პრესკონფერენცია. იტალიელთა მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი თავდაჯერებულად გამოიყურება არგენტინულ "ბოკა ხუნიორსთან" შეხვედრის წინ. იტალიელები მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობენ. არც არის გასაკვირი: "მილანს" ინტერკონტინენტალური თასი უკვე სამჯერ აქვს მოგებული. თუ ბერლუსკონის კლუბი ამჯერადაც გაიმარჯვებს, ისტორიაში შევა როგორც პირველი გუნდი, ვინც ეს ჯილდო ოთხჯერ მოიპოვა. "სეზონის განმავლობაში ჩვენ შესანიშნავი ტორტი გამოვაცხეთ. ახლა კი დროა, ამ ჩვენს ტორტს შუაგულში ულამაზესი სანთელი დავადგათ", - ასე მხატვრულად აღწერა კარლო ანჩელოტიმ "მილანისთვის" ინტერკონტინენტალური თასის მნიშვნელობა.

არც "ბოკა ხუნიორსისთვის" იყო უმნიშვნელო ტოიოტას პრიზი. ბუენოსაირესელებს მესამედ ეძლეოდათ თასის მოგების შესაძლებლობა. ამას გარდა, მათ შურისძიებაც სურდათ ევროპელებზე 2001 წლის ფინალში მიუნხენის "ბაიერნთან" განცდილი მარცხის გამო. არც სამხრეთ ამერიკის კონტინენტის უპირატესობის გაზრდა იქნებოდა ცუდი: აქამდე ხომ შეფარდება 21:20-ზე იყო. მოკლედ, მოტივაცია არგენტინელებსაც ჰქონდათ, თანაც, საკმაოდ დიდი.

დაიწყო მატჩი და აშკარა გახდა, რომ ეს შეხვედრაც ისეთივე მძიმე და დრამატული იქნებოდა, როგორც ყველა სხვა დიდი ტურნირის ფინალი. ანჩელოტიმ უცნაური შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე: ძირითად შემადგენლობაში არ იყო ფილიპო ინძაგი, "სკუადრა აძურას" თავდამსხმელს მილანელთა ხელმძღვანელმა ამჯობინა ბრაზილიელი კაკა, რომელსაც უკრაინელი ანდრეი შევჩენკო და დანიელი იონ დალ ტომასონი უმაგრებდნენ ზურგს. "მილანის" დაცვის საშუალო ასაკი 34 წელი იყო: მალდინი, კაფუ, კოსტრაკურტა, პანკარო... ალესანდრო ნესტა შეცვლაზეც კი არ შეუშვა ანჩელოტიმ. პირველი გოლი მატჩის 24-ზე წუთზე მილანელებმა გაიტანეს. პირლოს და შევჩენკოს თავგამოდება იონ დალ ტომასონის ზუსტი დარტყმით დასრულდა. "მილანი" ეიფორიამ მოიცვა, მაგრამ თურმე სულ ტყუილად. ანგარიშის გახსნიდან ოთხი წუთი ძლივს იქნებოდა გასული, როცა "მილანის" ხანდაზმული დაცვა აირ-დაირია, იტალიელთა ბრწილიელი მეკარე დიდი წინდაუხედავად გამოვიდა კარიდან, რითაც მშვენივრად ისარგებლა მატიას დონეტმა. რაკი "ბოკამ" ასე სწრაფად შეძლო წონასწორობის აღდგენა, "მილანი" დაფრთხა და საკუთარ თავში ჩაიკეტა. არგენტინელები კი პირიქით, კიდევ უფრო გააქტიურდნენ, თუმცა, მეტი გოლი ვეღარ გაიტანეს. ასე უგოლოდ მიიწურა პირველი ტაიმი, მერე მეორეც, მერე დამატებითი დროც... თამაში უკვე მოსაწყენი გახდა. მაყურებელი ცოტათი გამოცოცხლდა მეორე დამატებითი ტაიმის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე, როცა შეცვლაზე შესულმა ფილიპო ინძაგიმ თავით აიღო "ბოკას" კარი, მაგრამ "მილანის" სამი ფეხბურთელი თამაშგარეშე იყო და მატჩის რუსმა არბიტრმა ვალენტინ ივანოვმა გოლი არ ჩათვალა. ინძაგის ძალიანაც ეწყინა, "ოქროს გოლი" რომ გაუქვითეს, მაგრამ რა გაეწყობოდა. მერე დადგა პენალტების დრო და აქ "მილანს" უკვე აღარ გაუმართლა, ჩემპიონთა ლიგის ფინალისგან განსხვავებით, როცა მილანელებმა ტურინის "იუვენტუსს" ლიგის თასი ცხვირწინ აართვეს. პირველი დარტყმა ანდრეა პირლომ შეასრულა და "ბოკას" გულშემატკივრებმა სიხარულის ყიჟინა დასცეს: პირლომ უზუსტოდ დაარტყა. ცუდ დასაწყისს კიდევ უფრო ცუდი გაგრძელება მოჰყვა - რუი კოშტამ მშვიდად გაიტანა გოლი, მაგრამ "მილანს" ამან ვერ უშველა. პირლოს მსგავსად, შეცდა კლარენს ზეედორფიც, რომელსაც არაფრით არ უნდოდა პენალტის დარტყმა, მერე კი ალესანდრო კოსტაკურტამაც შესცოდა. ბოლო პენალტი ანდრეი შევჩენკოს უნდა დაერტყა, მაგრამ საქმე აქამდე აღარ მისულა. არგენტინელებმა სამი დარტყმა ზუსტად შეასრულეს, ჩემპიონთა ლიგის ფინალის გმირმა, "მილანის" ბრაზილიელმა მეკარე დიდამ მარტო ერთი პენალტის მოგერიება შეძლო და "ბოკა" მესამედ გახდა საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი.

მატჩის შემდეგ უსაზღვრო იყო არგენტინელთა სიხარული და იტალიელთა იმედგაცრუება. "ბოკას" ხელმძღვანელი კარლოს ბიანკი ბედნიერი ჩანდა. ხუმრობა ხომ არ არის, ის ერთადერთი მწვრთნელი გახდა, ვისაც ეს თასი სამჯერ აქვს მოპოვებული. ბუენოს აირესში დიდი ზეიმი დაიწყო, მილანში კი იმედგაცრუებას ვერავინ მალავდა. "მეტად რთული მატჩი იყო. ჩვენთვის ძალიან კარგად დაიწყო, ტომასონმა ანგარიში გახსნა, მაგრამ მერე მოვლენები უცნაურად განვითარდა. ისინი საოცრად სწრაფად და თავდაჯერებულად თამაშობდნენ, ჩვენ კი, ცოტა არ იყოს, ვფრთხილობდით. სულ ცოტაღა დაგვაკლდა ოცნების ასრულებამდე. მინდა, მადლობა გადავუხადო ფეხბურთელებს, აქამდე რომ მოვიდნენ. ახლა ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ და მომავალ წელს ისევ შევძლოთ იაპონიაში ჩასვლა", - საუბრობდა კარლო ანჩელოტი. "ნამდვილად გამიმართლა, რომ მეხუთედ ვითამაშე ინტერკონტინენტალური თასის მოსაპოვებლად. იმედი მაქვს, ამას მეექვსედაც შევძლებ. დღეს ისე კარგად ვერ ვითამაშეთ, როგორც საჭირო იყო. არა უშავს, კიდევ მოგვეცემა ამ თასის მოგების შანსი", - სიტუაციის განტვირთვა სცადა პაოლო მალდინიმ. ანდრეი შევჩენკომ კი ოლიმპიური სიმშვიდით დასძინა: ფეხბურთი ასეთია, ხან მოიგებ, ხან წააგებ. რა გაეწყობა, მარცხს უნდა შეეურიგდეთ და თასის მოგება მომავალი წლისთვის გადავდოთო.

ვნახოთ, ერთი წლის შემდეგ თუ შეძლებს ევროპა სამხრეთამერიკელებისთვის ანგარიშის გათანაბრებას.

გეპატიჟებათ „ლაგუნა ვერაზე“

ინფოთეკა

ჩოგბურთი. ცნობილმა ჩოგბურთელმა პარადორნ შრიჩაპხანმა გადაწყვიტა, მშობლიური ტაილანდი შემოიაროს. ის ქვეყნის ოთხ ქალაქში საჩვენებელ მატჩებს გამართავს. გუშინ ბანგკოკში დასრულდა პირველი საჩვენებელი მატჩი. შრიჩაპხანი დამარცხდა ამერიკელ ტეილორ დენტთან – 4:6, 6:7.

■ ■ ■

ჩოგბურთი. არპ-ის ოფიციალური საიტის ვერსიით, მომავალ წელს მსოფლიოს პირველ ჩოგნად გახდომის ყველაზე რეალური შანსი შვეიცარიელ როჟე ფედერერსა და რუს მარატ საფინს აქვთ.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ამერიკელმა სერენა უილიამსმა ხელი მოაწერა სპონსორულ შეთანხმებას ფირმა Nike-სთან, რომლის ღირებულება 40 მილიონი დოლარია. ამით სერენას მიეცა შანსი, მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული სპორტსმენი გახდეს. შეთანხმება ხუთ წელიწადზეა ნაგულისხმევი. მხარეთა დაინტერესების შემთხვევაში, კონტრაქტი კიდევ სამი წლით გაგრძელდება.

■ ■ ■

რაგბი. BBC-ის ვერსიით, ინგლისის მორაგბეთა ნაკრების ლიდერი ჯონი უილკინსონი, რომელიც მორაგბეთა მსოფლიო პირველობის გმირი გახდა, ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. გამოკითხვის მიხედვით, უილკინსონმა თანაგუნდელ მარტინ ჯონსონს და მძლეოსან პოლ რედკლიფს აჯობა. უილკინსონი მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მან 77 ქულა მოაგროვა. საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაში კი მორაგბეთა ნაკრების თავკაცმა კლაივ ვუდვორდმა გაიმარჯვა. მას საპატიო ჯილდო ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა გადასცა. საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენის პრიზი მოცურავე კეით ჰეივუდს გადაეცა, ხოლო საუკეთესო უცხოელ სპორტსმენად, ყველაზე პრესტიჟული ველორბოლის "ტურ დე ფრანსის" 5-გზის გამარჯვებული ამერიკელი ლენს არმსტრონგი აღიარეს.

■ ■ ■

ფორმულა 1. BusinessF1-ის ცნობით, უახლოეს პერიოდში ფორმულა 1-ის ყველაზე ძვირადღირებული პილოტი შეიძლება გახდეს 2003 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ფინელი კიმი რაიკონენი. ამჟამად "მაკლარენის" ფინელი პილოტი წელიწადში დაახლოებით 8 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. 2006 წლისთვის კი მისი ხელფასი 70 მილიონამდე გაიზრდება. ამასთან, ფორმულა 1-ში 5-წლიანი მოღვაწეობის ჯამური პროცენტი 134 მილიონ დოლარს შეადგენს. ამჟამად ყველაზე ძვირადღირებული პილოტის სტატუსს გერმანელი მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერი ატარებს. მისი ხელფასი წელიწადში 35 მილიონი დოლარია. რალფ შუმახერი 12 მილიონს გამოიმუშავებს. ხუან-პაბლო მონტოია, დევიდ კულტჰარდი, რუბენს ბარიკელო – 5-დან 8 მილიონამდე. ბოლო დრომდე, რამდენიმე წლის განმავლობაში, მეორე საფეხურზე ჟაკ ვილნევი იყო. 5 წლის განმავლობაში 1997 წლის მსოფლიო ჩემპიონი "ბარში" დაახლოებით 15 მილიონ დოლარს გამოიმუშავებდა.

■ ■ ■

მძლეოსნობა. კენიის მძლეოსნობის ფედერაცია აპირებს, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში სარჩელი შეიტანოს ქვეყნის ორ მორბენალზე, რომლებმაც წინა კვირას გამართულ სამხედრო თამაშებში მიიღეს მონაწილეობა. აბელ ჩერუიოტმა გაიმარჯვა 3 კილომეტრზე ბარიერებით, ხოლო ლეონარდ მუშირუმ ვერ შეძლო 5 000 მეტრ დისტანციაზე მედლისთვის ბრძოლა. მთელი ამ დავიდარაბის პიკანტურობა კი ის არის, რომ ორივე სპორტსმენი ბახრეინის სახელით გამოვიდა. კენიის მძლეოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დევიდ ოკეიომ განაცხადა: სპორტსმენებმა ვერ გაიარეს ყველა საჭირო ფორმალობა იმისთვის, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქედ იწოდებოდნენ.

■ ■ ■

მძლეოსნობა. ჰავაის შტატის ქალაქ ჰონოლულუში გაიმართა მარათონული რბოლა. შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდნენ იაპონელი და რუსი მორბენლები. 42 კილომეტრ და 195 მეტრ დისტანციაზე გაიმარჯვა იაპონელმა ერი ჰაიაკავემ. გამარჯვებულს 2 წუთით ჩამორჩა რუსი ალევტინა ივანოვა. მესამე კი ივანოვას თანამემამულე ოლგა რომანოვა იყო.

■ ■ ■

ოლიმპიზმი. დაახლოებით 750 მილიონი დოლარი დაიხარჯება ათენის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებისთვის. ოლიმპიურ ობიექტებზე შეღწევის შესაძლებლობა თამაშების დაწყებამდე 45 დღით ადრე შეიზღუდება. საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გავრცელებულ გუშინდელ განცხადებაში ნათქვამია, რომ შეზღუდვა ტერორისტების შემოტევებისგან თავდაცვის მიზნით იქნება შემოღებული. ამ ვადაში შეამოწმებენ ყველა ობიექტს, სპეცსამსახურებისა და თავდაცვის ყველა სისტემის მზადყოფნას. ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებას დაიცავს 10 000 სამხედრო, 40 000 პოლიციელი და რადიაციული და ქიმიური დაცვის 200 სპეციალისტი. მათი მომზადებისთვის საბერძნეთის მთავრობამ ქვეყანაში ამერიკელი და ისრაელის სპეციალისტები მიიწვია. ათენის ოლიმპიური თამაშები 2004 წლის 13 აგვისტოს გაიხსნება.

ხელბურთი

ფრანგი ქალები საუკეთესონი არიან მსოფლიოში

საფრანგეთის ქალთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონია ხელბურთში. ზაგრებში გამართულ ფინალურ მატჩში საფრანგეთის ნაკრებმა დამატებით დროში – 32:29 დაამარცხა უნგრეთის ძლიერი გუნდი.

ფინალში ნამდვილი დრამა გათამაშდა. მატჩამდე უდავო ფავორიტად უნგრეთის გუნდი იყო მიჩნეული. მთელი ჩემპიონატის განმავლობაში უნგრელები, მართლაც, შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ და გულწრფელად ახარებდნენ თავის მრავალრიცხოვან ქომაგებს, რომლებიც რიცხობრივად მხოლოდ ხორვატებს თუ ჩამოუვარდებოდნენ. სპეციალისტთა აზრით, უნგრეთის ნაკრები ყველაზე უფრო დაბალანსებული გუნდი იყო მსოფლიო პირველობაზე და ყველა რგოლში უმაღლესი კლასის შემსრულებლები ჰყავს.

57-ე წუთამდე ეჭვიც არავის შეჰპარვია, რომ უნგრეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა. 53-ე წუთისთვის ანგარიში, უბრალოდ, გამანადგურებელი იყო უნგრელთა სასარგებლოდ – 25:18. შესანიშნავად თამაშობდა ამდიარების მეკარე პალინგერი. თავდასხმაში კი გამოირჩეოდა ბოიანა რადულოვიჩი.

თუმცა, ფრანგებმა ნამდვილი სასწაული მოახდინეს. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ფრანგთა მწვრთნელმა, რომელიც შემადგენლობით მთელი მატჩის განმავლობაში ვარირებდა, როგორც ჩანს, ოპტიმალურ შემადგენლობას მიაგნო. ამ დროისთვის ფრანგებმა ფსიქოლოგიური სტრესი უკვე მოიშორეს. მათ აღარ ეშინოდათ მეტოქის და შეტევაზე მხნედ გადადიოდნენ. უნგრელებმა კი, რომლებიც უკვე გამარჯვებას ზეიმობდნენ, საკუთარ თავში ვერ მოძებნეს ძალა, რომ თამაში ისევ თავის სასარგებლოდ შემოეტრიალებინათ.

საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონია!

თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე უნგრეთის ნაკრები სამი ბურთის სხვაობით იგებდა. მატჩის დასრულებამდე 5 წამით ადრე კი უხეში თამაშისთვის მსაჯმა აღმოსავლეთევროპელთა კარში სრულიად სამართლიანი 7-მეტრიანი ჯარიმა დანიშნა, რამაც ფრანგ ლეილა ლეჟენს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა – 28:28. დაინიშნა დამატებითი დრო, რაც იმით აღინიშნა, რომ მოედანზე მხოლოდ საფრანგეთის ნაკრები თამაშობდა.

დამატებითი დროის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე საფრანგეთის ნაკრები სამი ბურთით დაწინაურდა. უნგრელები უკვე კი არ თამაშობდნენ, არამედ საკუთარ გულშემატკივრებთან ერთად ტიროდნენ. ცრემლები გადმოყარეს ფრანგებმაც, მაგრამ ეს სიხარულის ცრემლები იყო - ფრანგებმა ზაგრებული სასწაული ჩაიდინეს და მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ.

ბრინჯაოს მედლები ერგო სამხრეთ კორეის გუნდს, რომელმაც უკრაინის ნაკრები – 31:29 დაამარცხა. ამრიგად, ჩემპიონატის ხუთი საუკეთესო გუნდი – საფრანგეთი, უნგრეთი, სამხრეთ კორეა, უკრაინა და ესპანეთი – ათენის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. მათ დაემატებათ საბერძნეთი (ტურნირის მასპინძელი), ჩინეთი (აზიის ჩემპიონი), ანგოლა (აფრიკის ჩემპიონი), დანია (ევროპის ჩემპიონი) და ბრაზილია (პანამერიკული თამაშების გამარჯვებული).

კალათბურთი

ჯაზმენებს ახალი ლიდერი ჰყავთ

სანდრო ნავერიანი

ანდრეი კირილენკომ და "იუტა ჯაზმა" ფილადელფიელთა რიგებში ალენ აივერსონის არყოფნით ისარგებლეს და რეგულარულ ჩემპიონატში მე-13 გამარჯვება მოიპოვეს. ანდრეი კირილენკომ, თავის მხრივ, საუკეთესო მატჩი ჩაატარა ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში - მან რეკორდი დაამყარა. აქამდე მისი რეკორდი 25 ქულა იყო, ახლა კი, რაც მათ ფილადელფია დაამარცხეს, კირილენკოს პირადი რეკორდების წიგნში 30 ქულა ჩაიწერა. მან ასევე 14 მოხსნა, 3 შედეგიანი გადაცემა და 4 ბლოქშოტი გააკეთა. კირილენკო დიდი ხნის განმავლობაში მიდიოდა ამ მიღწევამდე, რაც დაიმსახურა კიდეც. მელოუნისა და სტოქტონის წასვლის შემდეგ კირილენკო თავისი გუნდის უდავო ლიდერი გახდა. "ფილადელფია სევენთისიქსერზის" რიგებში, როგორც უკვე ვთქვი, არ თამაშობდა ალენ აივერსონი. მას მუხლის ტრავმა აქვს და კიდევ რამდენიმე მატჩს გამოტოვებს. აივერსონის გარეშე ფილადელფიური გუნდი თითქმის არაფრის მაქნისია. აივერსონი გუნდის მიერ მოგროვებული ქულებიდან საშუალოდ 40% აკეთებს. ამდენად, გასაკვირი არაფერია იმაში, რომ ჯაზმენებმა ფილადელფია დაამარცხეს. მატჩის შემდეგ ანდრეი კირილენკომ განაცხადა: ვცდილობ, აგრესიული ვიყო დაცვაში და შეტევაშიც. ჩემი სტატისტიკური მონაცემები არ არის მთავარი. მთავარი გუნდური თამაშია, რომელიც, ვცდილობ, კარგად გამომივიდეს.

მატჩი ფილადელფიაში, "უაჩოვია ცენტრში" გაიმართა და ამიტომაც აღნიშნავენ ამ გამარჯვებას, როგორც ჯაზმენთა გმირობას. მე რომ მკითხოთ, იმ შემთხვევაში, თუ აივერსონი არ არის, ფილადელფიურ გუნდს არაფერი შველის. ზოგიერთი გუნდი, 100 თუ არა, 99 პროცენტით მაინც იყენებს საკუთარ მოედანზე თამაშის ფაქტორს. ფილადელფიელები კი ყველგან ერთნაირად თამაშობენ, მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, "სტეპლეს ცენტრში" ითამაშებენ თუ "უოტერჰაუს ცენტრში", მნიშვნელოვანია, ითამაშებს თუ არა ალენ აივერსონი. რა თქმა უნდა, გუნდში არიან ისეთი კალათბურთელები, რომლებიც ნამდვილად იმსახურებენ კარგი კალათბურთელის სახელს, მაგრამ არც ერთს არა აქვს ლიდერობის ნიჭი, ძალა. ერიკ სნოუ, კენი ტომასი და გლენ რობინსონის ხალხია, ვისაც შეუძლია თამაშში გარდატეხის შეტანა, მაგრამ ერკემლის ძალით ვერც ერთი ვერ დაიკვეხნის.

კირილენკო - იუტას ახალი ვარსკვლავი

კონკრეტულ მატჩში კენი ტომასმა და ერიკ სნოუმ, შესაბამისად, 16 და 13 ქულა გააკეთეს. ამას გარდა, კენი ტომასმა 9 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. დერეკ კულემანმა და კაილ კარვერმა 14-14 ქულა შესძინეს საკუთარ გუნდს. სამუელ დელემბერგმა და ჯონ სალმონსმა, შესაბამისად, 11 და 8 ქულა გააკეთეს, ხოლო გლენ რობინსონმა მხოლოდ 2 ქულის მოგროვება შეძლო.

ჯაზმენთა შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი, 30 ქულით, როგორც უკვე გითხარით, ანდრეი კირილენკო იყო. მეტ ჰარპრინგმა და კარლოს არიომ, შესაბამისად, 27 და 15 ქულა შესძინეს საკუთარ გუნდს. კარლოს არიომ მოგროვებულ ქულებთან ერთად 3 მოხსნა და 11 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. "დღევანდელ მატჩში ანდრეი შეუდარებელი იყო, - განაცხადა ჯაზმენების მთავარმა მწვრთნელმა ჯერი სლოანმა. - ის ორივე ფართან კარგად გამოიყურებოდა, ჩვენსას იცავდა და მეტოქისას შედეგიანად უტევდა."

ჯაზმენები აგრძელებენ წარმატებულ მოღვაწეობას და, არ არის გამორიცხული, ისინი პლეი-ოფში ვიხილოთ.

ფორმულა 1

"უიმბლდონი" "სილვერსტოუნს" არ ეცილება

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ 2004 წლის ფორმულა 1-ის კალენდარი დაამტკიცა. კალენდარში, როგორც მოსალოდნელი იყო, 18 ეტაპია, ანუ ორით მეტი, ვიდრე შარშან. მათ შორისაა საფრანგეთის გრან-პრი, რომელსაც მმართველ ორგანოსთან ურთიერთობა დღემდე ვერ მოუგვარებია.

კალენდრის დატკიცებას არავითარი სიურპრიზები არ მოუტანია. კალენდარში შემავალი გრან-პრის მასპინძელთა ნუსხა ისედაც წინასწარ იყო ცნობილი. ასე რომ, ფედერაციის საბჭოს მასში ცვლილებები არ შეუტანია და ზოგიერთი პრობლემური საკითხის მოგვარება გარკვეული დროით გადაიდო. საუბარია ისევ და ისევ საფრანგეთის გრან-პრიზე.

პარასკევს მიღებულ კალენდარზე კომენტირებისას საბჭომ განაცხადა: მანი-კურის (საფრანგეთის გრან-პრი) ორგანიზატორებს წლის ბოლომდე აქვთ ვადა იმისთვის, რომ ადრეულ პირობებზე თანამშრომლობას დათანხმდნენ, ანუ ფრანგებმა უნდა წარადგინონ იმის გარანტიები, რომ მათ შეუძლიათ 4,5 მილიონი ევროს ოდენობის ყოველწლიური შესატანით უზრუნველყონ ფედერაცია. საფრანგეთის გრან-პრის მასპინძლებმა ყველა გუნდის მონაწილეობის თანხმობაც უნდა მიიღონ.

ეს, რაც შეეხება საფრანგეთის ეტაპს. პრობლემების მხრივ შედარებით კარგ მდგომარეობაშია ბრაზილიისა და კანადის გრან-პრი. საქმე ისაა, რომ მათ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ყველა პრობლემა მოაგვარეს. კანადელებმა იმის სახსრებიც გამონახეს, რომ თამბაქოს რეკლამის აკრძალვით გამოწვეული ზარალი აუნაზღაურონ საჯინიბოებს. ბრაზილიელებმა კი ხელისუფლების სარჩელი გააპროტესტეს, რომლის მიხედვითაც ბრაზილიას გრან-პრის მასპინძლობა ისედაც ეკონომიკურ კრიზისში მყოფ სან-პაულუს შტატის მდგომარეობას უფრო დაამძიმებდა. თუმცა, რბოლებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ უამრავი საკითხია მოსაგვარებელი. ერთადერთი, რაც საბჭოს სხდომამდე ბოლომდე გაურკვეველი რჩებოდა, ეს "სილვერსტოუნზე" დიდი ბრიტანეთის გრან-პრის გამართვის თარიღია. საქმე ისაა, რომ ბრიტანეთის ეტაპის მასპინძლებს სურთ, რბოლა ერთი კვირით ადრე გაიმართოს, რათა ის არ დაემთხვას უიმბლდონის ტურნირს, რომელიც 21 ივნისს აიღებს სტარტს. ფედერაციის მოხელეებმა გაითვალისწინეს ბრიტანელთა თხოვნა და საკითხი მათ სასარგებლოდ გადაწყვიტეს. "სილვერსტოუნი" სამეფო რბოლებს 11 ივნისს უმასპინძლებს, ანუ მსოფლიოს ყველაზე პოპულარულ სარბოლო სერიებს უიმბლდონის ტურნირი მაყურებელს აღარ წაართმევს.

TV–სპორტი

სამშაბათი. 16 დეკემბერი

NTV+ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საფეხბურთო უოკ-ენდი
14:00 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:45 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 საქველმოქმედო მატჩი ზიდანისა და რონალდოს მონაწილეობით
18:45 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 "ცხრიანი"
20:05 თავისუფალი დარტყმა
20:20 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:15 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:10 "პოსტსკრიპტუმი"
22:40 "დარტყმა გოლისთვის"
22:55 გერმანიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (23:45) თავისუფალი დარტყმა
00:55 გერმანიის ჩემპიონატი. "ვერდერი" – "ჰანზა"
02:40 02:40-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. "MINNESOTA TIMBERWOLVES" –"HOUSTON ROCKETS". პირდაპირი ტრანსლაცია

NTV+სპორტ
11:00, 13:40, 17:00, 20:15, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 ამერიკული ფეხბურთი. "MIAMI DOLPHINS" – "PHILADELPHIA EAGLES"
13:55 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასი იტალიაში. ვაჟები. ქალები. სპრინტი 1,5 კმ. პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 ტხეკვონდო. საერთაშორისო ტურნირი. "პეტრე დიდის თასზე". პირველი ნაწილი
17:15 "ორშაბათამდე მივატანთ"
17:45 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი. აშშ. ფინალი
19:45 "კეგლის დროა"
20:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი ჰოლანდიასა და შვეიცარიაში
21:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი. აშშ. ფინალი
00:30 ამერიკული ფეხბურთი. "MIAMI DOLPHINS" – "PHILADELPHIA EAGLES". შესვენებისას (01:15) ახალი ამბები

EUROSPORT
11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი გერმანიაში
14:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი იტალიაში
15:30 ფეხბურთი. ევროგოლები
16:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი
17:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
19:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა
21:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი იტალიაში
22:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
02:30 ახალი ამბები
02:45 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
03:15 X-რეიდის სერიათა თავგადასავალი
04:15 ახალი ამბები

ცურვა

ევროპის ჩემპიონატმა ღუზა გაუშვა

გიგა გურასაშვილი

ოლიმპიურ თამაშებამდე ერთი წლით ადრე ნებისმიერი შეჯიბრება ერთგვარი გენერალური რეპეტიციაა უმთავრესი ასპარეზობის წინ. დუბლინში გამართულ "პატარა წყლის" ევროპის ჩემპიონატსაც ამგვარი დატვირთვა ჰქონდა. ცისფერი ბილიკების ამქრიდან დუბლინის წყალი ზოგისთვის წარმატებული გამოდგა, ზოგისთვის - წარუმატებელი. მაგრამ არიან ისეთები, რომლებიც, წარუმატებლობის მიუხედავად, საკუთარ თავს დიდად არც გასწყრომიან. მზადებით კი მეტ-ნაკლებად კმაყოფილნი დარჩნენ. მოცურავეთა ერთმა ნაწილმა საერთოდ უარი თქვა, კონტინენტის პირველობაზე ესპარეზა და "პატარა წყალში" ჭყუმპალაობას შინ დარჩენა და ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება არჩია. ასეთები თითზე ჩამოსათვლელნი არიან. მათ შორის თუ ვინმეს გამორჩევა შეიძლება, რუსი ალექსანდრ პოპოვია. 50 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ის ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონია. მათ შორის კი, ვინც დუბლინის ევროპულ აუზში ასპარეზობის სურვილი გამოთქვა, ყველაზე ტიტულოვანი ჰოლანდიელი პიტერ ვან დენ ჰუგენბანდია. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონისთვის დუბლინში მიღწეული წარმატებები ათენის თამაშებისთვის ერთგვარი მოტივაციაა. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე განაცხადა.

ჰოლანდიის ნაკრები რეკორდს ზეიმობს

ასეა თუ ისე, ევროპის ჩემპიონატი შედგა. ოთხი დღის განმავლობაში ხუთი მსოფლიო რეკორდი დაემხო, ევროპის რეკორდი კი - უფრო მეტი. მსოფლიოს საუკეთესო შედეგების მხრივ გამორჩეული გამოდგა ჩემპიონატის მეორე დღე, როდესაც სამი ამგვარი შედეგი (100მ. ბატერფლაი. მილორად სავიჩი, სერბია და მონტენეგრო; 4X50 თავისუფალი ესტაფეტა. ჰოლანდია. კვალიფიკაცია და ფინალი) დააფიქსირა წამმზომმა. პირველ დღეს კი 4X50 კომბინირებულ ესტაფეტაში გერმანელ ვაჟთა კვარტეტმა გამოიჩინა თავი. მხოლოდ მესამე დღეს არ დამყარებულა მსოფლიო რეკორდი, თუმცა, ჰუგენბანდს შეეძლო ამ დანაკლისის ანაზღაურება. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჰოლანდიელი 0,07 წამით ასცდა ალექსანდრ პოპოვის უკვე მოძველებულ მსოფლიო რეკორდს.

"მიზნად მქონდა, ევროპის ჩემპიონატზე 47-წამიანი ბარიერი გადამელახა. წინა დღით (ჩემპიონატის მეორე დღეს გულისხმობს) ნახევარფინალში პირადი შედეგი – 47,15 გავაუმჯობესე. ვფიქრობ, კარგი მოტივაცია შევიძინე ოლიმპიური თამაშების წინ", - 100 მეტრის საჩემპიონო დროში (46,81) დაფარვის შემდეგ განაცხადა ჰუგენბანდმა.

ჩემპიონატის დასკვნით დღეს ჰოლანდიელს შეეძლო, მსოფლიო რეკორდი დაემყარებინა, მაგრამ ამისთვის წამის მეასედები დააკლდა. თუმცა, აუზი მაინც რეკორდსმენმა დატოვა. 200 მეტრზე ასევე თავისუფალში ჰუგენბანდმა ევროპის რეკორდით (1.41,89) გამოიდო თავი. რაც შეეხება მსოფლიოს საუკეთესო შედეგს (1.41,10), იგი ავსტრალიელი იან ტორპის საკუთრებაა, რომელიც ბერლინში სამი წლის წინათ დაამყარა. ევროპის რეკორდისა და მეორე ოქროს მედლის მიუხედავად, ჰოლანდიელს მაინც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აქვს: "საკუთარი გამოსვლით და ევროპის რეკორდით ვამაყობ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ მომიგია, მაინც შიმშილობის გრძნობა მაქვს".

ჩემპიონატის დასკვნით დღეს ევროპის რეკორდი ოთხჯერ დაემხო. ევროპულ რეკორდებთან ერთად დუბლინში ერთი მსოფლიო რეკორდიც დამყარდა და იგი ჰოლანდიელ ვაჟთა კვარტეტის – მარკ ფიინსის, იოჰან კენხუისის, ჟიის დამენის და პიტერ ვან დენ ჰუგენბანდის დამსახურებაა. 4X50 თავისუფალი ესტაფეტა ჰოლანდიელთა ოთხეულმა 1 წუთსა და 25,55 წამში დაფარა და, შესაბამისად, ამერიკელთა კვარტეტის არონ კიალას, ნეიტ დიუსინგის, ნეილ უოლკერისა და ჯეისონ ლეჟაკის მიერ 2001 წლის 20 ოქტომბერს ნიუ იორკში დამყარებული რეკორდი (1.25,87) დაამხო.

დასკვნითი დღე საინტერესო იყო იმითაც, რომ 100 მეტრზე ვაჟთა კომპლექსურში მოქმედი ევროპის ჩემპიონი, სლოვენიელი პეტერ მანკოჩი და ფინელი იანი სიევინენი აუზის კიდესთან ერთნაირი შედეგით – 53,35 მიიჭრნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ დისციპლინაში ვერცხლის მედალი არ გათამაშებულა. ორგანიზატორებს კი ერთბაშად ორი ოქროს მედლის გაღება მოუხდათ.

"არ მახსოვს, ასპარეზობამდე ასე მენერვიულოს. სტარტიდან ფინიშამდე იმდენი შეცდომა დავუშვი, საზიარო ოქროც კი ერთგვარი შვება აღმოჩნდა", - კმაყოფილია მანკოჩი.

რაც შეეხება ქვეყანათა მონაგარს. გერმანიამ და ბრიტანეთმა 7-7 ოქროსა და 6-6 ვერცხლის მედალი დაისაკუთრეს. პირველობის ბედი კი ბრინჯაოს მედლებმა გადაწყვიტა. გერმანელებმა 21 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და ცხრილის სათავეში მოქცნენ. ამ მხრივ ალბიონელთა მონაგარი 14 მედალს შეადგენს. მესამე ადგილზე ჰოლანდიელები არიან (5-1-2).

"ფრანგული ლომები" სამ სიახლეს გვიმზადებენ

უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ფრანგული კომპანია "პეჟო" სამ სიახლეს უმზადებს თავისი პროდუქციის თაყვანისმცემლებს – გაზაფხულზე, კერძოდ კი ჟენევის ავტოსალონზე, შედგება მოდელ 407-ის სედანისა და უნივერსალის დებიუტი, შემოდგომაზე, კერძოდ პარიზის ავტოსალონზე, დღის სინათლეს პირველად იხილავს ჰეტჩბეკი 207, რის შემდეგაც კომპანია აითვისებს მისთვის უცხო ნიშას – დაიწყებს კომპაქტური ერთმოცულობიანი ავტომობილების წარმოებას.

ახალი 407-ის შექმნაზე კომპანიამ საერთო ჯამში 1.12 მილიარდი ევროს ინვესტიცია განახორციელა. პირველ რიგში დაიწყება სედანების გაყიდვა, რასაც მოჰყვება ჯერ უნივერსალების, შემდეგ კი 2005 წლიდან, კუპეს წარმოებაც. ამ ავტომობილის მსოფლიო დებიუტი ჟენევისთვის კია დაგეგმილი, მაგრამ კომპანიამ უკვე გაავრცელა მისი ფოტოსურათები.

ამ ფოტოების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ შეინიშნება ახალი ავტომობილის გარკვეული მსგავსება წინამორბედ 406-თან, რაც მეტწილად სილუეტსა და სათავო ქსენონის მაშუქებს ეხება. თუმცა, ეს უკანასკნელი რადიატორთან ერთად, ავტომობილის თითქმის მთელ სიგანეზეა გაჭიმული. საერთოდ კი, ავტომობილის დიზაინი თითქმის ბოლომდე იმეორებს კონცეპტუალური "პეჟო 407 ელიქსირის" გარეგნობას, ავტომობილისა, რომელიც წლეულს, ფრანკფურტის ავტოსალონზე იქნა წარმოდგენილი და რომელიც იმთავითვე განიხილებოდა, როგორც ახალი 407-ის წინამორბედი.

პეჟო 407

406-თან შედარებით, 407-მა გაბარიტებში მოიმატა – მისი სიგრძე 467 სანტიმეტრია, სიგანე 181, ბაზა კი - 273. დიზაინერებმა აეროდინამიკის სპეციალისტებთან ერთად ავტომობილის ბრწყინვალე აეროდინამიკურ მაჩვენებლებს მიაღწიეს – მისი წინაალმდეგობის კოეფიციენტი სულ რაღაც 0.29-ს შეადგენს, რაც სედანებისთვის შესანიშნავი რიცხვია.

ავტომობილი ბაზირებულია იმავე პლატფორმაზე, რომელიც უკვე კარგა ხანია, "სიტროენ C5"-ის წარმოებისას გამოიყენება (სიტროენი და პეჟო ერთ კონცერნში არიან გაერთიანებულნი). ეს კი იმას ნიშნავს, რომ 407-ს დაკიდების პნევმატური სისტემა ექნება. კაპოტქვეშაც "პეჟო-სიტროენის" წარმოების ცნობილი აგრეგატები განთავსდება – საბაზო იქნება ოთხცილინდრიანი, 1.8-ლიტრიანი ძრავი, რომლის სიმძლავრეც 110 ცხენის ძალა, მაქსიმალური მაბრუნი მომენტი კი 163 ნიუტონ/მეტრია. ამას მოჰყვება ორლიტრიანი აგრეგატი, რომლის სიმძლავრეც 136 ცხენის ძალას შეადგენს და რომლითაც 407-ის მაქსიმალური სიჩქარე 220 კმ/სთ იქნება. მძაფრი შეგრძნების მოყვარულთათვის მზადაა სამლიტრიანი V6 211 ცხენის ძალით და 235 კმ/სთ მაქსიმალური სიჩქარით. გარდა ამისა, საწარმოო პროგრამა ითვალისწინებს დიზელზე მომუშავე სამი აგრეგატის, მათგან ერთი ტურბოდიზელის, გამოყენებას.

ავტომობილი მიიღებს ელექტრონულ მოწყობილობათა მთელ პაკეტს, რომლებშიც შედის ბლოკირების და მოცურების საწინააღმდეგო სისტემები, დინამიკური კონტროლის სისტემა. ბუნებრივია, ასეთი კლასის ავტომობილს დისკური მუხრუჭები ექნება. ამასთან, ტოპვერსია მიიღებს რეგულირებად ამორტიზატორებს, საჭის მექანიზმის ელექტროგამაძლიერებელს და მახსოვრობის უნარის მქონე სავარძლებსა და უკანა ხედვის სარკეებს.

407-ის მსგავსად, გაბარიტებში გაიზრდება 207-იც, რომელიც მერმის, პარიზის ავტოსალონზე, ერთდროულად წარდგება როგორც საბაზო ჰეტჩბეკის, ასევე კუპე-კაბრიოლეტის სახით. 206-თან შედარებით, ათი სანტიმეტრით გაიზრდება მისი ბაზა, რისი წყალობითაც, მასში გაცილებით კომფორტულად განთავსდებიან მგზავრები – 206-ში უკანა სავარძელზე საგრძნობი სივიწროვეა.

"პეჟო 207"-ის დიზაინი ახალ სტილში იქნება შესრულებული, რომელსაც პირველად კომპანიის სტილისტები მოდელ 407-ზე გამოიყენებენ. ახალ ავტომობილს საგრძნობლად ხისტი მზიდი სისტემა და უხეში, სპორტული ყაიდის დაკიდება ექნება, რომელსაც დიდი სკოლა აქვს გავლილი რალის მსოფლიო ჩემპიონატებში.

დაბოლოს. კომპანიას 2005 წლისთვის დაგეგმილი აქვს ბაზარზე სრულიად ახალი, კომპაქტური მინივენის გამოშვება, რომელიც გარეგნობით შემცირებული ზომის 207-ს დაემგვანება. ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, თუ რა აღჭურვილობას მიიღებს ეს ავტომობილი, მაგრამ იმის თქმა ახლავე შეიძლება, რომ მას იგივე აგრეგატები ექნება, რაც 207-ს. ეს ის ძრავებია, რომლებიც "ფორდის" კონსტრუქტორებთან ერთად იქმნებოდა. "პეჟოს" კომპაქტური მინივენის ბაზარზე გამოჩენა 2005 წლისთვისაა ნავარაუდევი.

"მიცუბიში" მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადაა

წლების განმავლობაში იაპონური კომპანია "მიცუბიში მოტორსი" რალის მსოფლიო ჩემპიონატებში საასპარეზოდ არ იყენებდა ეგრეთ წოდებული WRC (უორლდ რალი ქარ) კლასის ავტომობილებს, მაგრამ ფინელ პილოტ ტომი მიაკინენთან ერთად მაინც ზედიზედ ოთხჯერ მოიგო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. თუმცა, "მფრინავი ფინელისა" და დიდი მონდომების ხარჯზე ტრიუმფალური სვლის გაგრძელება შეუძლებელი იყო და კრიზისის დროც დადგა – რამდენიმე სეზონის განმავლობაში ევროპაში ბაზირებული გუნდი ჩრდილში მოექცა და მოწინავე პოზიცია "პეჟოს","ფორდსა" და "სუბარუს" დაუთმო.

ყოველივეს გამო, წლევანდელ სეზონში "მიცუბიშიმ" ხანმოკლე "შვებულება" აიღო და გამოაცხადა, რომ ჩემპიონატს 2004 წლის სეზონიდან დაუბრუნდებოდა და უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებდა. და აი, იაპონელებმა სიტყვა შეასრულეს – ნოემბრის მიწურულს მედიას წარუდგინეს WRC კლასის ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით მომზადებული "მიცუბიში ლანსერ WRC04", რომლითაც გუნდი მომავალი სეზონის პირველივე ეტაპიდან, მონტე კარლოს რალიდან ჩაერთვება საქმეში. თუმცა, როგორც კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, 2004 წლის სეზონი შუალედური იქნება, სანამ ახალი ავტომობილი "სპორტულ გზებზე სიარულს ისწავლის" და მომავალი გამარჯვებებისთვის მოემზადება.

იაპონური გუნდისა და მისი ინგლისელი პარტნიორის, კომპანია "რალიარტის" გარდა, ახალი ავტომობილის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს ავტოსპორტში დიდი გამოცდილების მქონე ინგლისური კომპანია "ლოლა რეისინგის" სპეციალისტებმაც. ახალმა "ლანსერმა" ტრასაზე გამოსვლის წინ ყველანაირი გამოცდა წარმატებით ჩააბარა და უკვე მზადაა მონტე კარლოს რალიში საასპარეზოდ.

WRC კლასის წესების თანახმად, რალის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება ეძლევა იმ სერიული ავტომობილის ბაზაზე დამზადებულ სარბოლ ავტომობილებს, რომელთა წლიური ტირაჟიც მინიმუმ 25000-ს შეადგენს. ამის გამო, იაპონურმა კომპანიამ რალისთვის განკუთვნილი "ლანსერის" ბაზისად გამოიყენა "მიცუბიში ლანსერ EVO VIII", რომლის დებიუტიც წლეულს შედგა ფრანკფურტის ავტოსალონზე და რომელმაც ამურიკულ ჟურნალ "ოტომობილ მეგზინისგან" წლის საუკეთესო ავტომობილის წოდება დაიმსახურა.

მიცუბიში ლანსერ WRC04

"მიცუბიში ლანსერ WRC04" აღჭურვილია იმავე ორლიტრიანი ძრავით, რომელიც სერიულ ავტომობილებში გამოიყენება, თუმცა მისი სიმძლავრე 300 ცხენის ძალამდეა გაზრდილი. და მაინც, "მიცუბიში მოტორს სპორტის" დირექტორ მარიო ფორნერისის თქმით, ახალ ავტომობილს 6000 ახალი ნაწილი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას წინამორბედებთან და სერიულ ავტომობილებთან საერთო პრაქტიკულად აღარაფერი აქვს.

"მიცუბიში ლანსერ WRC04"-ს პირველ რიგში მისი აეროდინამიკა გამოარჩევს, რასაც სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა რალის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდებში. ახალმა ავტომობილმა სამი სრული კვირა გაატარა "ლოლას" აეროდინამიკურ მილში, საიდანაც დახვეწილი ფორმებით და წინა და უკანა ფრთებით აღჭურვილი დაბრუნდა ბრიტანეთის ქალაქ რაგბიში, სადაც ბაზირებულია მისი დამამზადებელი ფაბრიკა.

რა თქმა უნდა, დიდი ყურადღება მიექცა ავტომობილის აეროდინამიკურ დატვირთვას, თუმცა არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა რადიატორის ჰაერისამღების და მოცურების საწინააღმდეგო სისტემებს, დინამიკური კონტროლის სისტემა. ბუნებრივია, ასეთი კლასის ავტომობილს დისკური მუხრუჭები ექნება. ამასთან, ტოპვერსია მიიღებს რეგულირებად ამორტიზატორებს, საჭის მექანიზმის ელექტროგამაძლიერებელს და მახსოვრობის უნარის მქონე სავარძლებსა და უკანა ხედვის სარკეებს.

რაც შეეხება შასის, მისი კონსტრუირებისას ყურადღება ექცეოდა არამხოლოდ კარგ მართვადობას, არამედ სიმარტივესა და მომსახურების სიადვილესაც, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ასპარეზობისას ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრის დროს. ამ მხრივ, განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ დაკიდების სისტემაში მხოლოდ მაკფერსონის საყრდენები გამოიყენება. ამასთან, ურთიერთშენაცვლებადია წინა და უკანა, მარჯვენა და მარცხენა დაკიდების სისტემები.

შეიცვალა ძრავის განლაგება, რითაც მიღწეულ იქნა შასიზე მასის უფრო თანაბარი გადანაწილება. დაბლა დაიწია სიმძიმის ცენტრმა, რითაც გაუმჯობესდა ავტომობილის ბალანსი და მართვადობა. ძრავის გადაადგილებამ კი საჭის მექანიზმის გადაკეთება მოითხოვა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ავტომობილის ტრანსმისია, რომელიც ძირეულადაა შეცვლილი. მასში მთავარია კომპანია "რიკაროს" მიერ შექმნილი ხუთსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფი, რომელიც სამი, ეგრეთ წოდებული პასიური დიფერენციალის მეშვეობით გადასცემს ძრავის მაბრუნ მომენტს ოთხივე წამყვან თვალს. გადაცემების შეცვლა ხელით ხდება, სამაგიეროდ მაბრუნ მომენტს ელექტრონიკის დახმარებით, წინა და უკანა ხიდებს შორის ანაწილებს მთავარი დიფერენციალი. ელექტრონული დამხმარე სისტემები გააჩნიათ წინა და უკანა დიფერენციალებსაც.

"მიცუბიში ლანსერ WRC04"-ს ტესტები ოქტომბერში დაიწყო და მან ჩემპიონატისთვის მზადების სრული პროგრამა გაიარა. გუნდის პირველი პილოტია ფრანგი ჟილ პანიცი, რომელიც აქამდე "პეჟოს" ავტომობილებით გამოდიოდა და თავის ძმასთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატის რამდენიმე რბოლა აქვს მოგებული.

ახალი "სააბის" დებიუტი ლოს ანჯელესში შედგება

"ჯენერალ მოტორსის" კუთვნილებაში მყოფი შვედური კომპანია "სააბის" ახალი მოდელის, 9-2X-ის დებიუტი დეკემბრის ბოლო რიცხვებში, ლოს ანჯელესის ავტოშოუზე შედგება. ეს არის "სუბარუ იმპრეცას" ბაზაზე შექმნილი ოთხკარიანი ჰეტჩბეკი, რომელსაც ყველა თვალი წამყვანი ექნება. მისი პირველი ფოტოსურათები "სააბმა" ტოკიოს ავტოსალონამდე რამდენიმე დღით ადრე, ტოკიოშივე წარმოადგინა, თუმცა თავისი ახალი ავტომობილის ჩვენებისგან თავი შეიკავა.

პლატფორმის გარდა ახალი სააბი "იმპრეცასგან" მიიღებს ძრავებსაც და ტრანსმისიასაც და რაც მთავარია, მას "სუბარუს" (ეს კომპანიაც "ჯენერალ მოტორსის" კუთვნილებაა) იაპონურ ქარხანაში დაამზადებენ. სამაგიეროდ, იგი მხოლოდ აშშ-ისა და კანადის ბაზარზე გაიყიდება, თუმცა გამორიცხული არაა, რომ მომავალში იგი ევროპაშიც შეიტანონ. შვედები თავიანთ სიახლეს "გოლფის" კლასს მიაკუთვნებენ. თუმცა, რეალურად 9-2X ერთი საფეხურით დაბლა დგას "გოლფის" კლასის "სააბ 9-3"-ზე.

ფოტოების წარდგენის ცერემონიაზე "ფუძი ჰევი ინდასტრიზის" ("ფუძი ჰევი ინდასტრიზი" "სუბარუს" მფლობელია, თავად მისი აქციების საკონტროლო პაკეტს კი "ჯენერალ მოტორსი" ფლობს) აღმასრულებელმა კიოლი ტაკენაკამ განაცხადა, რომ "სუბარუსა" და "სააბის" პარტნიორობა ორივე პატარა კომპანიისთვის ხელსაყრელია, რადგან ისინი წარმოების დიდი მოცულობით არ გამოირჩევიან და ამ თანამშრომლობის გარეშე კონკურენტუნარიანები ვერ იქნებიან. მათი პარტნიორობა იმაშიც გამოიხატება, რომ ახალი "სააბის" გაყიდვები "სუბარუს" სადილერო ქსელის საშუალებით მოხდება.

სააბ 9-2x

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ "ჯენერალ მოტორსის" ახალი, წინა წამყვანთვლიანი პლატფორმა "დელტა" მეტისმეტად ძვირი გამოდგა. "ჩვენ მეტად პატარა კომპანიები ვართ იმისათვის, რომ დამოუკიდებლად განვითარების უნარი გაგვაჩნდეს. ახალი ავტომობილი რომ დამოუკიდებლად შეგვექმნა, ამისათვის ალბათ 25 წელიწადი მაინც დაგვჭირდებოდა. "ჯენერალ მოტორსის" შესაძლებლობებით კი ნორმალურ დროში ჩავეტიეთ", - ამბობს "სააბის" შეფი პეტერ აუგუსტსონი.

მყიდველს შესთავაზებენ "სააბ 9-2 X"-ის ორ ვერსიას და ორივე ჰეტჩბეკის ტიპის ძარითა და ყველა წამყვანი თვლით იქნება აღჭურვილი. მათგან საბაზო მოდელი, "სააბ 9-2 X ლაინეარი" მიიღებს ოთხცილინდრიან, 2.5 ლიტრი მოცულობის ძრავს, სპორტული ვარიანტი სახელად "აერო" კი ორლიტრიან, ტურბოკომპრესორით აღჭურვილ ძრავს მიიღებს, რომლის სიმძლავრეც 227 ცხენის ძალა იქნება.

ახალი "სააბ 9-2 X"-ის გაყიდვები მომავალი წლის ზაფხულში უნდა დაიწყოს. მისი საშუალებით შვედური კომპანია თავისი გაყიდვების წლიური მოცულობის შესამჩნევ ზრდას იმედოვნებს. კომპანიამ უკვე დაიწყო სრულიად ახალი მოდელების, სპორტულ სედან "სააბ 9-3"-ისა და იმავე 9-3-ის კაბრიოლეტების გამოშვება. გარდა ამისა, ბოლო ორ წელიწადში სამი კონცეპტუალური ავტომობილი წარმოადგინა, რომლებიც ასევე მოხვდებიან კონვეიერზე.

"სააბის" გარდა უახლოეს მომავალში პლატფორმა "დელტას" გამოყენებას აპირებს "ჯენერალ მოტორსის" კუთვნილი კიდევ ორი ავტოკომპანია – "სუძუკი" და "ისუძუ". ამასთან, ოთხივე კომპანია სხვა სფეროებშიც გეგმავენ კოოპერირებას. კერძოდ, მალე "ისუძუ" დაიწყებს თავისი დიზელის ძრავებით "ჯენერალ მოტორსის" სხვადასხვა ამერიკული მარკების მომარაგებას, "სუძუკი" და "შევროლე" კი უკვე ერთობლივად მუშაობენ ახალი კომპაქტური ავტომობილების შექმნაზე, რომლებიც აზიის ბაზრისთვის იქნება განკუთვნილი. ასევე იწყება ანალოგიური პროექტის შექმნა, რომელზეც "სუძუკის" სპეციალისტებთან ერთად ჩართულნი არიან "GM დეუს" კონსტრუქტორები.

გარდა ამისა, შვედურმა კომპანიამ ნოემბრის ბოლოს გაავრცელა თავისი ახალი პროექტის, უგზოობის მოდელ "სააბ 9-7"-ის ესკიზები და გამოაცხადა, რომ ამ ავტომობილის პროტოტიპის დებიუტი მომავალ გაზაფხულზე შედგება ნიუ იორკის ავტოსალონზე. "სააბის" ხელმძღვანელობის განცხადებით, "სააბ 9-7"-ის გაყიდვები 2005 წელს დაიწყება და ის კონკურენციას გაუწევს ისეთ პოპულარულ ავტომობილებს, როგორებიცაა M-კლასის "მერსედეს-ბენცი" და "ბეემვე X5". ამასთან, ახალი ავტომობილი უგზოობის "კადილაკ SRX"-ის პლატფორმას მიიღებს. უფრო მეტიც, ახალი "სააბის" წარმოება აშშ-ში, კერძოდ ოჰაიოს შტატშია დაგეგმილი.

"ალფას" ამერიკაში დაბრუნება კვლავ გადაიდო

უკვე რამდენიმე წელია, იტალიური კომპანია "ალფა რომეო" აშშ-ის ბაზარზე დაბრუნების გეგმებს აყალიბებს და თითქოს, ეს დაბრუნება 2007 წლისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ დეკემბრის დასაწყისში კომპანიამ გამოაცხადა, რომ დაბრუნების პროცესი ჭიანურდება და დათქმული დროის გადავადება გარდაუვალია.

"ფიატ"-ის (ალფა რომეო ფიატის ნაწილია) ჯგუფის აღმასრულებელმა ჯუზეპე მორკომ ჟურნალ "ოტომოტივ ნიუს იუროპთან" საუბრისას განაცხადა, რომ კრიზისში მყოფი იტალიური კონცერნის მიზანს წარმოადგენს აშშ-ის ბაზარზე დაბრუნება, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, ჯერ ევროპაშია პრობლემები მოსაწესრიგებელი: "პირველ რიგში ევროპის ბაზარზე მივხედავთ საქმეს და ამერიკაში დაბრუნებაზე ფიქრს მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყებთ", - ამბობს მორკო.

პირველად ამერიკის ბაზარზე დაბრუნების გეგმები "ფიატმა" 2000 წელს გამოაქვეყნა, როცა კონცერნმა სტრატეგიული ალიანსის შეთანხმება გააფორმა "ჯენერალ მოტორსთან". მაშინ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ 2003 წლისთვის აშშ-ში დაიწყებოდა "ალფას" მოდერნიზებული ორადგილიანი სპაიდერის გაყიდვები. ეს თარიღი მალე ჯერ 2004, მერე 2005 და ბოლოს 2007 წლით შეიცვალა. თავიდან დაბრუნების თარიღის გადატანა ავტომობილის საბაზო პლატფორმის კონსტრუქციის შეცვლამ გამოიწვია. იმ პლატფორმაზე, ინდექსით 938, გასულ წელს შეწყდა სამუშაოები და ბუნებრივია, პროექტიც შეჩერდა.

ამის შემდეგ "ფიატ"-მა გამოაცხადა, რომ "ალფა რომეოს" აშშ-ში მას შემდეგ დააბრუნებდა, რაც გააფართოვებდა მილანური მარკის სამოდელო გამას. კონსტრუქტორები ამჟამად მუშაობენ პროექტ 939-ზე, რომელიც ერთი პლატფორმის ბაზაზე ოთხი სხვადასხვა მოდელის შექმნას ითვალისწინებს. ამასთან, ამ პროექტზე იტალიელებს პარტნიორობას უწევენ შვედური კომპანია "სააბის" სპეციალისტები.

ახალ პლატფორმაზე კომპანია დაამზადებს განახლებული დიზაინის მქონე სედან 156-ს და შესაბამის უნივერსალს, ასევე სპაიდერსა და კუპე GTV-ს. ეს მოდელები ევროპის ბაზარზე 2005 და 2006 წლებში გამოჩნდება, რის შემდეგაც მოეწყობა "ალფა რომეოს" წარმოების ზედიზედ ორი უგზოობის ავტომობილის დებიუტი.

ალფა რომეო მი კომპეტიციონე ალფას ახალი ფლაგმანია

ეს ის ავტომობილებია, რომელთა ევროპაში წარმოჩენასაც ეშურება იტალიური კომპანია მანამ, სანამ აშშ-ის ბაზარს დაუბრუნდებოდეს, იქ კი წლიურად 50-60 ათასი ავტომობილის გაყიდვაა ნავარაუდები.

"ალფა რომეოს" ამერიკული დებიუტი პირველად 1952 წელს შედგა, ათი წლის შემდეგ კი შეიქმნა სადისტრიბუციო ქსელი "ალფა რომეო ნორთ ამერიკა", რომელმაც გაყიდვების მოცულობის გასაზრდელად მალე კომპანია "კრაისლერთან" ერთად ჩამოაყალიბა ერთობლივი საწარმო. ამ საწარმოს მიზანი იყო წლიურად 25-30 ათასი ავტომობილის რეალიზაცია, მაგრამ პროდუქციის დაბალმა ხარისხმა და ავტომობილების საიმედოობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა უარყოფითად იმოქმედა გაყიდვებზე. "ალფა რომეო ნორთ ამერიკას", მოღვაწეობის საუკეთესო წლად მიჩნეულია 1986 სამოდელო წელი, რომლის განმავლობაშიც სულ 8201 ავტომობილი იქნა რეალიზებული, მომდევნო წელს კი "ფიატ"-ი "ალფას" აქციების საკონტროლო პაკეტს დაეუფლა. 1991 წელს ერთობლივი საწარმო დატოვა "კრაისლერმა" და იტალიელებმა დამოუკიდებლად გააგრძელეს ბიზნესი, თუმცა 1995 წელს თავის 97-ვე დილერს გამოუცხადეს, რომ მომდევნო წლიდან აღარ მოხდებოდა აშშ-ში იტალიიდან ავტომობილების ექსპორტი. იმ წელს კომპანიამ მხოლოდ 414 ავტომობილის რეალიზება შეძლო.

დღეისათვის "ალფა რომეო" მთლიანად ევროპის ბაზარზეა მობილიზებული, რადგან სწორედ ძველი კონტინენტის ავტობაზარი წარმოადგენს იტალიური კომპანიის საარსებო წყაროს. წლეულს, ოქტომბრის ჩათვლით, კომპანიას რეალიზებული აქვს სულ რაღაც 138631 ავტომობილი და ეს რიცხვი 5.8 პროცენტით ნაკლებია შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. და ეს იმ ფონზე ხდება, როცა ევროპაში ავტომობილების გაყიდვების რიცხვი სულ 1.3 პროცენტითაა შემცირებული.

აბსტრაქციონიზმის მამა

დღეს ვასილი კანდინსკის დაბადების დღეა

ბიოგრაფია (1866-1944)

რუსი მხატვარი ვასილი კანდინსკი 1866 წლის 16 დეკემბერს დაიბადა. ის აბსტრაქციული მხატვრობის დამფუძნებლად და თეორეტიკოსადაა მიჩნეული. 1910 წელს ვასილი კანდინსკიმ მიუნჰენში ისლამური გამოფენა ნახა, რომელმაც მისი მომავალი შემოქმედებითი სტილი განსაზღვრა - სწორედ ამ წელს კანდინსკიმ თავისი პირველი აბსტრაქციული ნახატი შექმნა.

ადრეული წლები

ვასილი კანდინსკი 1866 წელს მოსკოვში დაიბადა. ის გაიზარდა ბურჟუაზიულ ოჯახში, სადაც მან პიანინოზე და ჩელოზე დაკვრა ისწავლა. 1886 წელს ის მოსკოვის უნივერსიტეტში სამართლისა და ეკონომიკის სწავლას შეუდგა, შემდეგ კი მოსკოვის სამართლის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. მას გამუდმებით ახალ-ახალი ინტერესები უჩნდებოდა და განსაკუთრებით დიდი ნიჭი ჰქონდა, დამოუკიდებლად დაუფლებოდა სხვადასხვა საგანს. 1895 წელს კანდინსკიმ მოსკოვში ფრანგი იმპრესიონისტების (მონე და სხვები) გამოფენა ნახა. თავიდან ის აღშფოთდა და აღნიშნა კიდეც მოგვიანებით, თუ როგორ გაბრაზდა ის მონეს ერთ-ერთი ნახატის – "თივის ზვინის" დანახვაზე. მან ჩათვალა, რომ მხატვარს არანაირი უფლება არ ჰქონდა, დაეხატა ისეთი ნახატი, სადაც საგნების ამცნობა რთული იქნებოდა.

1896 წელს ოცდაათი წლის კანდინსკიმ ახალი პროფესია აირჩია – მხატვრობა, და სამხრეთ გერმანიაში, მიუნჰენში გაემგზავრა, სადაც მან ოთხი წელი (1900 წლამდე) ხელოვნების აკადემიაში ისწავლა.

ცისფერი მხედარი

1903 წლიდან, უამრავი გამოფენის წყალობით, კანდინსკის მხატვრობამ ევროპაში სახელი გაითქვა. 1911 წელს ექსპრესიონისტების ჯგუფთან ერთად მან მხატვართა გაერთიანება Der Blaue Reiter დააარსა.

აბსტრაქციული მხატვრობა

კანდინსკი აბსტრაქციული მხატვრობის თეორეტიკოსად იქცა. 1910 წელს მან თავისი პირველი აბსტრაქტული ნამუშევარი – "წყლის ფერი" შექმნა; 1912 წელს გამოსცა წიგნი აბსტრაქციის თეორიის შესახებ.

მალე პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. 1914 წელს კანდინსკი რუსეთში დაბრუნდა და 1921 წლამდე იქ მოღვაწეობდა. 1922 წელს გერმანიაში გაემგზავრა, 1933 წლამდე დესაუში "ბაუჰაუს"-ში მხატვრობას ასწავლიდა და იქვე მუშაობდა. ეს პერიოდი მხატვრისთვის ყველაზე პროდუქტიულ და ნაყოფიერ ხანად არის მიჩნეული.

ამის შემდეგ მხატვარი პარიზის მახლობლად, ქალაქ ნევილში დასახლდა, სადაც ცხოვრების ბოლომდე, 1944 წლამდე დარჩა. საფრანგეთში ემიგრაციის პერიოდში მან სახელი გაითქვა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

ვასილი კანდინსკი არჩეულ სტილს სიცოცხლის ბოლომდე ავითარებდა, თუმცა, პაბლო პიკასოსგან განსხვავებით, მოულოდნელ ცვლილებებს არ გვთავაზობდა. კანდინსკის ადრეული ნახატები ექსპრესიული, ფერადი კომპოზიციებია, მაგრამ - გამოკვეთილი გამოსახულებით (მისი ხატვის სტილი ჰენრი მატისისას ჰგავს). დაახლოებით, 1910 წლიდან მის შემოქმედებაში აბსტრაქციული მხატვრობა ჩნდება. მოგვიანებით მისი ნახატებიდან გამოსახულების ელემენტები მცირდება და საბოლოოდ სრულიად ქრება. თავის ნამუშევრებს მხატვარი შეგრძნებების, კომპოზიციების ან იმპროვიზაციების მიხედვით ასათაურებს, რაც მისი მუსიკალური განათლების გავლენა უნდა იყოს.

აბსტრაქცია

პორტრეტი თუთიყუში

უსათაუროდ

მიხაილ ბარიშნიკოვის უძრაობა

დიდი მოცეკვავის თაყვანისმცემლების დასამშვიდებლად: ის ჩინებულად გრძნობს თავს. არც დამბლა დასცემია და არც მანქანა დასტაკებია. სათაურში, ბარიშნიკოვის გაუნძრევლობაზე კი არა, უძრავ ქონებაზეა საუბარი.



მელორ სტურუა
საქ. ქრონ. 2003

მიხაილი, ამ თვალსაზრისითაც, ჩინებულად გრძნობს თავს, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პოტენციური დანაკარგები ჰქონდა. მას ნიუ იორკის შტატში, პალისეიდის სახლ-კარზე ფასის დაწევა მოუწია – 9,5-დან 8 მილიონ დოლარამდე. მის მიერ გასაყიდად გატანილი ოთხკარიანი მამული, დაახლოებით, 3900 კვადრატული ფუტის ფართობის სახლს მოიცავს. სახლი ძველებურია. ის 1870 წელსაა აშენებული. სახლში ხუთი საძინებელი ოთახია და ოთხნახევარი სააბაზანო ("ნახევარი" აბაზანის ნაცვლად საშხაპეს გულისხმობს). სახლში უზარმაზარი მისაღებია და საუნა. ტერიტორიაზე კიდევ ერთი სახლი დგას - თავად ბარიშნიკოვის მიერ აშენებული (არა მისი ხელით, არამედ მისი ფულით). მეორე სახლში ორი საძინებელი ოთახია და ორი სააბაზანო. 1991 წელს აშენებული ეს სახლი 1500 კვადრატული ფუტის ფართობისაა. უძრავი ქონება მდინარე ჰუძონს, ტყიან ბილიკებს და ნაკადულს გადასცქერის. მანჰეტენის ცენტრისგან ის მხოლოდ 20 მილითაა დაშორებული.

ამ უძრავი ქონების შესახებ მონაცემების თანახმად, 80-იანი წლების დასაწყისში მისი ფასი, მხოლოდ ტერიტორიისთვის, დაახლოებით, ერთი მილიონი დოლარი იყო. დანარჩენი მილიონები მეორე სახლის აშენებისა და ძველი სახლის რესტავრაციისა და გაფართოების შედეგია. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ამ მხარეში სახლების ფასი, თითქმის, ორჯერ გაიზარდა, ასე რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, მიხაილ ბარიშნიკოვი ზარალში არ აღმოჩნდა.

მოცეკვავის უახლოესი მეზობლები ცნობილი კინომსახიობები - ალ პაჩინო და ბილ მერი არიან. ეს უკანასკნელი სულ ცოტა ხნის წინათ კოპოლას ქალიშვილის სოფიას ფილმში ("თარგმანში დაიკარგა") გადაიღეს (ამ როლისთვის "ოსკარსაც" კი უწინასწარმეტყველებენ).

მოცეკვავის უძრავი ქონების გაყიდვით დაკავებულია დიანა სმიტი ფირმიდან "ბაერი და მაკინტოში". თუკი ტერფსიქორას დიდი ქურუმის სავარგულებით ჩვენი ოლიგარქებიდან ვინმე დაინტერესდება, ნადირობის ქალღმერთი დიანა მისი სამსახურისთვის მზადაა და სიამოვნებით იცეკვებს მასთან ერთად რეალტორულ პა დე დე-ს.

სკანვორდი



TV პროგრამა

16 დეკემბერი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "ჯადოქარი" **18.50** ბუნება **19.15** პერეყროსტოკი **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **00.30** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **01.00** მხ.ფილმი "გარიყული". მთ. რ-ში: ტომ ჰენკსი, ჰელენ ჰანტი

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" **10.10** მხ. ფილმი "ბედის შემოქმედი" **11.50** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** ქართ. მხ. ფილმი "ანგელოზის გადაფრენა" **16.45** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **17.00** პალიტრა **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.35** კრიმინალური ქრონიკა **21.45** ჩვენი ფეხბურთი **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი "ქალიშვილები-დედები"

ПЕРВЫЙ პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "ჯოჯოხეთური ცათამბჯენი" მთ.რ-ში ერიკ ჟიუდორი, რამზი ბედია. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "მირანდა ყინულით" მთ.რ-ში კრისტინა რიჩი, კაილ მაკლახენი. **01.40** "ღამურა" მხ. ფილმი "გულები ატლანტიდაში" მთ.რ-ში ენტონი ჰოპკინსი, ჰოუპ დევისი. **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ჯადოსნური ტყე" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "მოძრავი სასაუზმე" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "ჯეკი ბრაუნი"

მეორე არხი

19.00, 22.00 "შოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსავანი "საუკეთესო საუკეთესოთა შორის-2" **21.00** ისტორიანი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი "მკვდარი სეზონი" მე-2ს

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "სიმართლე კატებსა და ძაღლებზე" **13.30** "საქმე და ეკონომიკა" **15.00** მხ. ფილმი "ვერტიკალური ზღვარი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი "გზაჯვარედინი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ჯ. ფ. კ."

იბერია

08.00 ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი "ლიცეუმი" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "ბუდუ" **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **21.00** სერიალი "ლიცეუმი" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "შძაფრი მოგონება" **00.55** მუსიკა

მცხეთა არხი

08.00 პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 13.35, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "ბრწყინვალე წლები" **14.00** მულტფილმი "სიმბა მეფე ლომი" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" მე-5ნ. **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** მხ. სერიალი "სირინოზები" **16.35** დოკ. სერიალი "ამოუცნობი ცოცხალი ორგანიზმები" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "სირინოზები" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.20** "ტელეთეატრი" **22.45** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი "გველის დღე"

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 10.00, 13.15, 16.40, 17.20, 01.50** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** "არჩევანი თქვენ" **15.15** მხ. ფილმი "შვიდი მოხუცი და ერთი გოგონა" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 01.35** ქრონიკა **17.25** სპორტ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** ლარის მახე **23.00** კონცერტი - "ერისიონი" **00.10** მხ. ფილმი "პროექტი გველგესლა"

არხი

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** მხატვრული ფილმი "ოდისეა" 1 ს. **11.00** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** დრამა "ჯარისკაცები ვიყავით" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** დრამა "ჯარისკაცები ვიყავით" (გაგრძ.) **14.45** მუსიკა **15.00** დოკუმენტური ფილმი **16.20** მულტფილმი "ქალთევზა **17.35** მხატვრული ფილმი "უდაბნოს ცხელი მზე" **19.00, 22.00, 00.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.00** ბოევიკი "ცული კომპანია" **21.55, 01.00, 02.55** მუსიკა **23.00** "Пресспапье" **23.10** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.30** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.15** დრამა "ხუთი გრძნობა" **03.40** კომედია "ალიასკის საიდუმლო"

VII არხი

09.10 მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** "ბედნიერი ერი" **09.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** მელოდია **10.10** მობილურები **10.40** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **11.15** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.00** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ -დასავლეთი" **12.45** დისნეი და მისი მეგობრები **13.05** მელოდია. **18.20** აუდიო -ვიდეო- ტელე **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.15** "ავტოტრეკინგი" **22.00** მობილურები **22.30** "კინოკლუბი" - "ვასაბი". მძაფრსიუჟეტიანი . რეჟ. ჟერარ კრავჩუკი. როლებში: ჟან რენო, კაროლ ბუკე. **00.10** მელოდია **00.20** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ -დასავლეთი" **01.00** კომპიუტერული ტექნიკა

ОРТ

07.00 "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Детектив "Участок" 11.30, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20 Армен Джигарханян в фильме "Игра всерьез" 15.20** Город женщин **16.20** "Угадай мелодию" **16.50 Сериал "Берег мечты" 17.50** "Большая стирка" **19.30** Смехопанорама **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00, 00.30** Время **22.40 Детектив "Участок" 23.40** "Кремль-9". "Юрий Андропов. В лабиринте власти". Фильм 1-й **00.50** "На футболе" **01.20** "Сканер" **01.50** "Круги на полях". 2 с. **02.20 Лоуренс Оливье в боевике "Дикие гуси" 04.30 Джонни Депп в комедии "Бенни и Джун" 06.10 Сериал "Полтергейст - IV"**

РТР

06.00 Доброе утро, Россия! **09.45 Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ" 10.45 "Не скуЧАЙ!" с Михаилом Евдокимовым. 11.45, 14.50, 17.30, 01.15** Вести. Дежурная часть. **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести. **12.30, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва. **12.50** "Короткое замыкание". Ток-шоу. **13.50, 23.00 Сериал "СПАСТИ И ВЫЖИТЬ" 15.30 "Что хочет женщина". Ток-шоу 16.30 Сериал "ПРАВО НА ЗАЩИТУ" 18.10 "Частная жизнь". Ток-шоу 19.05 Сериал "УНДИНА" 20.00 Сериал "РУССКИЕ АМАЗОНКИ" 21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55 Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ" 00.00** Вести+. **00.20 Премьера. "Смерть фигуристки" 01.30 Авторитет 02.00 Орсон Уэллс в фильме "УЛОВКА 22" 04.30 Дорожный патруль. 04.45 Агентство одиноких сердец. 05.10 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ"**

НТВ

07.00 Утро на НТВ **09.50 Сериал "ЧУЖОЕ ЛИЦО" 11.00** Сегодня утром. **11.25** "Их нравы" **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.00** "Сегодня" **13.35** "VIP-дети". "Профессия – репортер". **14.00 Георгий Жженов в детективе "ОШИБКА РЕЗИДЕНТА" 1 с. 15.35** По праву. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.25 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 19.35** Территория выживания. **20.40 Сериал "МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ" 21.50 Сериал "ЧУЖОЕ ЛИЦО". 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела. **23.50 Джефф Спикман в боевике "РУССКИЙ КИЛЛЕР" 02.20** Гордон. **03.10** Кома: это правда

ლორინი პაპის წინააღმდეგ



ლორინ ჰილი

ვატიკანში გამართული ტრადიციული საშობაო კონცერტის დროს ამერიკელმა მომღერალმა, ლორინ ჰილმა, პაპის წინააღმდეგ გაილაშქრა. "მე არ მწამს, რომ ღმერთს დედამიწაზე წარმომადგენელი ჰყავს, მე მხოლოდ ღმერთი მწამს," განუცხადა 28 წლის მომღერალმა ეპისკოპოსებსა და კარდინალებს. "მე აქ იმისთვის ვარ, რომ გითხრათ: მოინანიეთ, მოინანიეთ, მოინანიეთ".

ლორინის ასეთი შეტევის მიზეზი მალე გაირკვა: ის შეერთებულ შტატებში მღვდლების მიერ ბავშვთა გახრწნით იყო აღშფოთებული. მომღერალმა ისიც გაითვალისწინა, რომ მისი სიტყვები მრავალ დამსწრეს გულზე მოხვდებოდა, "მაგრამ რა უნდა ვუპასუხოთ იმ ოჯახებს, რომელთაც სწორედ მათ უღალატეს, ვისიც ყველაზე მეტად ეჯერათ? რა უნდა ვუთხრათ ბავშვებს, რომელთაც სხეული და სული წაუბილწეს?"

რამდენიმე კარდინალმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა. კონცერტის ორგანიზატორმა ლორინ ჰილის საქციელს უმსგავსო უწოდა – მისი თქმით, მან იმ ადამიანების ნდობა არ გაამართლა, ვინც ის კონცერტში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს. კერძო ტელეარხი Canale 5 იუწყება, რომ კონცერტის გადაცემის დროს ჰილის გამოსვლას გამოტოვებს.

ნორა ჯონსი არ ფიქრობს პოპულარობაზე

ნორა ჯონსი

რვა გრემის მფლობელმა, მომღერალმა ნორა ჯონსმა მეორე სტუდიურ ალბომზე მუშაობა ნიუ იორკში უკვე დაასრულა.

ისევე, როგორც ადრე, ჩაწერას ლეგენდარული პროდიუსერი არიფ მარდინი ხელმძღვანელობდა.

ახალ ალბომში, ნორას გარდა, მოისმენთ: ამერიკისთვის საყვარელი მომღერლის დოლი პარტონს, ცნობილ შემსრულებელს დასარტყამ საკრავებზე ლევონ ჰელმსა და ჯაზის პერკუსიონისტ ბრაიან ბლეიდის.

" ამ პოპულარობაზე, რომელიც თავს დამატყდა, არც მიფიქრია, - აღიარა ნორამ, - უბრალოდ, შევეცადე, იმდენად კარგი სიმღერები დამეწერა, რამდენადაც შემეძლო".

ალბომის პრეზენტაცია თებერვლისთვის უკვე დაგეგმილია და ის Blue Note – ში გაიმართება. ხოლო აპრილში ნორა ჯონსს ევროპაში საგასტროლო ტურნე ელოდება.

ზეიმის მოლოდინში

მართალია, ელტონ ჯონის წვეულებები უფრო ძვირი ჯდება ხოლმე, მაგრამ საზოგადოება დარწმუნებულია, რომ 16 იანვარს იმდენ ღამაზ ადამიანს იხილავენ, რამდენიც ელტონ ჯონთანაც კი არ უნახავთ.

საქმე ისაა, რომ კეიტ მოსი 30 წლის ხდება. მოდელისთვის ცოტა სახიფათო ასაკია, მაგრამ ეს მხიარულებას ხელს არ უშლის..

Vogue.com იუწყება, რომ ტოპ-მოდელი თავის 75 ოჯახის წევრისა და მეგობრის იამაიკაზე გადასაფრენად თვითმფრინავის დაქირავებას გეგმავს. იქ, დიდებულ სასტუმროში, მათ კეიტის პირადი მზარეულები გაუმასპინძლდებიან. საღამოს მუსიკალურ თანხლებაზე მისი მეგობარი, ბობი გილესპი იზრუნებს.

"დეილი მირორის" თანახმად, მიწვეულ ვარსკვლავთა შორის ნაომი კემპბელი და როზმარი ფერგიუსონიც არიან. დაბადების დღეზე კეიტის დედაც გამოცხადდება, რომელსაც მოდელის ერთი წლის ქალიშვილი, ლილა გრეისი ჰყავს მიბარებული.

უცნობია, ჩავა თუ არა იამაიკაზე ბავშვის მამა, ჯეფერსონ ჰეკი. ჭორი დაირხა, ოდესღაც დიდად მოსიყვარულე წყვილს ერთმანეთის დანახვა აღარ უნდათო.



"ძალიან სრულწლოვანი" კეიტ მოსი

ოცნების ქალის ოცნებები

ნიკოლ კიდმანი რჩეულის მოლოდინში

ნიკოლ კიდმანს ჯენიფერ ლოპესის უკანალის შეშურებია. "გულწრფელად ვამბობ: ასეთ საჯდომსა და მკერდში ბევრ რამეს გავცვლიდი," თქვა ჰოლივუდის ვარსკვლავმა "დეილი მეილისთვის" მიცემულ ინტერვიუში, რომელიც კიდმანის ახალ ფილმს, "ცივ მთებს" ეძღვნებოდა.

ამავე ინტერვიუში მან განაცხადა, რომ სულაც არ გამხდარა – ეს ჭორია: "იმდენივეს ვიწონი, რამდენსაც ვიწონიდი. და საერთოდ, მერე რა, რომ ლოპესის ან ლორენისთანა ფორმები არა მაქვს? სამაგიეროდ, ბალეტის მოცეკვავეს ვგავარ. ასეთად გავჩნდი და ასეთად დავრჩები".

გაირკვა, რომ როკ-მუსიკოს ლენი კრავიცთან სასიყვარულო თავგადასავალი თავგადასავალი იყო და მეტი არაფერი. მომავალთან დაკავშირებით ნიკოლს სულ სხვა გეგმები აქვს: "ვიმედოვნებ, რომ მალე შევხვდები ჩემს რჩეულს, და იმედი მაქვს, რომ შვილიც მეყოლება. სანამ ჩემს რჩეულს არ შევხვდები, არც ბავშვის გაჩენაზე ვაპირებ ფიქრს".

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.